ჭანწიჩუღოს ქარაჟანი

სოსო ლონდრიშვილი

სოსო ლონდრიშვილი

ხოსრო დოხდრასეული

ქართული

ვანწლიანური ანარეკლები



2013 წელი

რედაქტორი: **ალმარ ლომიძე**
ტექნიკური რედაქტორები: **ირაკლი კორძახია, მარიამ გოგიაშვილი**
მხატვარი: **მალხაზ დათუკიშვილი**

ISBN 978-9941-0-5986-5

რედაქტორისგან

„განწირულთა ქარავანი“ სოსო ლონდრიშვილის მეორე წიგნია. ჯერ კიდევ არ განელებულა პირველი წიგნის „ანდერძით“ გამოწვეული ინტერესი, რომ მწერალმა მკითხველს მეორე წიგნი შესთავაზა.

საკითხავია, რითი იზიდავს მკითხველს სოსო ლონდრიშვილის შემოქმედება? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მისი მოთხრობები ცხოვრებისეულია, ეხმაურება თანადროულობას, ამდენად აქტუალურია, ნაწარმოებების გმირები რეალისტურ სამყაროში ცხოვრობენ. ავტორი ყოველგვარი რევერანსების გარეშე ცდილობს მოგვითხროს ამბავი სადად, მკითხველისათვის გასაგებ ენაზე.

კრებულში შესულია სულ 21 მოთხრობა. მათ შორის, ორი ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს ეხება. კერძოდ, მოთხრობაში „განწირულთა ქარავანი“, მე-17 საუკუნის საქართველო-ირანს შორის წარმოებული ომებია აღწერილი.

ცნობილი მთასვლელის, ვანო გულედანის ხსოვნას მიუძღვნა მწერალმა მოთხრობა „გმირები არ კვდებიან!“ ნაწარმოებში გადმოცემულია ქართველი ერის ადათ-წესები, ტრადიციები, მათი სტუმართმოყვარეობა. ვანოს შეეძლო თავის გადარჩენა, მაგრამ უცხოელი სტუმარი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა, თოკი არ გადაჭრა და მასთან ერთად უფსკრულში გადაიჩეხა. ამ ნაწარმოებით ავტორს იმის თქმა უნდა, რომ ვანოს მსგავსი გმირები არ კვდებიან, მათი ნათელი სული მუდამ დაგვნათის ზეციური საქართველოდან.

საინტერესო მოთხრობებია: „უფალმა შეგინდოს!“, „იღბლიანი მივლინება“, „მადლი“, „უკაცრავად!“ „მექისე დარჩო“, „უსამართლობის ზეობა“...

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნაწარმოები „უფალმა შეგინდოს!“, სადაც გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის ახლო წარსული, 2011 წლის 26 მაისის მოვლენები, როცა სააკაშვილ-მერაბიშვილის პირსისხლიანმა ჯალათებმა სისხლში ჩაახშვეს მშვიდობიანი მომიტინგეების გამოსვლა. მოთხრობაში ნაჩვენებია, თუ როგორ გაუსწორდა ერთ-ერთი სპეცნაზელი, ჯაბა მოხუცს, რომელიც შემდგომ მისი სასიმამრო აღმოჩნდა.

დაინვალიდებული მოხუცის ნახვის შემდეგ, ჯაბამ უარი თქვა საერო ცხოვრებაზე და, ცოდვების მონანიების მიზნით, ბერად აღიკვეცა.

საინტერესო ნაწარმოებია აგრეთვე „უსამართლობის ზეობა“, რომელშიაც 90-იან წლებში მოქმედი დამსჯელი რაზმის, „მხედრიონის“ თარეშია გადმოცემული. გერმანიიდან დაბრუნებულ ზურაბს, რომელიც ერთ-ერთი სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორია, უსამართლოდ დააპატიმრებენ, თუმცა მალე გაიმართლებს თავს, რადგან დანაშაულის ჩადენის დროს ის ფრანკფურტში იმყოფებოდა მივლინებით. მან ვაჟკაცურად აპატია არაკაცებს. თავის მდივანთან საუბრისას იგი ამბობს: „ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, მიმტევებლები უნდა ვიყოთ, ხოლო მას, ჩადენილი ცოდვების გამო, იმ ქვეყნად პასუხს უფალი მოსთხოვს, მხოლოდ უფალს აქვს განსჯის უფლება!“

ასეთია სოსოს ნაწარმოებთა თემატური ქარგა, ასეთები არიან მისი მოთხრობების გმირები: პატიოსანნი, კეთილები, მიმტევებლები, მამაცნი. თუმცა, მკითხველი თვითონ დარწმუნდება, როცა გაეცნობა ავტორის ახალ კრებულს.

ალმარ ლომიძე

განწირულთა ქარავანი

1612 წელს ირანის არმიამ სძლია თურქებს. თურქებზე გამარჯვებამ ირანის შაჰს აბას I-ს, ხელ-ფეხი გაუხსნა თავისი მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად. გეგმა შემდეგი გახლდათ, შაჰს აღარ აკმაყოფილებდა ქართლ-კახეთის ვასალური მდგომარეობა ირანისადმი, და საერთოდ, გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც ქართლის, ასევე კახეთის სამეფოების სრული მოსპობა, იქ მუსლიმანური მოსახლეობის ჩასახლება და მისი ერთგული სახანოების შექმნა.

თურქებზე გამარჯვების აღსანიშნავად შაჰს ნადიმი ჰქონდა გამართული. ვის არ ნახავდით მის სასახლეში: წარჩინებულ ირანელ დიდგვაროვნებს თუ მამაც სარდლებს, უცხო ქვეყნის დესპანებს თუ მდიდარ ვაჭრებსა და სოვდაგრებს. ამ საზეიმო განწყობასა და მხიარულებას ამშვენებდნენ შაჰის ჰარამხანის ნახევრად შიშველი, ულამაზესი მოცეკვავე ქალები, რომელნიც თავიანთი მომხიბვლელობითა და გრაციოზული მოძრაობებით, ვნების აღმძვრელად მოქმედებდნენ იქ მყოფებზე.

შაჰს გამორჩეულად გვერდს უმშვენებდა მშვენიერი აღნაგობის, ტომით ქართველი, მთელს ირანში ჭკუითა და გონებით განთქმული, შირაზის მბრძანებელი ალავერდიხანი (უნდილაძე). მბრძანებელი დიდ პატივს სცემდა ამ ბრძენ კაცს და გვერდიდან არ იშორებდა. მისი გავლენა იმდენად დიდი იყო ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ შაჰი სიამაყით ამბობდა: „მთელი ირანი მე მემორჩილება, მე კი უნდილაძესა“-ო.

ნადიმმა და მხიარულებამ შაჰი კარგ გუნება-განწყობაზე დააყენა, სიყვარულისა და ვნების საღერღელი აეშალა მბრძანებელს. ნადიმი დასრულდა, სტუმრებმა და დიდებულებმა თავიანთ ადგილ-სამყოფელს მიაშურეს. შაჰმა იხმო თავისი მრავალრიცხოვანი ცოლებიდან ერთ-ერთი წარჩინებული ქართველი თანამეცხედრე, სიმონ მეფის და, ფაჰრამიჯან ბეგუმი, რომელსაც ჰარამხანის მეთვალყურეობა ჰქონდა დავალებული. ირანის ლომი საქვეყნო საქმეებით ისე იყო გართული, რომ ხშირად ვეღარ იცლიდა ჰარამხანის მოსანახულებლად. მისი მრავალრიცხოვანი ცოლები და მხევლები მონატრებულნი იყვნენ დიდ მბრძანებელთან სარეცელის გაყოფას, ამასთან შაჰი თითოეულ მათგანს დასაჩუქრების გარეშე

არ ტოვებდა, ამიტომ ქალებს საჩუქრები უფრო ახარებდათ, ვიდრე ამ ბებერ ლომთან საწოლში ნებივრობა.

ფაჰრამიჯან ბეგუმმა თაყვანი სცა მბრძანებელს. შაჰმა მუხლმოყრილი ქალბატონი წამოაყენა და მოეფერა, შემდეგ მოიკითხა თურქეთის დიდი ვეზირის მიერ ფეშქაშად მორთმეული ულამაზესი ჩერქეზი გოგო.

– დიდო მბრძანებელო, თქვენი ჰარამხანის უძვირფასესი მარგალიტი, ულამაზესი ჩერქეზი ქალწული უმორჩილესად უცდის ალაჰის წყალობას, რათა თქვენი სარეცელის ღირსი გახდეს. – მოკრძალებით მიუგო ბეგუმმა.

შაჰს დიდად ეამა მისი წარჩინებული ცოლის საამო სიტყვები და უხვად დაასაჩუქრა, შემდეგ დაუბარა, რომ გოგო სარეცელისათვის მოემზადებინათ, მოგვიანებით ის ჰარამხანას ეწვეოდა. ფაჰრამიჯან ბეგუმმა კიდევ ერთხელ სცა თაყვანი მბრძანებელს, მადლობა გადაუხადა და სასახლე დატოვა.

ჰარამხანა შაჰის მოლოდინში იყო. მბრძანებლის ცოლები აფორიაქდნენ, წესრიგში მოჰყავდათ თავიანთი სამყოფელი. ყველა მხევალს თავისი საქმე ჰქონდა მიჩენილი. შაჰის ბრძანებით ჰარამხანაში იკრძალებოდა მამაკაცის ყოფნა, მხოლოდ საჭურისებს ჰქონდათ უფლება ქალებთან სიახლოვის. მათ მოვალეობას შეადგენდა შაჰის მხევლებზე თვალყურის დევნება, ყოველ დილით ღამის ქოთნების გადაღვრა და სხვა, კაცისთვის შეუფერებელი და დამამცირებელი საქმეების შესრულება. ჰარამხანის ბინადარნი, საჭურისების საქმიანობიდან გამომდინარე, მათ კაცებად აღარ აღიქვამდნენ და ამიტომაც აღარ ერიდებოდნენ. დედიშობილა გამოჩენა საჭურისებთან, ჰარამხანის ქალებს, ჩვეულებად ჰქონდათ.

მდიდრულ ფარჩა-აბრეშუმით მორთულ ოთახში შაჰის სარეცელი იდგა. ამ სარეცელში ელოდა ირანის ლომი ჰარამხანის ძველ თუ ახალ ბინადართ...

– მომიახლოვდი პატარავ, ნუ გეშინია! – მიმართა მბრძანებელმა ოთახის კუთხეში მობუზულ გოგონას, რომელიც თექვსმეტიოდე წლის თუ იქნებოდა. მისი მომხიბლავი, ლამაზი გარეგნობა არც ერთ მამაკაცს გულგრილს არ დატოვებდა. შაჰი მიუახლოვდა თავის მსხვერპლს, მოფერება მოიწადინა და ხელით შეეხო. გოგო შეკრთა, უმალ ქურციკივით სწრაფად გვერდზე გაიწია. მბრძანებელმა ამ პატარა არსების ასეთი ქმედება კადნიერებად მიიღო. სიბრაზისაგან სახე აელეწა,

თვალები წამოენთო, გოგო აიყვანა და სარეცელზე დააწვინა. როგორც ლომი მოიგდებს დაჭერილ მსხვერპლს თავის ძლიერ თათებში და საწადელს აისრულებს, ისე შემოხვია ირანის ლომმა ხელები ამ დამფრთხალ არსებას და შეუდგა მამაკაცური მოვალეობის შესრულებას. პატარა ქალმა სიმწრისაგან შეჰკივლა და ორივე ხელი მოხვია მბრძანებელს, მოზრდილი ფრჩხილები ღრმად ჩაასო ზურგში და ისე მძლავრად გამოჰკრა, რომ შაჰს, ქალის ფრჩხილებისაგან ზურგზე გაკეთებული ღარებიდან, სისხლი წასკდა. სიმწრისაგან მბრძანებელს თვალები გაუფართოვდა, ვნების ექსტაზში შესულმა ჟინი ისე მოიკლა, რომ ამ პატარა ქალისთვის არც კი უგრძნობინებია უზომოდ განცდილი ტკივილი.

მბრძანებელს ზურგზე სისხლი ღვარად სდიოდა, სისხლი სდიოდა ქალსაც... შაჰი ტკივილმა შეაწუხა და ქალს შეხედა, ის გაუნძრევლად, დედიშობილა იწვა სარეცელზე და ზიზღნარევი მზერა მიეპყრო მისკენ. შაჰი მიჩვეული იყო ქალების უსიტყვო მორჩილებას, ხოლო ამ პატარა არსების კადნიერებამ ის უსაზღვროდ განარისხა. გადაწყვეტილი ჰქონდა მისი მოშთობა. მან ყელზე ხელი მოუჭირა ქალს, ქალმა ხრიალი დაიწყო, უმწეოდ აქნევდა ხელებს, მაგრამ წინააღმდეგობა უშედეგო იყო. უცებ მბრძანებელს დაბინდული გონება წამიერად გაუნათდა და თავში საღმა აზრმა გაუელვა.

– ამის სიკვდილი რა ხეირს მწევს, მის თავს ჩემს ერთგულ მსახურთაგან რომელიმეს ვაჩუქებ, მადლიერი დამრჩება! – წარმოსთქვა შაჰმა და ქალს ხელი უშვა...

დილიდანვე უქეიფოდ გახლდათ ირანის მბრძანებელი, ან კი როგორ იქნებოდა ხასიათზე, გურჯისტანიდან ისევ ცუდი ამბები ისმოდა, განსაკუთრებით კახეთის მეფე თეიმურაზზე იყო განრისხებული. მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზის დედა, ქეთევან დედოფალი და მისი ორივე შვილი მასთან იმყოფებოდნენ, იგი მაინც არ კმაყოფილდებოდა მეფის ოჯახის მძევლობით.

თეიმურაზმა კარგად იცოდა შაჰის მზაკვრობა და მის თხოვნას, რომ ირანში ხლებოდა მას, ყოველთვის უარით პასუხობდა.

– დიდო მბრძანებელო, კახეთის მმართველი ისა ხანი ითხოვს თქვენს ბრწყინვალებასთან შეხვედრას, – მოახსენეს შაჰს. თითქოს ელოდაო მბრძანებელი ისა ხანის ირანში ჩამოსვლას, წამოდგა, სახეზე აღელვება დაეტყო. გრძნობდა, ისა ხანი კარგი ამბის სათქმელად არ იყო მოსული გურჯისტანი-

დან. სულ ახლახანს შაჰმა სასტიკად დასაჯა ქართლ-კახეთი, დიდძალი ლაშქრით შეესია, დაანგრია ეკლესია-მონასტრები და გაწყვიტა მოსახლეობის დიდი ნაწილი, დანარჩენი ტყვედ წამოიყვანა. შაჰი თავისი ლაშქრით თითქმის ორი თვის მანძილზე ანადგურებდა ამ ღვთით ბოძებულ კახეთის მადლიან მიწა-წყალს. კახეთის შემდეგ ჯერი ქართლზე მიდგა. მოაოხრა ქართლიც და გორსა და სურამში ყიზილბაში მეციხოვნენი ჩააყენა. ხოლო კახეთში გამუსულმანებული ბატონიშვილი ისა ხანი (გიორგი ალექსანდრის ძის ვაჟი) დანიშნა თავის ვასალად, სწორედ ეს გათათრებული ქართველი ითხოვდა ირანის შაჰთან აუდიენციას.

– შემოვიდეს! – მოკლედ გასცა ბრძანება შაჰმა და ქვეშევრდომთან შესახვედრად მოემზადა.

ზღაპრულად მორთულ შაჰის საბრძანებელში ყველა ნივთსა და ავეჯს სიმდიდრისა და ბრწყინვალების ელფერი დაჰკრავდა. დარბაზის შუაგულში, ტახტრევანზე დაბრძანებულიყო ირანის ლომი, რომლის თვალ-მარგალიტით გაწყობილი ძვირფასი სამოსი, სიძლიერესა და უძლეველობას მატებდა მბრძანებელს.

ისა ხანი მუხლებზე დაეცა და თაყვანი სცა აბასს. შაჰი მივიდა მასთან, წამოაყენა, ტახტრევანთან მიიყვანა, ძვირფას ბალიშზე დააჯინა და მამა-შვილურად მოიკითხა. ისა ხანი რიდითა და კრძალვით უყვებოდა მბრძანებელს კახეთში შექმნილი ვითარების შესახებ.

– მას შემდეგ, რაც მეჰმედ ფაშა დიდძალი ჯარით ირანის საზღვრებთან დაბანაკდა, თეიმურაზს იმედი მიეცა და სულ გათავხედდა. იმერეთიდან კახეთში გადმოსვლას აპირებს, ვშიშობ მისი კახეთში გამოჩენით, კახელები აჯანყდებიან. ჩემს მეურვეებად დანიშნული თავადები ჯანდიერი და ჯორჯაძეც არა ჩანან წმინდა სულისანი, გული მიგრძნობს თქვენი ღალატი აქვთ ჩაფიქრებული, დიდო მბრძანებელო! – შიშნარევი ხმით შეაპარა ბოლო სიტყვები ისა ხანმა შაჰს.

აბასი დინჯად ისმენდა ქვეშევრდომის მიერ მოწოდებულ, შემაშფოთებელ ცნობებს, გურჯისტანში არსებულ მდგომარეობაზე, ხოლო როცა სავარაუდო ღალატის შესახებ შეიტყო, წამოდგა, სახეზე სიბრაზე და განრისხება დაეტყო.

– დედაბუდიანად უნდა გაიჟლიტოს კახეთი, რა გახდა ეს ერთი მუჭა ხალხი, ასე რომ მიძალიანდება! – გამოსცრა შაჰმა და ისა ხანს ანიშნა მარტო დაეტოვებინა.

გული ცუდს უგრძნობდა ირანის მბრძანებელს, ცნობები არ იყო სახარბიელო, კახელები არ ეპუებოდნენ ყიზილბაშების ბატონობას, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო აჯანყების დაწყება...

ადრიანი შემოდგომის თბილი საღამო იყო. იმერეთის მეფეს, გიორგის, ვახშამზე მიეწვია მასთან თავშეფარებული, შაჰისგან დევნილი, კახეთის მეფე, თეიმურაზ I. მცირე ვახშმობის მაგიდას მხოლოდ მეფენი უსხდნენ. თეიმურაზი მძიმედ განიცდიდა თავისი დედის, ქეთევან დედოფლისა და შვილების მძევლობას შაჰის კარზე. ნამეტნავად მცირეწლოვან ვაჟებზე დარდობდა, თუმცა თავს იმით იმშვიდებდა, რომ მის ვაჟებს ბებია ჰყავდათ მფარველად.

– ორი კვირაა, რაც ჩემი კაცები გავაგზავნე კახეთს ამბის შესატყობად, მაგრამ დღემდე მათ შესახებ არაფერი ვიცი, ჩააღწიეს, თუ გზაში მტერმა შეიპყრო ისინი, – წარმოსთქვა ნაღვლიანად თეიმურაზმა და გეგუთის ტყეებში მონადირებულ მშრალად მოხარშულ ხოხობს ფრთა ააგლიჯა.

– მარჯვე ბიჭები ჩანდნენ, დარდი ნუ გაქვს, ჩააღწევდნენ! – მშვიდად უპასუხა გიორგიმ და ღვინით სავსე ფიალა მიაწოდა თეიმურაზს.

ბაგრატიონებმა დალოცეს მტრისგან გავერანებული, იავარქმნილი სამშობლო და ცარიელი ფიალები მაგიდაზე დააწყვეს.

– ოსმალეთის დიდი ვეზირის, მეჰმედ ფაშას ურიცხვი ლაშქარი უკვე რამდენიმე თვეა ირანის საზღვართან დგას და ხელსაყრელ მომენტს ელოდება ბრძოლის დასაწყებად, რაღას უცდის, სანამ თოვლს არ ჩამოყრის, მანამდე არ აპირებს ომის დაწყებას? – გაკვირვებული კითხულობდა მეფე გიორგი.

– მეც ეგ მიკვირს დიდი ვეზირისა.

– ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება არ მინდა, სწორედ ამ იმედით ვაფრინე კაცები კახეთს, რათა აჯანყებისათვის მომზადებულიყვნენ, თანაც არც შირვანშია სიმშვიდე. მიუხედავად იმისა, რომ შირვანის მმართველს, ირანის ერთგულების სანაცვლოდ, შაჰმა ძვირფასი საჩუქრები და რამოდენიმე ლამაზმანიც უბოძა. კახეთის მეზობელი, შირვანის მოსახლეობა დიდად უკმაყოფილო და შეწუხებულია ყიზილბაშთა თარეშისაგან, – წარმოსთქვა თეიმურაზმა.

– არ უნდა წასულიყო ქართლის მეფე, ლუარსაბი შაჰთან, – დანანებით გააგრძელა საუბარი თეიმურაზმა, – როგორ

შეიძლება ენდო მტარვალს, რომელიც საკუთარ შვილსაც არ ინდობს და სიკვდილით სჯის. ვშიშობ ლუარსაბსაც არ მოუსწრაფოს სიცოცხლე. ღმერთი ჰფარავდეს და შეეწიოს გელათისა და ალავერდის წმინდა სალოცავების მადლი. პირჯვარი გადაისახა კახთა მეფემ, გიორგიმაც მიბაძა თეიმურაზს და ორივემ უფალს შეავედრეს მეფე ლუარსაბი.

მეფეთა საუბარი მოახლეთა ჩოჩქოლმა შეწყვიტა.

– გავალ, გავხედავ, გავიგებ რა ხდება! – წარმოსთქვა გიორგიმ და ოთახიდან გავიდა. სასახლის დარბაზში მეფის კარის მცველნი და მსახურნი გარს შემოხვეოდნენ უცხო მამაკაცს, რომელსაც ეტყობოდა შორი გზა ჰქონდა გამოვლილი. მისი საუბრის კილოდან აშკარად ჩანდა, რომ სტუმარი კახეთიდან იყო.

– მეფე თეიმურაზთან მიმიყვანეთ! კახეთიდან ამბავი მაქვს სათქმელი! – ამბობდა სტუმარი. გიორგი მეფეს დარბაზში მყოფებმა თაყვანი სცეს, სტუმარი მიესალმა მეფეს, შემდეგ გიორგი და კახეთიდან მოსული მაცნე იმ ოთახში შევიდნენ, სადაც მეფე თეიმურაზი იყო. თეიმურაზმა იცნო კახელი. ის თავად ჯანდიერის მალემსრბოლი აღმოჩნდა. სტუმარმა უბიდან საგანგებოდ შეფუთული ბარათი ამოიღო და მეფეს გადასცა. მეფემ ბარათი გახსნა, წერილი ჯანდიერის ხელით იყო დაწერილი.

– მე დაგტოვებ! – უთხრა გიორგიმ თეიმურაზს და კარისკენ გაემართა.

– მოიცა გიორგი, დარჩი, მე შენთან დასამალი და დასაფარი არაფერი მაქვს! შენც უნდა იცოდე რა ხდება კახეთში. განა კახეთი ისეთივე საქართველო არ არის, როგორც იმერეთი?! განა ჩვენ ორივეს ერთნაირად არ გვტკივა ჩვენი ქვეყანა?! ჩვენ ჭირიც ერთი გვაქვს და ლხინიც, – წარმოსთქვა თეიმურაზმა და ბარათის კითხვა დაიწყო. ჯანდიერი ატყობინებდა მეფეს, რომ სრულიად კახეთი ფეხზე იდგა, აჯანყება გარდაუვალი იყო. ყიზილბაშთა თარეშისაგან გამწარებული კახელები ბრძოლის ჟინით იყვნენ შეპყრობილნი, ისინი მეფის ჩამოსვლას და ბრძოლის დაწყებას ელოდნენ.

– დიდება უფალს, რომ ამ დღეს მომასწრო! – წარმოსთქვა თეიმურაზმა და გახარებული გადაეხვია მალემსრბოლს, შემდეგ გიორგის მიმართა:

– ჩემო გიორგი, ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება, უნდა წავიდე კახეთს!

გიორგიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და გამარჯვება უსურვა თეიმურაზს, ურჯულოთაგან კახეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში.

თეიმურაზი თავისი მცირე ამალით მეორე დღესვე გამოემართა კახეთს. იდგა 1615 წლის 15 სექტემბერი. მშვიდობიანობის დროს, ამ დღეს, კახელები ალავერდობას ზეიმობდნენ, ახლა კი ალავერდის მონასტერში ყიზილბაშებს ეკლესიის გალავნისთვის მიეშენებინათ ზღუდეები და მონასტერი ციხე-სიმაგრედ ექციათ. უნებართვოდ მონასტერში ქრისტიანების შესვლა აკრძალული იყო. მონასტერში მდგარი ყიზილბაშები მშვიდად იყვნენ, მათ ვერ წარმოედგინათ, რომ კახელები, რომელნიც წელში იყვნენ გაწყვეტილნი მათი რბევა-აწიოკებისაგან, გაბედავდნენ თავდასხმას. აჯანყების მეთაურმა, დავით ჯანდიერმა, ხერხს მიმართა მონასტერში შესასვლელად. მიზეზად ალავერდობის დღესასწაული გამოიყენა, თითქოსდა კახელები სალოცავად მიდიოდნენ. ჯანდიერი რამდენიმე ათეული მამულიშვილის თანხლებით მონასტრის კარს მიადგა და ყიზილბაშებს აუწყა, რომ ქართველებს ალავერდობის აღსანიშნავად უნდა ელოცათ და სანთლები აენთოთ. ყიზილბაშები ცნობდნენ ჯანდიერს, ის ხომ შაჰის მიერ ისა ხანის ვექილად იყო დანიშნული.

კარისკაცებმა მონასტრის ჭიშკარი გააღეს და ქართველები შიგნით შეუშვეს. ქართველებმა ისარგებლეს ყიზილბაშთა სიმშვიდით, ხმლები იშიშვლეს და დაერივნენ ურჯულოებს. ამასობაში ჯანდიერს აჯანყებულთა ძირითადი ძალებიც მიეშველნენ და მონასტრის ყიზილბაშთა გარნიზონი უმოწყალოდ ამოჟლიტეს. მთელი კახეთი აჯანყების ალში გაეხვია. კახელებს მეზობელი შირვანიც აჰყვა, რომლის მოსახლეობა ქართველებზე არანაკლებ განიცდიდა ყიზილბაშთაგან დარბევასა და აწიოკებას. შირვანელებს სათავეში ედგა დულუ-მელიქი. თეიმურაზმა და დულუ-მელიქმა ერთობლივად მიიტანეს იერიში კახეთისა და შირვანის ციხეებზე, სადაც ყიზილბაშთა მეციხოვნენი იდგნენ და დედაბუდიანად გაწყვიტეს ისინი.

თავგანწირვით იბრძოდნენ კახელები, არც შირვანელები ინდობდნენ საძულველ მტერს. დულუ-მელიქის ლაშქარში თავისი მამაცობითა და შეუპოვრობით გამოირჩეოდა სრულიად ახალგაზრდა, პირტიტველა ჭაბუკი, რომელიც დულუ-მელიქს ყოველთვის თან ახლდა, მას შვილივით უყვარდა ეს უშიშარი ვაჟკაცი და გვერდიდან არ იშორებდა.

განრისხებულმა შაჰმა გადაწყვიტა კახელების სამაგალითოდ დასჯა. მან 15000 რჩეულ ჯარს სახელგანთქმული სარდალი ალი-ყული-ხანი უსარდლა და კახეთის ასაოხრებლად გამოგზავნა.

არაგვის ხეობაში დაბანაკებული მტერი არ მოელოდა ქართველთა თავდასხმას, თეიმურაზმა ისარგებლა მტრის უყურადღებობით და მოულოდნელად თავს დაესხა მათ. ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და უამრავი ნადავლი ჩაიგდეს ხელთ.

ყიზილბაშთა ჯარის განადგურებამ შაჰი გააცოფა, ამ საზარელი ამბის მომტანს თავი გააგდებინა და იმ დღეს უცხო ქვეყნების დესპანების მიღებაზეც უარი თქვა.

ჩქარობდა ზამთრის გასვლას ირანის ლომი, ის შურისძიებით იყო აღსავსე, თეიმურაზის თავგასულობამ მოსვნება დაუკარგა. გადაწყვეტილი ჰქონდა ხელში ჩაეგდო ეს დაუმორჩილებელი და მოუხელთებელი ბაგრატიონი და სამაგალითოდ დაესაჯა.

1616 წლის ადრიანი გაზაფხული იდგა. შაჰი ურიცხვი ლაშქრით დაიძრა საქართველოს წინააღმდეგ. დულუ-მელიქმა გადაწყვიტა თავისი მცირერიცხოვანი ჯარით კახელებს მიშველებოდა. გზად შირვანის პატრონი ირანის მოწინავე ჯარს გადაეყარა, რომელსაც თვით შაჰი მოუძღოდა, ხოლო ძირითადი ლაშქარი მათ უკან მოჰყებოდა. გაცლა შეუძლებელი იყო, ახლო-მახლო ტყეც არსად ჩანდა, რომ დულუ-მელიქს ტყისთვის მაინც შეეფარებინა თავი. ის იძულებული იყო ბრძოლა მიეღო. შირვანელმა გაამხნევა თავისი მებრძოლები, დასცა ყიჟინა და ხმალშემართულმა შეუტია ყიზილბაშებს. ატყდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა. შაჰი გაოგნებული იყო ამ ერთი მუჭა მებრძოლთა გახელებით. შირვანელთა შორის შაჰის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ერთი ახალგაზრდა მეომარი, რომელიც მარჯვედ იქნევდა მახვილს და მარჯვნივ და მარცხნივ კაფავდა სპარსელებს. უცებ ახალგაზრდა შირვანელმა შაჰს მოჰკრა თვალი. ცხენი ყალყზე შეაყენა და ხმალშემართული მისკენ გაექანა. ის ცდილობდა შაჰთან მიახლოებას და მის მოკვლას, მაგრამ ირანის ლომთან ახლოს მისვლა თითქმის შეუძლებელი იყო. შაჰის წინ ფარად იდგნენ ყულის ჯარის რჩეული მეომრები და ნაქართველარი შაჰსევანები. შირვანელი მეომარი თავგამოდებით ცდილობდა შაჰთან მიახლოებას და უმოწყალოდ ჩეხდა მის წინ მდგარ ყიზილბაშებს.

შირვანელის თავხედობამ შაჰი განარისხა, მან პირადი დაცვის მეომარს ხელიდან შუბი გამოსტაცა და სტყორცნა შირვანელს. შაჰის ნატყორცნმა შუბმა მკერდი შეუნგრია მხედარს. ის შეტორტმანდა, უკან გადაიზნიქა, თავიდან მოეხადა მუზარადი და ცხენიდან გადმოვარდა. შაჰი და მისი მეომრები საოცარი სანახაობის მომსწრენი გახდნენ, მხედარს თმები ჩამოშლოდა და სახეს უფარავდა. ცხენზე ამხედრებული შაჰი მიუახლოვდა განგმირულ მხედარს, დაიხარა, ხმლის წვერით თმები გადაუწია და სახე გამოუჩინა. ყიზილბაშები თვალებს არ უჯერებდნენ, მიწაზე შუბით განგმირული ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი იწვა. შაჰი დააშტერდა ამ ულამაზეს არსებას, თითქოს ეცნაურაო, შემდეგ სიბრაზისაგან თვალები სისხლით აევსო, ცხენით გადაევლო მიცვალებულს და აქა-იქ დარჩენილი და უკუქცეული შირვანელების დადევნებისა და განადგურების ბრძანება გასცა.

შემთხვევით არ ეცნაურა ირანის მბრძანებელს მისი ხელით განგმირული ქალი, დიახ, ეს ის ულამაზესი ჩერქეზი ასული იყო, რომელმაც შაჰს განსაკუთრებით დაამახსოვრა თავი და მისი ბასრი ფრჩხილებით მიყენებული იარები ზურგით კარგა ხანს ატარა ირანის ლომმა, ხოლო შემდეგ შირვანის მმართველისათვის ფეშქაშად მირთმეული ჩერქეზი ქალი, ნაცვლად ჰარამხანისა, ახალი მბრძანებლის სასახლეში აღმოჩნდა. დულუ-მელიქმა როგორც კი შეხედა ამ პატარა ქალს, განცვიფრდა, ეს ჩერქეზი გოგო საოცრად ჰგავდა მის უსაყვარლეს გარდაცვლილ ქალიშვილს, ამიტომ შირვანის მბრძანებელმა ის შვილივით შეიყვარა და მის ყოველ სურვილს უყოყმანოდ ასრულებდა. ქალმა სთხოვა მამობილს, რომ მისთვის ცხენით ჯირითი და იარაღის ხმარება ესწავლებინა, დულუ-მელიქს განებივრებული ჰყავდა შვილობილი და უარს როგორ ეტყოდა. გავიდა ხანი, შირვანელ დიდებულებს თვალში ხვდებოდათ უცხო მხედარი, რომელიც მოხდენილად იჯდა საუცხოო ულაყზე და დოღსა თუ მარულაში ტოლს არავის უდებდა, არც იარაღის ხმარებაში ჩამოუვარდებოდა ვინმეს, ხმალსაც კარგად იქნევდა და შუბსაც მარჯვედ სტყორცნიდა. მებრძოლის სამოსში გამოწყობილი ჩერქეზი ქალი თავზე მუდამ მუზარადს ატარებდა, რათა არავის დაენახა მისი წაბლისფერი, ლამაზი კულულები. დულუ-მელიქი ამაყობდა თავისი შვილობილის სიმარჯვით და ნადირობისას და ლაშქრობებში სულ თან დაჰყავდა.

ვერ აისრულა გულის წადილი ჩერქეზმა ქალმა, უშედეგო აღმოჩნდა მისი შურისძიების სურვილი, სწორედ შურისძიების გამო თქვა უარი ქალობაზე და თავისი ხანმოკლე წუთისოფელი ვაჟკაცის ცხოვრებით იცხოვრა, შაჰისაგან უზომოდ შეურაცხყოფილმა და ნამუსახდილმა, შემდეგ უსარგებლო ნივთივით გაჩუქებულმა, ვერ მიაღწია საწადელს. ვერ მიუზღო სამაგიერო მტარვალს. უსამართლო და დაუნდობელი ყოფილა ამ ლამაზი, უიღბლო ქალის ბედისმწერელი.

დულუ-მელიქის მცირე ლაშქრის უმეტესი ნაწილი შაჰმა გაანადგურა, ხოლო თვითონ, რამდენიმე ათეული მხედრის თანხლებით, თავს გაქცევით უშველა.

არ გამართლდა თეიმურაზის ვარაუდი, თურქეთის დიდი ვეზირი ისევ ირანის საზღვართან იყო დაბანაკებული და ფეხს არ იცვლიდა. ხოლო შაჰის ურიცხვი ლაშქარი უკვე ქართლს შეესეოდა და აოხრებდა. ქართლიდან ყიზილბაშები კახეთს მოედვნენ, დაიწყეს მოსახლეობის გაწყვეტა და ქვეყნის განადგურება.

თეიმურაზმა ვერ გაბედა შაჰის ურიცხვ ლაშქართან შებრძოლება და ისევ იმერეთს შეაფარა თავი. დარჩა კახეთი პატრონის გარეშე, ღვთის ანაბარა. მიხვდნენ რა კახელები, მათი მშველელი აღარავინ იქნებოდა, თვითონ დაიწყეს ზრუნვა თავის გადასარჩენად. თითოეული სოფელი უბრძოლველად არ ნებდებოდა, ხოლო ბავშვები, მოხუცები და ქალები მიუვალ ადგილებში აგებულ, ეკლესია-მონასტრებში ჰყავდათ გახიზნული...

შუაგულ ტყეში მიმავალ ვიწრო ბილიკს მიუყვებოდნენ მოხუცები, ქალები და ბავშვები, წინ სოფლის მღვდელი მიუძღოდათ. კარგა ხნის სიარულის შემდეგ მოსაღამოვებულზე, როგორც იქნა მიაღწიეს ტაძარს, რომელიც სხვა ეკლესიებისგან გამოირჩეოდა თავისი სიმაღლითა და მასშტაბურობით. ტაძარი შუაგულ ტყეში, მიუვალ ადგილას, თლილი ქვით იყო აგებული. ხუროთმოძღვარს არა მარტო მისი გარეგნული სიდიადის სრულყოფაზე ეზრუნა, არამედ შიდა ნაწილიც გონივრულად გაემართა. ტაძრის ოთხივე მხარეს შენიღბულად, კედლებს შორის, ჩაშენებული იყო მოზრდილი, დარბაზის მსგავსი სენაკები, სადაც რამდენიმე ათეულ ადამიანს შეეძლო თავის შეფარება. ეს სენაკები განთავსებული იყო ტაძრის ზედა ნაწილში. ოთხივე სენაკს ერთი პატარა შესასვლელი კარი ჰქონდა, რომელიც

კარის კი არა, უფრო კედლის ნაპრალის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სადაც ადამიანს მხოლოდ გვერდულად შეეძლო შესვლა. სენაკებს ერთმანეთთან აკავშირებდა ვიწრო დერეფნის მსგავსი გასასვლელები. შედარებით დიდი დარბაზიდან ქვემოთ ჩადიოდა ვიწრო გვირაბი, რომელიც ტაძრიდან, არც თუ ისე შორს, ტყეში, წყაროსთან გადიოდა. ავბედითობის ჟამს ბევრჯერ შეუფარებია თავი მოსახლეობას ამ ტაძრისათვის. ახლაც სოფლის მღვდელი, რამდენიმე ბერის თანხლებით მტრისაგან დევნილ მოსახლეობასთან ერთად მიადგა ტაძრის კარიბჭეს. მოსულებს ბერ-მონაზვნები გამოეგებნენ, შეუძღვნენ შიგნით, მარჯვენა მხარეს კიბე მიადგეს კედელს და დაიწყეს მოხუცების, ბავშვებისა და ქალების ზემოთ აყვანა. მონასტრის ძვირფასეულობა კიბესთან ერთად აიტანეს და შესასვლელი ნაპრალი შიგნიდან ამოქოლეს. ის ღამე მშვიდობიანად გათენდა. მეორე დღეს, შუადღე გადასული იყო, როდესაც მონასტრის კედლებში თავშეფარებულ მოსახლეობას ცხენთა ფლოქვების თქარა-თქურის ხმა შემოესმა. ცოტა ხანში სათვალთვალო პატარა სარკმლიდან შეამჩნიეს თავზე წითელდოლბანდმოხვეული ყიზილბაშები. სამალავში მყოფნი გაირინდნენ. დიდი თუ პატარა ხვდებოდა რა საშიშროება ელოდათ, თუ ყიზილბაშები სამალავს მიაგნებდნენ, ამიტომ ყველა დიდიან-პატარიანად დაზაფრული, გაყუჩებულ-გარინდებული იჯდა ქვის ცივ ფილაქანზე ღვთისმშობლის ხატის წინ და გამალებით პირჯვარს იწერდა. ქართველები გადარჩენას ევედრებოდნენ ღვთისმშობელს. ცხენებზე ამხედრებული ყიზილბაშები ტაძარში შემოვიდნენ, მათ ქვეითებიც მოჰყვნენ. ურჯულოებმა დაიწყეს სიწმინდეების წაბილწვა, ეძებდნენ ძვირფას ნივთებს, მოშალეს საკურთხეველი. ტაძარი დაცარიელებული იყო, კედლებიდან მხოლოდ წმინდანთა ფრესკების დამწუხრებული სახეები იმზირებოდნენ. მათი ეს მზერა აღაგზნებდათ, ისედაც გავეშებულ ყიზილბაშებს.

ტაძრის სამალავის დიდი დარბაზის კუთხეში, ქვის იატაკზე, ფარდაგი იყო დაფენილი. ფარდაგზე ფეხმძიმე ქალი იწვა. ეტყობოდა ბოლო თვეში იდგა და მშობიარობა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. ამ საერთო სიჩუმისა და დაძაბულობის ფონზე, მხოლოდ მისი ყრუ გმინვა ისმოდა. თავთან ეჯდა ხუთიოდე წლის გოგონა და ხელით დედას შუბლზე მომსკდარ ცივ ოფლს სწმენდდა. ყველა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მუხლმოყრილი ლოცვით ევედრებოდა ღვთისმშობელს

მშობიარის გადარჩენას. უცებ ქალმა ხმამაღლა ამოიკვნესა, ჩანდა, რომ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, მშობიარობა დაეწყო. მოხუცმა ბებიაქალმა მღვდელს, ბერებსა და ხანდაზმულ მამაკაცებს ხელით ანიშნა, რომ პირით კედლისკენ შებრუნებულიყვნენ, თვითონ კი ქალის ბოხჩა გახსნა და ნაჭრების ამოლაგება დაიწყო. მშობიარე უკვე ხმამაღლა კვნესოდა და ის იყო უნდა დაეყვირა, რომ ბებიაქალმა, მას პირზე ხელი დააფარა და მამაკაცებს გასძახა – ჩქარა, ხანჯალი მომაწოდეთ. მღვდელმა ანაფორის ქვეშ წელზე ასხმული იარაღიდან ხანჯალი შეიხსნა და ბებიაქალს მიაწოდა.

– კბილები მაგრად მოუჭირე და ეცადე არ დაიყვირო! – ჩუმი ხმით მიმართა მშობიარეს და ხანჯლის ტარი ორსულს პირთან მიუტანა.

ტაძარში შემოსული ყიზილბაში მხედრები და ქვეითები ერთიანად გარინდებულიყვნენ, ხმლები ქარქაშებში ჩაეგოთ, შუბებიც ძირს დაეშვათ. ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევდა. უცებ ასისთავმა ცხენს ქუსლი ჰკრა და ტაძრის მარჯვენა კედელთან მიაგდო, საიდანაც ღვთისმშობლის ფრესკა იმზირებოდა. ყიზილბაშმა შუბი მოიმარჯვა და ღვთისმშობელს სახეში აძგერა, შემდეგ ფრესკაზე გამოსახული ღვთისმშობელი შუბის წვერით, მთელ ტანზე, თავიდან ფეხებამდე ჩამოჰკაწრა. უმალ ცხენმა დაიწყო ფრუტუნი, მთელი სხეულით თრთოდა ცხოველი, გრძნობდა რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო. შემდეგ წინა ფეხებზე აიწია, ყალყზე შედგა, ზურგი ჩაიზნიქა და მხედარი ძირს ჩამოაგდო. გარეთ ცას შავი ღრუბელი გადაეფარა, მოიქუფრა და ჩამობნელდა. გაიელვა, ატყდა ჭექა-ქუხილი. ყიზილბაშები ტაძრიდან გარეთ გამოცვივდნენ, მხოლოდ მათი ასისთავი ეგდო უსულოდ, დაცარიელებულ ტაძარში, ქვის იატაკზე.

იმ დროს როდესაც ყიზილბაშთა ასისთავმა ღვთისმშობლის შეურაცხყოფისათვის, სასჯელად ჭექა-ქუხილი და დელგმა მიიღო უფლისგან, ამ ხმაურსა და გამაყრუებელ ჭექა-ქუხილს შეუერთდა ახალშობილის გაბმული ტირილი. ბებიაქალმა ბიჭი სახელდახელოდ გაახვია ნაჭრებში და დედას მკერდზე დაუწვინა. პატარამ სწრაფად მოჰკიდა ძუძუს თავს ტუჩები და ძალუმად გამოსწოვა. ჭარბად გამონადენი რძის ნაკადი ახალშობილს ლოყაზე ჩამოსდიოდა და ქვემოთ ნიკაპთან წვეთ-წვეთად წყდებოდა. ქალები და ბავშვები თვალცრემლიანნი შეჰყურე-

ბდნენ დედა-შვილის ამ ღვთაებრივ კავშირს, ხოლო მოხუცი მამაკაცები თავჩაქინდრულნი იდგნენ და მძიმედ განიცდიდნენ თავიანთ უმწეობას.

მხოლოდ პატარა ვაჟკაცი წოვდა უდარდელად ძუძუს და დროდადრო ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. ალბათ ამ ახალშობილი ყრმის ღიმილი იყო ღვთისმშობლის მინიშნება მათ გადარჩენაზე.

იქვე ტაძრის ახლოს მდგარ მუხის ხეს მეხი დასცემოდა. მუხის ქვეშ წვიმას შეფარებული რამდენიმე ყიზილბაში, სასიკვდილოდ განწირული ეგდო ძირს და ალაჰისაგან შენდობას ითხოვდა. განცვიფრებულნი, გაოგნებულნი და შეშინებული ყიზილბაშები ყვირილით უხმობდნენ ერთმანეთს სიბნელეში და ცხენებზე ამხედრებულნი სწრაფად ტოვებდნენ იქაურობას.

სახელდახელოდ აშენებულ სიმაგრეებს თავგანწირვით იცავდნენ კახელები, რათა მათ უკან გასახიზნად წასულ ცოლებს, შვილებს, დებს, მამებსა და დედებს დროულად მიეღწიათ სამალავისათვის და მტერს არ ჩავარდნოდნენ ხელში. ძნელი იყო ურიცხვი მტრის მოზღვავების შეჩერება, ძვირად უჯდებოდათ ყიზილბაშებს თითოეული სიმაგრის დაკავება. ერთ-ერთი სიმაგრის აღებისას ურჯულოები გაოგნებულნი დარჩნენ, ერთი ქართველი მეომარი, მრავალი ჭრილობისაგან სისხლისაგან დაცლილი, უსულოდ იწვა მიწაზე, მარჯვენა ხელში შუაზე გადატეხილი ხმალი ეჭირა, მარცხენაში მტრის სისხლით შეღებილი ხანჯალი, ხოლო მის გარშემო ათამდე სიცოცხლეს გამოსალმებული ყიზილბაშების დაჩეხილი გვამები ეყარა, — დიახ, ამაოდ არ შეაკლა მტერს გმირულად თავი ამ კახელმა გლეხმა. ის იმ ფეხმძიმე დედაკაცის ქმარი გახლდათ, მისი თავგანწირული სიკვდილი კი ახალი სიცოცხლის, მისი ვაჟის, დაბადების საზღაური იყო.

შაჰმა სრულიად მოაოხრა კახეთი. ისევ აჩეხა ვენახები და ხეხილის ბაღები, ნანგრევებად აქცია საცხოვრებელი სახლები და სალოცავები. უამრავ ტყვეს და ურიცხვ საქონელს მოუყარა თავი და ირანის გზას გაუყენა. ტყვეთა უკიდეგანო ქარავანს ბოლო არ უჩანდა, ბევრი ვერ უძლებდა ამ იძულებითი მგზავრობის უსაშინლეს პირობებს. განსაკუთრებით უჭირდათ მოხუცებს და ბავშვებს, მრავალი მათგანი გზაში იღუპებოდა. სასტიკი და დაუნდობელი შაჰის ბრძანების თანახმად, ჭირისუფლებს ეკრძალებოდათ გარდაცვლილთა დაკრძალვა.



განკითხვის ჟამი დამდგარიყო, ქართველთა ცოდვით იწვოდა ქართული მიწა, მიწა, რომელიც ტყვეებთან ერთად იყო დასჯილი. მტარვალმა მას მისი უმთავრესი ფუნქცია ჩამოართვა, – ქრისტიანული, მართლმადიდებლური წესით მიებარა და გულში ჩაეკრა თავისი გარდაცვლილი შვილები.

რა ექნა, რა ეღონა, რით დახმარებოდა და როგორ გამოსარჩლებოდა თავის ბინადართ, მიწას რა შეეძლო?! ტყვეთა ქარავანს უკან მიჰყვებოდა, ქართველთა დაუკრძალავი ცხედრებითა და შინაურ ცხოველთა ლეშით დამძღარ ყვავ-ყორანთა გუნდი, რომელსაც სიმაძღრისა და სიმძიმის გამო ფრენა უჭირდა, მიდიოდა შორეული ირანისაკენ განწირულთა გრძელი ქარავანი და კვალად ტოვებდა: ტირილს, ცრემლს, მოთქმას, გოდებას, სისხლსა და გვამებს.

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჯაბამ სამხედრო სავალდებულო სამსახური დაამთავრა და მშობლიურ სოფელში დაბრუნდა.

ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა მიწაზე შრომას არ თაკილობდა, დილიდან საღამომდე მამას ედგა მხარში, ხან ვენახს უვლიდა, ხანაც სიმინდს უთოხნიდა ძირს.

– ჯაბა, საკუთარ ოჯახში ყოფნა და შრომა კარგია, მაგრამ სამომავლოდ უკეთეს ცხოვრებაზე უნდა იფიქრო! – უთხრა ჯაბას ქალაქიდან ჩამოსულმა მისმა მეზობელმა, გურამმა, რომელიც თავისი „ოპელის“ სალონს ასუფთავებდა.

– როგორ არ ვფიქრობ, მაგრამ პროფესია მე არ მაქვს, ჯარისკაცობის მეტი არა ვიცი რა.

– თუ ჭკუას მოუხმობ, ეგეც საკმარისია. წამოდი ჩვენთან, შინაგან საქმეთა სამინისტროში, ახალი სპეცდანიშნულების რაზმი ყალიბდება. მეც იქ ვმსახურობ. სიმაღლე და ფიზიკური მონაცემები ხელს გიწყობს, დანარჩენს იქ გასწავლიან! – უთხრა გურამმა.

ჯაბას გურამის შეთავაზება ჭკუაში დაუჯდა, არც მშობლები იყვნენ წინააღმდეგი მისი ქალაქში წასვლისა. კვირის თავზე შსს კადრების სამმართველოში გამოცხადდა. ჯაბამ წარმატებით გაიარა ტესტირება, გასაუბრებაზეც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კომისიის წევრებზე, ან კი რას დაუწუნებდნენ ამ ახოვან და ფიზიკურად ძლიერ ახალგაზრდა კაცს.

ჯაბა კმაყოფილი იყო შეთავაზებული პირობებით. ყველაზე მეტად კი ის ახარებდა, რომ საკმაოდ მაღალი ხელფასი დაუნიშნეს. ბედს არ უჩიოდა და ხელფასის წყალობით მშობლებსაც ეხმარებოდა.

კვირა დღე იყო. ჯაბა ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა, ზანტად აიღო ყურმილი, რადგან მხოლოდ კვირას შეეძლო გვიანობამდე ენებივრა საწოლში, სხვა დღეებში უთენია დგებოდა.

– გისმენთ! – ნახევრად ძილბურანში მყოფმა უპასუხა ზარს, თვალები მოიფშვნიტა და ტელეფონის ეკრანს დახედა. გურამის ნომერი იცნო.

– დღეს არაფერი დაგეგმო, ნინისთან ვართ დაპატიჟებული,

დაბადების დღეზე (ნინი გურამის მეგობარი იყო), – უთხრა გურამმა.

– სოფელში მინდოდა წასვლა, – წაილუღლუღა ჯაბამ.

– თუ აუცილებელი არ არის, სხვა დროს წადი, ნინიმ პირადად მთხოვა, რომ შენთან ერთად ვესტუმრო.

– კარგი, რა გაეწყობა! – უპასუხა ჯაბამ, საწოლიდან წამოდგა და პირის დასაბანად სააბაზანოში შევიდა...

ნინის დაბადების დღეზე მისი უახლოესი მეგობრები ეწვივნენ. ახალგაზრდები ხომ გართობის, სიმღერისა და ცეკვათამაშის დიდოსტატები არიან. მათ ამჯერადაც არ უღალატეს ჩვეულებას და იქაურობა აიკლეს. მხოლოდ ერთი მოხდენილი, თავის ასაკთან შედარებით ჭკუადამჯდარი გამომეტყველების მქონე ქალიშვილი იჯდა განცალკევებით და მასპინძლის საოჯახო ალბომს ათვალიერებდა. ჯაბა, როგორც სოფელში გაზრდილი ბიჭი, ზედმეტ სითამამეს არ იჩენდა ქალაქელ სტუმრებთან, ცდილობდა რაც შეიძლება თავშეკავებული ყოფილიყო და არაფერი წამოსცდენოდა ისეთი, რაც მას უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა.

– თუ ნებას დამრთავთ თქვენთან ერთად დავათვალიერებ სურათებს, – მორიდებით მიმართა ჯაბამ ქალიშვილს და მის გვერდით ჩამოჯდა.

– სიამოვნებით! – უთხრა ქალიშვილმა და რამდენიმე სურათი ჯაბას გაუწოდა, ისინი ერთმანეთს გაეცნენ.

– ნათია მქვია, მე თქვენ გიცნობთ, გურამის მეგობარი ხართ. თქვენს შესახებ ნინი მესაუბრა... რას საქმიანობთ? – ჰკითხა ქალიშვილმა.

ჯაბას სიამოვნებდა ამ მშვენიერი არსების ნაზი ხმა, ყურადღებით უსმენდა მის ტიტინს და შეკითხვებსაც ხალისით პასუხობდა, თუმცა, როცა მისი საქმიანობის შესახებ ჰკითხა ნათიამ ჯაბას, ის ოდნავ შეყოვნდა, არ უნდოდა გაემხილა, რომ სპეცრაზმში მსახურობდა. ქალიშვილმა იცოდა, საზოგადოება არც თუ ისე კეთილად იყო განწყობილი ამ დამსჯელი ორგანიზაციის მიმართ, რომელიც მიტინგების დარბევის დროს ზედმეტ სისასტიკეს იჩენდა.

– ჯარში ვმსახურობ, კონტრაქტით, – იცრუა ჯაბამ და ქალიშვილს თვალი მოარიდა.

– თქვენი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, სხვა სამსახურში ვერც წარმოგიდგენდით, – ღიმილით უთხრა ნათიამ და მრავლისმეტყველი თვალებით ისე შეხედა ვაჟს, თითქოს უქებდა სამსახურს.

– თქვენ უკვე გაიცანით ერთმანეთი? – ჰკითხა ნინიმ ქალ-ვაჟს, რომლებიც ტკბილად ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს.

– გავიცანით და დავმეგობრდით კიდეც, – ღიმილით უთხრა ნათიამ ნინის და თანხმობის ნიშნად ჯაბას შეხედა, რომელიც თავის მხრივ ნათიას ხელზე ეამბორა და საცეკვაოდ გაიწვია.

იღბლიანი აღმოჩნდა ჯაბასთვის ნინის დაბადების დღეზე მიწვევა და ნათიას გაცნობა. ამის შემდეგ ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, დაახლოვდნენ და სულ მალე მათ შორის სასიყვარულო გრძნობებიც გაჩნდა. ნათია სულ უფრო ცდილობდა ხშირად ყოფილიყო ვაჟთან. ჯაბაც ვერ ძლებდა უიმისოდ, მაგრამ...

იმ დროს ქვეყანაში შიდა პოლიტიკური ვითარება მკვეთრად დაიძაბა. ჯაბა სულ უფრო მეტად იყო დაკავებული სამსახურში. ზოგჯერ კვირა ისე გავიდოდა, რომ ნათიას ვეღარ ნახულობდა, მხოლოდ ტელეფონით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

ხელისუფლება უმკაცრეს ზომებს ატარებდა მოსახლეობის იმ ნაწილის მიმართ, ვინც პრეზიდენტისა და მთავრობის პოლიტიკას აკრიტიკებდა. ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო მოსახლეობა მშვიდობიან მიტინგებს პერმანენტულად აწყობდა...

თენდებოდა 2011 წლის 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. თავისუფლების მოედანი და პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორია მომიტინგეებით იყო სავსე. გადაუღებლად წვიმდა. ხელისუფლებას 26 მაისისთვის სამხედრო აღლუმი ჰქონდა დანიშნული. პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, პარლამენტის წინ შეკრებილი მშვიდობიანი მოსახლეობა დაერბია. შუაღამე გადასული იყო, როცა სპეცდანიშნულების რაზმებმა და მიტინგების დასარბევად გაწვრთნილმა სხვა შენაერთებმა ალყაში მოაქციეს მომიტინგეები. ატყდა საშინელი ანგარიშსწორება მათ მიმართ. სპეცრაზმელები უმოწყალოდ ურტყამდნენ რეზინის ხელკეტებს მომიტინგეებს, ერთ ადამიანს ათი სპეცრაზმელი უსწორდებოდა, ხელებს

უკოჭავდნენ, ძირს აგდებდნენ და სასიკვდილოდ იმეტებდნენ. ამ სანახაობით გაოცებული უცხოელი კორესპონდენტები გაოგნებულნი იყვნენ მათი ქმედებით, უკვირდათ, განა როგორ უნდა სძულდეს ხელისუფლებას საკუთარი ხალხი, რომ ასე სასტიკად უსწორდებოდესო.

– არ დამარტყა შვილო, ავადმყოფი კაცი ვარ, წნევიანი! – ევედრებოდა ჭაღარამოსილი კაცი მის წინ მდგარ კუნთმაგარ სპეცრაზმელს.

– თუ ავადა ხარ, სახლში ვერ დაეგდები, რას დაეთრევი მიტინგებზე?! – დაუღრიალა სპეცრაზმელმა და მთელი ძალით დაჰკრა მხარზე რეზინის ხელკეტი მოხუცს. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მოხუცი ძირს დაეცა.

– რას სჩადი! ქართველი არა ხარ? ასე რამ გაგამხეცა? – აღმოხდა ტკივილისაგან შეწუხებულ მოხუცს და სპეცრაზმელს შეხედა. ის კი ისე იყო შეფუთული „კომუფლაჟში“, რომ თვალების გარდა არაფერი უჩანდა.

– წინააღმდეგობას მიწევ? – მთლად შეიშალა სპეცრაზმელი და ძირს დაგდებულ მოხუცს ახლა სახეში ჩაარტყა რეზინის ხელკეტი. გამწარებულ მოხუცს სახიდან სისხლი წასკდა, თვალები ფართოდ გაახილა და გამხეცებულ ჯალათს მიახალა, – მეცოდები! – ამ სიტყვამ კიდევ უფრო გაახელა სპეცრაზმელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დავარდნილ მოხუცს მძიმე ჩექმიანი ფეხი წელის არეში ჩაარტყა.

მოხუცმა სიმწრისაგან ამოიგმინა.

– უფალმა შეგინდოს! – ძლივს წარმოსთქვა და გონება დაკარგა.

სპეცრაზმელი ერთხანს დააშტერდა მოხუცს, შემდეგ ფეხი წაჰკრა ფერდში, თითქოს ამოწმებდა ცოცხალი იყო თუ მკვდარი.

– მოკვდა ვითომ? – იკითხა თავისთვის, მერე ძირს დავარდნილ მოხუცს გადააბიჯა და ხელკეტმომარჯვებული სხვა მომიტინგეს დაედევნა.

ეს იყო „ბართლომეს ღამე“, რომელიც პრეზიდენტმა და ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს მოუწყო. გამთენიისას პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე სისხლის გუბეები იდგა. ამაოდ ცდილობდნენ სახანძრო მანქანები ტერიტორიის უკვალოდ გადარეცხვას.

ცემასა და ტკივილს ასე თუ ისე გაუძლებდა მოსახლეობა, ამაზრზენი და უტიფარი იყო ის ქმედება, რაც მეორე დღეს, 26 მაისს, ქვეყნის პირველმა პირმა ჩაიდინა, რომელმაც ჯერ კიდევ წინა ღამით მშვიდობიანი მომიტინგეების უსასტიკესად დარბევის შედეგად სისხლით შეღებილი პარლამენტის წინამდებარე ტერიტორიაზე ჯარისკაცების აღლუმი ჩაიბარა, ხოლო აღლუმის ბოლოს პრეზიდენტის კარის მომღერალმა, სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ახალგაზრდა გოგონამ, იქ შეკრებილი ხალხის წინაშე საქართველოს ჰიმნი ომახიანად დააგუგუნა. ეს აღლუმი არ ჰგავდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმის აღნიშვნას, არამედ ეს იყო საკუთარ ხალხზე გამარჯვების აღსანიშნავად მოწყობილი აღლუმი.

მძიმედ გადაიტანა სრულიად საქართველომ ხელისუფლების გაუმართლებელი სისასტიკე საკუთარი ხალხის მიმართ. მოსახლეობაში სრულმა უიმედობამ და ნიჰილიზმმა დაისადგურა.

გავიდა ხანი. ხალხი ნელ-ნელა იშუშებდა ხელისუფლებისაგან, 26 მაისს მიყენებულ ჭრილობებს. მდგომარეობა დროებით განიმუხტა, აღარ ტარდებოდა მიტინგები. ირგვლივ მოჩვენებითი სიმშვიდე სუფევდა.

ჯაბას ახლა უფრო მეტი დრო ჰქონდა ნათიასთან ურთიერთობისათვის. სპეცრაზმელები პრეზიდენტის ფონდიდან პრემიებით იყვნენ წახალისებულნი, რადგან მათ მთავრობის მიერ მიცემულ დავალებას პირნათლად გაართვეს თავი. მათ შორის იყო ჯაბაც.

– ნათია, დღეს საღამოს რესტორანში გეპატიჟები! – შეეხმიანა ერთ დღეს ტელეფონზე ჯაბა ქალიშვილს.

ნათიამ სიხარულით მიიღო ჯაბას მიპატიჟება, საღამომ ხალისიანად ჩაიარა. ნათია ბედნიერი იყო, რადგან რესტორანში ჯაბამ ოფიციალურად სთხოვა ხელი. უზომოდ კმაყოფილ ქალიშვილს სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა. რესტორნიდან ჯაბამ ნათია სახლამდე მიაცილა.

– ამდენი ხანია ერთად ვართ, შენ კი ერთხელაც არ ყოფილხარ ჩემთან სახლში, მითუმეტეს, ახლა მიზეზი გვაქვს! – ღიმილნარევი წყენით მიმართა ნათიამ ვაჟს.

– ხომ იცი მერიდება შენს მშობლებთან შეხვედრა, – უპასუხა ჯაბამ და სიგარეტს მოუკიდა.

– არავითარი მორიდება, ახლა ჩემთან ავალთ და ჩემს მშობლებს გაგაცნობ! უარი არ მითხრა, თორემ ჩემს თანხმობას უკანვე წავიღებ! – სიცილით უთხრა ნათიამ.

– შენგან უარის თქმას ვერ გადავიტანი, მირჩევნია დაგთანხმდე, – უპასუხა ვაჟმა.

კარი ნათიას უფროსმა დამ, ლიზამ გააღო.

– გაიცანი ლიზი, ეს ჯაბაა! – ლიზიმ თავაზიანად გაუღიმა სტუმარს და ხელი გაუწოდა.

მისაღებ ოთახში ნათიას დედა სახელდახელო სუფრას აწყობდა საპატიო სტუმრის პატივსაცემად.

– დედა, დღეს მამა როგორ არის? – ჰკითხა ნათიამ დედას.

– შედარებით უკეთ! თავის ოთახშია, ახლავე გამოვიყვან! – თქვა დედამ და ინვალიდის ეტლი, რომელშიც მამა იჯდა, საძინებელი ოთახიდან გამოაგორა.

– ჯაბა გაიცანი, ეს მამაჩემია! – უთხრა ნათიამ ვაჟს და მამას მოეხვია.

ჯაბა ელდანაკრავივით ადგილზე გაქვავდა, უნდოდა ფეხი წინ გადაედგა, მაგრამ თითქოს დამბლა დაეცაო, ადგილიდან ვეღარ იძროდა. სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა, ყურში კი ზარივით გაბმულად ჩაესმოდა: უფალმა შეგინდოს!.. უფალმა შეგინდოს!.. უფალმა შეგინდოს!.. – მან ორივე ხელი ყურებზე აიფარა და თავი ძირს დახარა.

– რა დაგემართა? ცუდად ხომ არ ხარ?! – გაკვირვებული შეჰყურებდა ნათია ჯაბას და ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა მის თავს. ნათიას მამა, ბატონი ნიკოც გაოცებული იყო ჯაბას ქმედებით და მეუღლეს სთხოვა ჯაბასთვის ჭიქით წყალი მოეტანა. ჯაბამ წყალი მოსვა, გამოერკვია, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის წინ ინვალიდის ეტლში მჯდარი, მისგან სასტიკად ნაცემი და დაინვალიდებული კაცი, მისი უსაყვარლესი და სათაყვანებელი ქალის მამა იყო.

– მომიტევეთ, დღეს რაღაც ვერ ვარ კარგად, უნდა დაგტოვოთ, – ძლივს ამოილუღლუღა ჯაბამ და კარისკენ გაემართა.

– ჯაბა, რა გემართება?! – გამოედევნა უკან გაოცებული ნათია.



– ნათია, ძალიან გთხოვ არ გამაცილო, ბოდიშს გიხდი, ხვალ შეგეხმიანები! – თქვა ჯაბამ, დაემშვიდობა ოჯახის წევრებს და კარი გაიხურა.

ამაოდ ელოდა ნათია ჯაბას ტელეფონის ზარს, მაგრამ ის არ ურეკავდა, არც ნათიას ზარებს პასუხობდა, მისი ტელეფონი მუდმივად გამორთული იყო.

– ნათია, ჯაბამ მთხოვა ეს წერილი გადმომეცა შენთვის – გურამმა ჯიბიდან პატარა ბარათი ამოიღო და ნათიას გადასცა. ნათიამ გახსნა ბარათი. იქ მხოლოდ ორი წინადადება ეწერა:

„ნათია, მაპატიე, მე შენი სიყვარულის ღირსი არა ვარ, შენს ოჯახში შემოსვლის უფლება არ მაქვს“... ჯაბა.

ნათიამ ბარათი ხელით დაჭმუჭნა და აღელვებულმა შეხედა გურამს. მას თითქოს ენა დაება, გაფითრებული შეჰყურებდა ნათიას და საუბრის დაწყებას ვერ ახერხებდა. ბოლოს, როგორც იქნა, წარმოსთქვა:

– ნათია, მეც უნდა მაპატიო, რადგან სიმართლე არ გითხარი. ჯაბა სამხედრო სამსახურში არ მსახურობდა. იგი შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმის პოლიციელია, ამ რაზმის პირდაპირი მოვალეობა არის მიტინგების დარბევა და წესრიგის დამყარება. 26 მაისს მამაშენი სწორედ ჯაბას მიერ იქნა ნაცემი და დაინვალიდებული.

– კმარა! – ხმამაღლა შეჰყვირა ნათიამ და გურამს საუბარი შეაწყვეტინა.

– წადი! მარტო დამტოვე! – ბრძანების კილოთი მიმართა ნათიამ გურამს.

გურამი უხმოდ გაეცალა იქაურობას, ნათია მთელი სხეულით კანკალებდა, როგორც იქნა მიაღწია ავტობუსის გაჩერების ადგილს, სკამზე ჩამოჯდა, სახე მკლავებში ჩარგო და ხმამაღლა აქვითინდა.

გამოხდა ხანი, ჯაბა აღარავის უნახავს ქალაქში, არც სოფელში იცოდნენ მისი ასავალ-დასავალი.

ერთ დღეს, კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს ტაძარს, ექსკურსანტების ჯგუფი ეწვია. საოცარი სანახავი იყო ბუნების უმშვენიერეს სილამაზეში ჩაფლული თეთრი ეკლესია, რამოდენიმე ბერი სამეურნეო საქმით იყო დაკავებული. მათ შორის გამოირჩეოდა მაღალი, წარმოსადეგი გარეგნობის შავწვერო-

სანი ბერ-მონაზონი, რომელიც შეშის დიდ ნაჭრებს ნაჯახით აპობდა.

– ნინი, შეხედე, რა ნაცნობი სახე აქვს ამ სიმპათიურ ახალგაზრდა ბერს. იცი ვის მაგონებს? გახსოვს ამ ორიოდე წლის უკან გურამს რომ მოჰყვა შენს დაბადების დღეზე?! – უთხრა ნინის თეონამ.

– არა მგონია ის იყოს, შენ სადაც მიდიხარ ყველგან ნაცნობები გელანდება! – ღიმილით ეუბნებოდა ნინი მეგობარს, თან ინტერესით აკვირდებოდა ბერს.

ახალგაზრდა ბერმა ყური მოჰკრა ქალიშვილების საუბარს, შეშის დაპობა შეწყვიტა. მასაც ეცნაურა ეს ორი მშვენიერი ქალიშვილი, შემდეგ ორივეს თვალი მოარიდა, პირჯვარი გადაიწერა და თავისი კელიისაკენ გაემართა...

უკაცრავად!

მაგდას მისაღები ოთახიდან ტელეფონის გაბმული ზარის ხმა მოესმა, ყურმილში თიკას ხმა იცნო.

– მაგდა, სახლიდან გასული ვიყავი, ავტომოპასუხეზე შენი შეტყობინება იყო დატოვილი, ხომ მშვიდობით ხარ? ხომ არაფერი გიჭირს?

– გმადლობ მოკითხვისათვის, შენთან საქმე მაქვს, იქნებ შევხვდეთ სადმე, თუნდაც რუსთაველზე, დღეს, სამის მერე, მანამდე არ მცალია, დედამთილი უნდა ვნახო, ხომ იცი რა ცუდად არის! მომავალ კვირას ჩემს ქმარს მიჰყავს ავსტრიაში საოპერაციოდ, – უთხრა მაგდამ.

– კეთილი! შევთანხმდით! 5 საათზე რუსთაველის მეტროსთან გელოდები! – მიუგო თიკამ.

რუსთაველის მეტროსთან, ძვირადღირებულ კაფეში, ორი ელეგანტურად ჩაცმული, მშვენიერი მანდილოსანი მაგიდას მისჯდომოდა და ყავას სვამდა.

– თიკა, ხომ იცი თამაზი (თამაზი მაგდას მეუღლე გახლდათ) რა დაკავებულია. ზოგი ქალი ოცნებობს ქმრის პარლამენტარობაზე, მე კი ყელში მაქვს ამოსული მისი თანამდებობა, საერთოდ აღარ არის ოჯახში. ბავშვი მეცოდება, თორემ ჩემი თავი ჯანდაბას, გიუნა ხან კვირა ისე გავა მამას ვერ ხედავს, ამ წინასაარჩევნო პერიოდმა ხომ სულ დაავიწყა ჩვენი თავი. ხან მივლინებები, ხან კონფერენციები, ხან ამომრჩევლებთან შეხვედრები, ხან რა და ხან რა. ისე, რაც ეს მილიარდელი გამოჩნდა ქართულ პოლიტიკაში ყველაფერი თავდაყირა დადგა. ხალხი მიჩვეული იყო თავის ხვედრს, ამდენი წარუმატებლობის შემდეგ ოპოზიციაც მიყუჩდა, ხმას აღარავინ იღებდა, პრეზიდენტსა და სახელისუფლო პარტიას განაღდებული ჰქონდათ მომავალ არჩევნებში ისევ უმრავლესობით მოსვლა პარლამენტში, ამ მილიარდელის გამოჩენით კი, ყველაფერი შეიცვალა, ხალხი აშკარად მის მხარეზეა, ხელისუფლების შეცვლის იმედი გაუჩნდათ, ოპოზიციაც გამოცოცხლდა, პრეზიდენტიც საკმაოდ შეფუცხუნებულია, დღედაღამ გარეთ არის, არც თვითონ ისვენებს და არც თავისი გუნდის წევრებს აძლევს ამოსუნთქვის საშუალებას.

მაგდა არ ფარავდა თავის უკმაყოფილებას შექმნილი მდგომარეობის გამო და ქმრის მიმართ საყვედურებს არ იშურებდა.

– ოჯახის საქმეს საერთოდ აღარ თვლის საჭიროდ,

ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია! – არ ცხრებოდა იგი...

– თიკა, თამაზი თავის უცხოელ მეგობართან ერთად სავაჭრო ცენტრს ხსნის, საკმაოდ დიდი ფართია, ავეჯიც შევიძინეთ. ახლა შენობის გარე დიზაინი მინდა შევარჩიო, შენ ქალაქში ბევრი ნაცნობი გყავს, იქნებ იცნობდე ვინმე კარგ მხატვარს, მინდა ფირნიში გავაკეთებინო, თან გარე ფასადის გაფორმებაზეც შევუთანხმდებოდი.

– ვიცნობ, თანაც საკმაოდ ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარს, დარწმუნებული ვარ უარს არ გეტყვის, მას მსგავსი შეკვეთები სხვებისგანაც მიუღია და ყველა კლიენტი კმაყოფილია მისი ნამუშევრით. გინდა ეხლავე დავურეკავ? – უთხრა თიკამ მაგდას.

– თუ მაგ სიკეთეს იზამ, დავალებული ვიქნები შენგან.

თიკამ მობილურზე აკრიფა ნომერი, ტელეფონში ახალგაზრდა კაცის ხმა გაისმა, თიკამ და მხატვარმა მოიკითხეს ერთმანეთი, შემდეგ ქალი ახალი შეკვეთის შესახებ გაესაუბრა. ჯუნამ სიამოვნებით მიიღო შეკვეთა, შეხვედრის დროც დათქვეს.

მეორე დღეს მაგდა სახლში უნდა მისულიყო მხატვართან.

ქალბატონებმა მცირე ხნით კიდევ ისაუბრეს კაფეში და ერთამანეთს დაემშვიდობნენ. დამშვიდობებისას თიკამ მაგდას ღიმილით უთხრა:

– ჯუნა საკმაოდ ახალგაზრდა და სიმპათიურია, არც ქალების მიმართ არის გულგრილი, ფრთხილად იყავი! – მაგდამ თიკას ღიმილს ღიმილითვე უპასუხა და დამშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია.

მეორე დღეს მაგდა საგანგებოდ გამოეწყო, გაიკეთა მაკიაჟი, ჩაიცვა წელში გამოყვანილი, ტანზე შემოტმასნილი, გამოსასვლელი კაბა, სავსე, მოღიავებული მკერდი ოქროს მედალიონით დაიმშვენა. ამ იშვიათმა ძვირფასეულობამ ისედაც ლამაზი და თვალტანადი ქალბატონი უფრო მომხიბვლელად და სექსუალურად წარმოაჩინა.

ჯუნას მოემთავრებინა ნაუცბათევი საუზმე და ის იყო ხატვა უნდა დაეწყო, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა, ჯუნამ კარი გამოაღო და მოულოდნელობისაგან სახტად დარჩა, მის წინ იდგა ასე 35 წლამდე საოცრად მომხიბვლელი, ძვირფასი სამკაულებით მორთული ქალბატონი. დუმილი ქალმა დაარღვია.

– მე ის ვარ, თიკამ რომ დაგირეკათ...

– ჰო, რა თქმა უნდა, მობრძანდით! – გამოერკვა ჯუნა და მაგდა სახლში შეიპატიჟა, თან ბოდიში მოიხადა უწესრიგობის გამო. მაგდამ წამიერად თვალი მოავლო იქაურობას, ჯუნას

სახელოსნოს საკმაოდ მოზრდილი ფართი ეკავა. მარჯვნივ, პატარა ოთახში, სამზარეულო იყო განთავსებული, მარცხნივ, სახელოსნოს გვერდით, საძინებელი მოჩანდა.

სახელოსნოში პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ უგერგილოდ მიწყობილი ტილოები, სადაც მრავლად იყო წარმოდგენილი ქალის შიშველი მინიატურები სხვადსხვა რაკურსით. უცხო თვალი მაშინვე შეამჩნევდა, რომ ამ მხატვრის შემოქმედებაში ქალის თემას მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი.

– ყავას ხომ არ მიირთმევთ? – ჰკითხა მხატვარმა ქალბატონს.

– სიამოვნებით! – უპასუხა ქალმა, სკამიდან წამოდგა და სანამ მხატვარი სამზარეულოში ყავას მოადუღებდა, ის ინტერესით ათვალიერებდა ჯუნას შემოქმედებას. მაგდას თვალი გაურბოდა მინიატურებისაკენ, სადაც მშვენიერი ქალბატონები თავიანთი უზადო, ენით აუწერელი, ლამაზი სხეულებით, დედიშობილა იყვნენ წარმოდგენილნი მხატვრის ტილოებზე.

ჯუნა ყურადღებით ისმენდა მაგდას საუბარს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო შენობის გარე დიზაინი. შეარჩიეს ფერები, ფირნიშის ფორმატზეც შეთანხმდენენ და ფასზეც მორიგდნენ. მხატვარი მოხიბლული იყო ამ მშვენიერი ქალბატონის საუბრით, ქცევის მანერებით, არ სურდა მასთან განშორება და ცდილობდა მეტხანს ესაუბრა თავის შემოქმედებაზე. ქალიც გაშინაურდა, სიამოვნებით უსმენდა მომხიბვლელ ახალგაზრდას და მხატვრის სახელოსნოს დატოვებას არ ჩქარობდა.

– მე განსაკუთრებით თქვენს მიერ შექმნილი პორტრეტები მომწონს, – სთქვა მაგდამ და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

– შეგიძლიათ ექსპრომტად ჩემი პორტრეტი დახატოთ?

თითქოს ჯუნას გულისთქმა გამოიცნო ქალმა, მხატვარსაც დიდი სურვილი ჰქონდა ამ ქალბატონის სახე ქაღალდზე გადაეტანა და სიხარულით დათანხმდა.

– თუ დრო გაქვთ, სიამოვნებით, თქვენ ძალზედ გამომეტყველი და საინტერესო სახე გაქვთ, ასეთი სილმაზის გადატანა ქაღალდზე ჩემთვის დიდი პატივი იქნება.

ჯუნამ ადგილი შეარჩია, მაგდა სკამზე დასვა და სახით მარჯვნივ შეტრიალება სთხოვა. უნდოდა ქალი პროფილში დაეხატა. მაგდა უსიტყვოდ ასრულებდა ჯუნას მითითებებს, პერიოდულად მხატვარი ქალთან მიდიოდა სახის პოზიციას უცვლიდა და ისევ აგრძელებდა ხატვას.

– თავი ოდნავ მაღლა ასწიეთ, – უთხრა ჯუნამ ქალს და მის

ლამაზ ყელს ხელით შეეხო, ქალმა თავი ასწია და მხატვარს თვალებში ჩახედა. მისი მზერა, ვნებიანი გამომეტყველება, კაცისაგან ხატვას აღარ ითხოვდა. მას სულ სხვა რამ სურდა, სურდა ის, რაც ქალს ყველა სიმდიდრესა და ფუფუნებას ერჩივნა, სურდა კაცის სითბო, ალერსი, ვნება და ქალური ბედნიერება. ჯუნამ ფეხზე წამოაყენა მაგდა, ქალი ნახევრად შიშველი მკერდით ღრმად სუნთქავდა, გრძნობდა კაცის შეხებას და ნეტარების მოლოდინში გარინდული წინააღმდეგობას არ უწევდა ჯუნას, რომელიც გაშმაგებით უკოცნიდა მკერდს, ბროლივით ყელსა და ვნებიან ტუჩებს. შემდეგ მხატვარმა ხელში აიყვანა ქალი. მაგდა მიხვდა თუ რა განზრახვა ჰქონდა ჯუნას, მხურვალედ აკოცა კაცს, ორივე ხელი კისერზე შემოხვია და დაჰყვა მის ნებას.

მაგდა, ჯუნას მიერ შექმნილი შიშველი მინიატურის მსგავსად, დედიშობილა იწვა საწოლში და მხატვრის ალერსითა და ვნებიანი სექსით თავდავიწყებული, ქალური ბედნიერებით აღსავსე, სიხარულსა და კმაყოფილებას ვერ მალავდა. – ჩემი წასვლის დროა, – უთხრა ქალმა მხატვარს, საწოლიდან წამოდგა და ჩაცმა დაიწყო.

ჯუნამაც შარვალი ჩაიცვა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. მაგდამ კიდევ ერთხელ შეავლო თვალი იქაურობას და მზერა მხატვრის აქვარელზე შეაჩერა.

– აქვარელი თითქმის ამომშრალა, საღებავებიც აღარ გაქვს, ფუნჯებიც მოგძველებია, – თქვა მაგდამ, ხელჩანთიდან ორი ასდოლარიანი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

– იყიდე რაც ხატვისთვის გჭირდება, შენ ეს დაიმსახურე! – უთხრა მაგდამ. შემდეგ მიუახლოვდა ჯუნას, ლოყაზე მეგობრულად ეამბორა და დაემშვიდობა. წასვლისას მაგდამ კიდევ ერთხელ შეახსენა მხატვარს, რომ შეკვეთა დათქმულ დროზე უნდა შეესრულებინა და კარი გაიხურა...

– მაგდა, დღეს რუსთაველის თეატრის დირექტორმა ორი მოსაწვევი გამომიგზავნა, ამ საღამოს პრემიერაა, წავიდეთ. სულ იმას მემდურები, ჩემთვის არა გცალიაო. სულ დაკავებული ხარო, აი, ხომ ხედავ შენთვისაც მოვიცალე და პრემიერაზე გეპატიჟები, – უთხრა თამაზმა მეუღლეს და ლოყაზე აკოცა. მაგდამ კმაყოფილების ნიშნად თამაზს გაუღიმა და კოცნითვე უპასუხა.

რუსთაველის თეატრის ფოიე ქალაქის საპატივცემულო ადამიანებით, მთავრობისა და პარლამენტის წევრებით იყო სავსე.

პრემიერის დაწყებამდე მცირე დრო რჩებოდა. თამაზი თავის მეუღლესთან ერთად პრემიერაზე იყო მობრძანებული. მაგდა არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა, მისი სილამაზითა და მშვენიერებით მოხიბლულნი იყვნენ ნაცნობ-მეგობრები და ახლობლები, რომლებიც პრემიერის დაწყების მოლოდინში ჰოლში მუსაიფობდნენ. ჯუნას გავლენიანი მეგობრის შემწეობით ეშოვა ერთი მოსაწვევი პრემიერაზე დასასწრებად.

თეატრის ჰოლში უამრავი ხალხი ირეოდა. თამაზს, როგორც პარლამენტის მაღალჩინოსანს, ყველა იცნობდა და მას მოწიწებით ესალმებოდნენ, მაგდასაც განსაკუთრებული პატივით ექცეოდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ის გამორჩეული და დიდი ჩინის მქონე პიროვნების მეუღლე იყო.

ჯუნამ შეამჩნია მაგდა და ცდილობდა როგორმე მიახლოვებოდა ქალს. თამაზი თავის მეგობრებთან საუბრობდა. მაგდა მცირე ხნით მარტო დარჩა მეგობარ ქალბატონთან ერთად. ჯუნამ დრო იხელთა, მაგდას მიუახლოვდა, მის წინ გაჩერდა, თვალი გაუსწორა და ჩუმი ხმით მიმართა.

– თქვენ?! – მაგდა არ მოელოდა ჯუნას აქ გამოჩენას, სახეზე უკმაყოფილება დაეტყო, არ უნდოდა მის მეუღლეს უცხო მამაკაცთან შეემჩნია. ქალის თვალებიდან რისხვა გამოკრთოდა.

– უკაცრავად! იქნებ გამატაროთ! – მკაცრად მიმართა ქალმა.

ჯუნა დაიბნა. არ ელოდა მაგდას ასეთ პასუხს, წამით ადგილზე გაშეშდა, შემდეგ გამოერკვა და პატივცემულ ქალბატონს თავაზიანად მიუგო:

– მაპატიეთ, მიბრძანდით ქალბატონო!

– გმადლობთ! – მკვახედ მოუჭრა ქალმა და თავის მეგობარ ქალბატონს გადაულაპარაკა:

– ზოგი რა უტიფარია, – და ქედმაღლურად გამოხედა ჯუნას.

ჯუნამაც ირონიულად, სხვებისაგან შეუმჩნევლად გაიღიმა, თავი ოდნავ გააქნია და ქალბატონებს გაშორდა.

ამასობაში თამაზმაც დაასრულა მეგობრებთან საუბარი, მოძებნა მეუღლე, ხელკავი გამოსდო და ორივე პარტერისაკენ გაემართა. დარბაზში სინათლე ნელ-ნელა ჩაქრა.

სპექტაკლი დაიწყო...

გმირები არ კვდებიან!

ვუძღვნი ვანო გულედანის ხსოვნას

აღარ გადაიღო! – თქვა ოთახში შემოსულმა პორფირმა და თოვლისგან დასველებული შეშის ნაჭრები ანთებული ღუმელის ქვეშ შეანყო გასაშრობად.

– სამი დღეა გადაუღებლივ თოვს, წელს ნამეტანი ადრე ჩამოთოვა, ჯერ ნოემბერი ახლა დაიწყო, თოვლის საფარმა კი თითქმის ერთ მეტრს მიაღწია, – გაეპასუხა ლარისა ქმარს.

– თუ ასე გაგრძელდა თოვა სახლებს დააზიანებს. აგერ ფარჯიანების ბოსლის სახურავმა ვეღარ გაუძლო თოვლის საფარს და ჩაიქცა, – სინანულით წარმოსთქვა პორფირმა და ღუმელს შეშის ნაჭრეები შეუკეთა.

– დილიდან საღამომდე, ნაცვლად ყალიონის წევისა, ხელში ფიწალი რომ აეღო ვამეხ ფარჯიანს და ბოსლის სახურავი თოვლისაგან გადაეხვეტა, ეს ამბავი აღარ დაემართებოდა. დარჩათ საცოდავებს ამ ყიამეთში საქონელი ღია ცის ქვეშ.

– ქალო, რა შენი საქმეა ვამეხი ყალიონს მოსწევს, თუ სახურავს გადახვეტავს, შენ შენს ოჯახს მიხედე! – შეუბღვირა პორფირმა ცოლს.

ლარისამ ღუმელის საცხობის კარი გამოხსნა, იქიდან გამომცხვარი კუბდარები გამოიღო და გამოსაცხობები შეალაგა.

მეორე დღეს გამოიდარა, თოვლმაც გადაიღო, მზემაც გამოანათა, მაგრამ ძალა არ ჰქონდა. საოცრად ლამაზი სანახავი იყო თოვლით დაფარული უშბის მწვერვალი, რომელიც მზის სხივებზე მარგალიტივით ბრწყინავდა.

– მამა, გარეთ გაგვიყვანე, ეზოში ვიგუნდავებთ! – ტანზე ეკონწიალებოდნენ პორფირს თავისი შვილები. განსაკუთრებით პატარა ვანო არ ისვენებდა, რომელიც ხუთიოდე წლისა თუ იქნებოდა.

– კარგი, წავიდეთ! დედაკაცო, ბავშვებს ჩააცვი, გარეთ წავიყვან, იგუნდაონ! – მიმართა პორფირმა მეუღლეს და ქურთუკი ჩაიცვა.

ლარისამ ცომიანი ხელები წინსაფრით შეიწმინდა, ბავშვებს თბილად ჩააცვა და ქმარ-შვილი გარეთ საგუნდაოდ გააცილა.

გაიხარეს გოგო-ბიჭებმა, გუნდაობით რომ გული იჯერეს, მერე მამას დაუწყეს ძიძგილაობა, იმდენი ქნეს, სანამ თოვლში არ წააქციეს.

განსაკუთრებით ონავრობდა და არ ისვენებდა ვანო. ლარისას მოემთავრებინა კუბდარების ცხობა და აივანზე გამოსული, მომღიმარი სახით შესცქეროდა ქმრისა და შვილების თოვლში თამაშს.

პორფირმა, ვანოს ცელქობით შეღონებულმა, ხელში აიყვანა ბიჭი და ჯერ კიდევ გაუკვალავ, ფაფუკ თოვლში გადააგდო. ვანო სახით უნდა დაცემულიყო, მაგრამ ჰაერში ამოტრიალდა და გვერდით რბილად დაეშვა თოვლზე, მამა შეცბა, ბიჭისკენ გაიქცა, მაგრამ ვანომ აინუნშიც არ ჩააგდო მამის შეშფოთება. თოვლში რამდენჯერმე გადაკოტრიალდა და მამას მუხლებზე ააბობღდა. პორფირმა ხელში აიყვანა ბიჭი. ვანომ მამას ხელები გააშვებინა, ზურგზე მოექცა და კისერზე შემოაჯდა, მერე გამარჯვებულივით ტაში შემოჰკრა, მამა უშბისკენ მიახედა და თქვა:

– დიდი რომ გავიზრდები, უშბაზე ავალ! – პატარის ნათქვამმა მამას სიამაყე მოჰგვარა, მერე ქვემოდან ამოხედა ბიჭს და განზრახვა მოუწონა.

– შენ ისეთი ბიჭი ჩანხარ, უშბაზეც ახვალ და სხვა მწვერვალებსაც დაიპყრობ! – უთხრა პატარას და სახლის აივანზე ასასვლელი კიბეები ხვნეშით აიარა.

– ეს რა ჰქენი, კაცო?! ხომ არ შეიშალე! ბავშვი როგორ გადააგდე თოვლში! რამე რომ მოსვლოდა რას ფიქრობდი? – უსაყვედურა ლარისამ ქმარს.

– ამხელა თოვლში რა უნდა მოსვლოდა, – გამოაჯავრა პორფირმა ცოლს და შვილებს გახედა. ბავშვები ტანსაცმლიდან თოვლს იბერტყავდნენ და კიბეებზე ამოდიოდნენ.

– კოჭებში ეტყობა რა ბიჭიც გაიზრდება, ეს უშბაზე აუსვლელი არ დარჩება, ძნელია უშბის თოვლითა და ყინულით დაფარული ციცაბო კალთების დაძლევა, ამიტომ პატარაობიდანვე უნდა შეეჩვიოს ხიფათს, სუსხსა და სიცივეს! – ჩაილაპარაკა პორფირმა და ცოლ-შვილს ოთახში შეუძღვა.

სითბოსაგან ჩაღუღუნებულ ოთახში კუბდარის საამო და მადისამღვრელი სუნი ტრიალებდა...

გავიდა ხანი, გაიზარდა პატარა ვანო. დავაჟკაცდა, საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა, შემდეგ უნივერსიტეტში, გეოლოგის სპეციალობას დაეუფლა, მაგრამ ბავშობიდან მოყოლებული მთამსვლელობის უდიდესმა სურვილმა თავისი გაიტანა და სამაშველო სამსახურში დაიწყო მუშაობა. მალე ოჯახსაც მოეკიდა და ორი ვაჟკაცის მამა გახდა.

ვანოს სიკეთე და გულისხმიერება მთელს სვანეთში იყო ცნობილი. ის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ბავშვებისა და ხელმოკლე ოჯახების მიმართ. მისი უშუალო თაოსნობით, ყოველ ზაფხულს, სვანეთიდან ათეულობით მოსწავლე ისვენებდა ქვეყნის სხვადსხვა პიონერთა ბანაკებში.

ვანომ სამჯერ დალაშქრა უშბა, შხარას თოვლიან მწვერვალსაც დაატყო თავისი წრიაპის კვალი. ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მდებარე მთის მწვერვალებიც ბევრჯერ დაულაშქრავს. მის სახელს კარგად იცნობდნენ მსოფლიოს ცნობილი ალპინისტები...

– ვანო, სად დაიკარგე? რამდენი ხანია არ მინახიხარ? – ჰკითხა დიდი ხნის უნახავ მეგობარს იდრისმა.

– გაგრაში, ბზიფის ხეობაში ვიყავი, კლდეზე ცოცვის საკავშირო ჩემპიონატის შეჯიბრში მივიღე მონაწილეობა.

– მერე? ხომ არავინ გაჯობა?

– ჩემპიონი გავხდი, იქ, სადაც ქართველი მონაწილეობს რუსის, უკრაინელის ან სხვისი დასაკავებელი პირველი ადგილი სადაა?! მაგათ ხომ არ ავიწყდებათ, რომ ჩვენ, ქართველები უხსოვარი დროიდან კლდეებზე ვცოცავთ! – ღიმილით მიუგო ვანომ მეგობარს და სუფრასთან მიიწვია. ვანო გულედანი მეგობრებთან ერთად მესტიის რესტორანში ჩემპიონობას აღნიშნავდა.

– სოფელში როდის წამოხვალ? უცხოელი სტუმრები არიან ჩვენთან ჩამოსული, შენი ნახვა უნდათ. განსაკუთრებით ერთი ამერიკელი ფოტოკორესპონდენტი ელის შენთან შეხვედრას, აუჩემებია უშბაზე ამიყვანოსო, – უთხრა იდრისმა ვანოს და შამპანურის ბოკალს ხელი დააფარა, ნიშნად იმისა, რომ მეტს აღარ დალევდა.

– მერედა, ჩემს მეტი მთამსვლელი ვერავინ ნახა? მე რას მელოდება? – იკითხა ვანომ.

– ყველამ უარი უთხრა, ვერავინ ბედავს გამოუცდელი კაცის უშბაზე აყვანას.

– ვიღაცას უთქვამს უშბაზე მხოლოდ ვანოს შეუძლია შენი აყვანაო!

ვანოს გვერდით მჯდომ ბექნუ ხერგიანს არ ეპიტნავა ამერიკელის ჯიუტი განზრახვა და გაკვირვბით წარმოსთქვა:

– მაგას უშბაზე ასვლა ბროდვეიზე გასეირნება ხომ არ ჰგონია?! იმ ციცაბო კლდიდან თუ მოსწყდა, ისე წააცუნცულებს

მიქელ-გაბრიელი თავის საუფლოში, რომ უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებს, ეტყობა წერას არის ატანილი.

– ერთის მხრივ საინტერესო კაცი ჩანს. მშიშარა არა ყოფილა, – წარმოსთქვა ვანომ და „ქუდის დამხურავის“ სადღეგრძელო ბოლომდე დალია.

ვანოს გამარჯვებას მთელი სოფელი ზეიმობდა, ეამაყებოდათ თანასოფლელის წარმატება, გულით ულოცავდნენ და მის მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ...

სწორედ ასეთი წარმოედგინა ვანო გულედანი ამერიკელ ფოტოკორესპონდენტ ჯონ ბენსენს; მაღალი, ჯანღონით სავსე, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კაცი.

ბენსენი ხელის ჩამორთმევით გაეცნო ვანოს, ვანომ თავაზიანად გაუღიმა უცხოელს და ინგლისურად გაესაუბრა მას. ბენსენი არ ელოდა სვანეთში ცასმიბჯენილი თოვლიანი მწვერვალების საუფლოში, მის მშობლიურ ენაზე კარგად მოსაუბრე ადგილობრივ მოსახლეს თუ შეხვდებოდა.

– თქვენ იცით რა სახიფათოა მთის ციცაბო კლდეზე გამოუცდელი კაცის ასვლა? – ჰკითხა ვანომ ბენსენს.

– ვიცი, მაგრამ ბუნების ამ საოცარი და ულამაზესი ქმნილების, უშბის მწვერვალზე ასვლა სანუკვარ ოცნებად გადამექცა, ყოველმხრივ მოვემზადები! არაფერს არ დავიშურებ, ოღონდ უშბაზე ავიდე! – წარმოსთქვა ბენსენმა და ვანოს თვალი გაუსწორა.

– ეს ასე არ ხდება, მარტო სურვილი არ კმარა, უშბაზე ასასვლელად მომზადებაა საჭირო, კლდეზე ცოცვა უნდა შეგეძლოს, არ უნდა გქონდეს სიმაღლის შიში, ამის ცოდნას გარკვეული დრო და დაუღალავი ვარჯიში სჭირდება, – უხსნიდა ვანო უშბის მწვერვალის დაპყრობის ჟინით შეპყრობილ ფოტოკორესპონდენტს.

– ჩემთვის ეს ყოველივე გასაგებია. ვიცი, რომ სიძნელეების გადალახვა მომიწევს, თუ თქვენ თანახმა იქნებით ჩემს მომზადებაზე, მე მზად ვარ თქვენს მიერ გაწეული შრომის კომპენსირება მოვახდინო, – თქვა ბენსენმა და გულის ჯიბეში ხელი ჩაიყო, დოლარების შეკვრა ამოიღო და ვანოს გაუწოდა.

ვანო მოულოდნელობისაგან შეცბა, სახეზე სიმკაცრე დაეტყო.

– რას კადრულობთ?! ეგ ფული ჯიბეში ჩაიდეთ და წადით. თქვენთან საუბარი აღარ მინდა! – აღელვებით წარმოსთქვა და

ბენსენს მკაცრი მზერა მიაპყრო, მის გამოხედვაში ამ ფოტოკორესპონდენტის მიმართ პატივისცემის ნატამალიც აღარ იგრძნობოდა. უცხოელი მიხვდა თუ რა შეცდომა დაუშვა, რა უკადრისად მოექცა კაცს, რომელსაც შეეძლო მისი სურვილის ასრულება. ამერიკელმა ბოდიში მოუხადა ვანოს, პატიება სთხოვა და განმარტა, რომ ის ჯეროვნად არ იცნობდა ქართველების კულტურას, ადათ-წესებსა და ტრადიციებს, ამიტომ დაუშვა ეს შეცდომა და კიდევ ერთხელ სთხოვა ვანოს მიმტევებელი ყოფილიყო მის მიმართ. ბენსენის გულწრფელმა სინანულმა ვანოზე იმოქმედა, მიუტევა კადნიერება და შეთანხმდნენ, რომ ხვალიდან დაიწყებდნენ იმ ელემენტარული ვარჯიშების შესწავლას, რაც აუცილებელი იყო მწვერვალზე ასასვლელად...

ამერიკელმა მადლობა გადაუხადა ვანოს და ხვალინდელი დღის მოლოდინით გახარებული სასტუმროსაკენ გაემართა.

სასტუმროში ერთმა იტალიელმა ტურისტმაც გამოთქვა უშბაზე ასვლის სურვილი.

მეორე დღეს ბენსენი და იტალიელი ვანოსთან ერთად უშბაზე ასასვლელ ვერტიკალურ კედელს შეჰყურებდნენ. იტალიელმა შეხედა თუ არა მწვერვალზე ასასვლელი მარშრუტის ამ ურთულეს მონაკვეთს, შეშინებულმა უარის ნიშნად ხელები გაასავსავა და იქაურობას გაშორდა.

ერთკვირიანი მომზადების შემდეგ ვანომ და ამერიკელმა ფოტოკორესპონდენტმა დაიწყეს უშბაზე ასვლა. ბენსენის გამოუცდელობა მძიმე ტვირთად დააწვა ვანოს, მის გასაკეთებელ საქმესაც ის აკეთებდა და ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ. ნახევარი გზაც არ ჰქონდათ გავლილი, რომ ქვის ცვენა დაიწყო. ვანოს კლდეზე პალოს დაჭედების დრო აღარ ჰქონდა და ადრე, სხვა მთამსვლელის მიერ დაჭედებულ პალოზე დაიმაგრა თავი. ერთი ხელით პალოს იყო ჩაჭიდებული, ხოლო მეორე ხელით ბენსენს იჭერდა თოკით, რომელიც ქვის ცვენის გამო კლდეს მოსწყდა და თოკზე დაკიდებული უმწეოდ ქანაობდა. კლდეზე დაჭედებული პალო ნელ-ნელა ქვემოთ ჩამოიზნიქა, ორი კაცის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო. ვანომ ქვემოთ ჩამოჰხედა ამერიკელს, თოკზე დაკიდებულ ბენსენს შიშისაგან თვალები გაფართოებოდა და მცირედი იმედით შეპყრობილი შეჰყურებდა კლდეზე დაკიდებულ ვანოს.

გამოცდილი მთამსვლელი, როცა დარწმუნდება, რომ განწირულია და საშველი აღარ არის, ჭრის თოკს და ამით საშუ-

ალებას აძლევს მეწყვილეს, რომელსაც გადარჩენის შანსი ჯერ კიდევ აქვს, უფსკრულში არ ჩაიყოლოს, მაგრამ ბენსენისათვის ალპინისტთა ეს დაუწერელი კანონი უცხო იყო. ვანოს შეეძლო თოკის გადაჭრა და თავის გადარჩენა, მაგრამ განგება ვანოს ნათქვამი სიტყვების აღსრულებას ელოდა: „მე ისე არ ჩამოვალ კლდიდან, რომ ვინმეს თოკი გადავუჭრა“. დიახ! ეს ვანოს ნათქვამი სიტყვები იყო, მას ასე სჯეროდა! მას ასე სწამდა! ის ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი მრწამსის, არ გადაჭრა თოკი, პალო მთლიანად ქვემოთ ჩამოიზნიქა, ვეღარ გაუძლო სიმძიმეს და ორივე უფსკრულში გადაიჩეხა.

მიხეილ ხერგიანის დაღუპვის შემდეგ კიდევ ერთხელ ჩამოჰკრა გლოვის ზარმა სვანეთში, ამ დიდმა მწუხარებამ სრულიად საქართველო მოიცვა. უცხოელი სტუმრებიც მრავლად იყვნენ ვანო გულედანის დაკრძალვაზე. ვანოს საოცარი, ვაჟკაცური ქმედებით გამოწვეულ გაკვირვებას ვერ მალავდნენ უცხოელები, თუმცა გასაკვირი არც არა იყო რა. სვანეთისა და სრულიად საქართველოს შვილებისათვის მსგავსი გმირული ქმედებები, არც თუ ისე იშვიათი გახლდათ ჩვენი ქვეყნის არსებობის მანძილზე.

გმირები არ კვდებიან! ისინი იღუპებიან! დიახ! ვანო გულედანი არ მომკვდარა, ის დაიღუპა! დღეს დიდების შარავანდედით მოსილი, ღირსებით აღსავსე მისი სული დაგვყურებს ზეციური საქართველოდან ჩვენ, ამქვეყნიურ მოკვდავთ და გვეუბნება, მის მსგავსად დაღუპული გმირების გასახსენებლად ვთქვათ ლილეოს რიხით, კაიკაცობის საგალობელი.

მძღოლმა „ელეგანტის“ მარკის შავი მერსედესი სასტუმრო „ძველი თბილისის“ ეზოსთან გააჩერა. ხვნეშითა და გაჭირვებით გადმოაბიჯა მანქანის უკანა კარიდან დაბალმა, მელოტმა და ღიპიანმა კაცმა, რომელსაც ხელში ფაილში ჩადებული საბუთების დასტა ეჭირა.

– ბატონო არჩილ, ადრე ხომ არ მოვედით? იქნებ ჯერ ისევ სძინავს ჩვენს სტუმარს, – თქვა თამაზმა, რომელიც ბატონ არჩილს გერმანელთან ურთიერთობაში თარჯიმნობას უწევდა.

– რაღა დროს ძილია, ხომ არ გავიწყდება გერმანელები საქმესთან მიმართებაში ზომაზე მეტად პედანტები რომ არიან! – უპასუხა არჩილმა თარჯიმანს.

– არ მავიწყდება, მაგრამ გუშინ ჩვენი სტუმარი კარგა ლაზათიანად გამოგვეთრო „მუკუზანით“, რესტორან „ლეწეში“, საკმაოდ გვიან მოვიყვანეთ სასტუმროში.

ამ საუბარში იყვნენ გართულნი თამაზი და არჩილი, რომ სასტუმროს კარი გაიღო და საზეიმოდ, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი გერმანელი ბიზნესმენი, გიუნტერ გროსი გარეთ გამოვიდა. გროსი, გერმანიაში პოლიგრაფიული ბიზნესის ცნობილი მაგნატი გახლდათ. ის პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ყიდულობდა გდრ-ის მიერ გამოშვებულ, ამორტიზირებულ წიგნის საბეჭდ დანადგარებს, შემდეგ თავის საწარმოში ახდენდა მის შეკეთება-აღდგენას, შელამაზებას და მის მიერ გადახდილი თანხის, თითქმის ორმაგ ფასში ყიდდა მესამე კატეგორიის ქვეყნებში: ბირმაში, ლაოსში, კომბოჯაში, ვიეტნამში და სხვაგან.

ოც წელზე მეტი ხანია გროსი ამ ბიზნესით იყო დაკავებული და ეს საქმიანობა მას საკმაოდ დიდ შემოსავალს აძლევდა.

90-იანი წლების დასაწყისში, როცა ჩვენს ქვეყანაში მთლიანად აირია ცხოვრება, დაინგრა საბჭოთა კავშირი და არსებული ფაბრიკა-ქარხნები თუ სხვა საწარმოები, გაუკუღმართებული „პრივატიზაციის“ წყალობით, უმოწყალოდ გაიძარცვა, ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა მუქთად ჩაიგდო ხელში ხალხის ქონება და დაიწყო მისი ჯართის ფასად გაყიდვა.

ბატონი არჩილის მოწვევით მის მიერ პრივატიზირებულ, პოლიგრაფიული საწარმოს შესაძენად გახლდათ გროსი ჩამო-

სული გერმანიიდან. უკვე ერთი კვირაა, რაც გიუნტერი საქართველოში იმყოფება, საქმე თითქმის მოთავებულია, დაშლილ-დანაწევრებული და კონტეინერებში ჩაწყობილი საბეჭდი დანადგარები მზადაა ფოთის პორტში გადასატანად.

გიუნტერი მიესალმა არჩილს, თამაზს მეგობრულად გაუღიმა და მანქანაში უკან, არჩილის გვერდით მოთავსდა. სტუმარს ეტყობოდა, წუხანდელი ჰქონდა გამოყოლილი, თვალები ჩაწითლებოდა, შეშუპებული სახე აშკარად მიანიშნებდა, რომ გროსი მაგარ „პახმელიაზე“ იყო. უცებ გერმანელმა შეამჩნია პატარა სასადილო, რომლის შესასვლელ კარს უგემოვნოდ გაფორმებული აბრა ამშვენებდა, რაზეც დახატული იყო ლუდით სავსე კათხა.

გერმანელმა თამაზს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

– თამაზ, მძღოლს უთხარი გააჩეროს, ლუდი უნდა დავლიო, ცუდად ვარ.

თამაზი და გიუნტერი სასადილოში შევიდნენ. სიგარეტის სქელი კვამლი ნისლივით იწვა პატარა დარბაზში, ჰაერის უკმარისობის გამო სუნთქვა ჭირდა.

– შენ არ დალევ? – ჰკითხა გერმანელმა თამაზს.

– არა, არ მინდა! – თავი გააქნია თარჯიმანმა.

გიუნტერმა სამი კათხა ჩამოასხმევინა მებუფეტეს.

– პირველ კათხას ვსვამ იმიტომ, რომ მწყურია! მეორეს იმიტომ, რომ ლუდი ძალიან მიყვარს! ხოლო მესამეს შენი პატივისცემის გამო დავლევ! – წარმოსთქვა გიუნტერმა და სამივე კათხა ერთმანეთის მიყოლებით სულმოუთქმელად გამოსცალა,

სამ ვეებერთელა კონტეინერში მთელი პოლიგრაფიული საწარმო მოეთავსებინათ. ეს კონტეინერები დაედგათ გადამზიდავ-მისაბმელიან ავტომანქანებზე და მათ ფოთში გასამგზავრებლად, ავტობაზის ადმინისტრაცია შესაბამის დოკუმენტებს ამზადებდა. გიუნტერმა და არჩილმა სათანადო საბუთებს თავიანთი ხელმოწერები დაურთეს და საქმე ბოლომდე მიიყვანეს. ბიზნესურთიერთობა ორივე მხარეს შორის წარმატებით დამთავრდა, ახლა მხოლოდ გამოსამშვიდობებელი ღონისძიებები იყო მოსაგვარებელი, რათა გერმანელი სტუმარი საქართველოდან შთაბეჭდილებებით დატვირთული გაეცილებინათ. მცხეთაში სვეტიცხოველის ტაძარი დათვალიერებინეს გიუნტერს, მაგრამ სტუმარზე, ჩვენმა უმნიშვნელოვანესმა ისტორიულმა

ძეგლმა, გაცილებით ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე ხინკალმა და ჩაქაფულმა. რას ვიზამთ, სტუმრის ინტერესი უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების შედევრზე უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ეროვნული კერძების დაგემოვნება. „გემოვნებაზე არ დაობენ“-ო ნათქვამია.

– თამაზ, უთხარი გიუნტერს, რომ ჯერ გოგირდის აბანოში წახვალთ, იქ უკვე გელოდებიან, გუშინ მოვაგვარე ეს საქმე, აუცილებლად ისარგებლეთ მექისის მომსახურებით, თანაც დღეს დარჩო იქნება. უთხარი, კარგად დაზილოს და გახეხოს ჩვენი სტუმარი. შემდეგ სასტუმრო „საქართველოს“ არალეგალური სექს-სერვისიდან ორ საუცხოო მანდილოსანს შემოგიგზავნით, გაერთეთ და ინებივრეთ. ყველა ხარჯი წინასწარ გადახდილია. ქალებს კარგად მოეფერეთ, თავი არ შეირცხვინოთ! – ღიმილით მიანიშნა არჩილმა თარჯიმანს.

– ბატონო არჩილ, თქვენ არ შემოგვიერთდებით? – მორიდებით ჰკითხა თამაზმა შეფს.

– რაღა დროს ჩემი ეგენია, თქვენ ჯეელები ხართ, თქვენი დროა, იხალისეთ. შემდეგ რესტორან „სარაჯიშვილში“ ვივახშმებთ, – საუბარი გააგრძელა არჩილმა, – შეკვეთა უკვე მიცემული მაქვს, თანაც სუხიშვილების ერთ-ერთი მოცეკვავე ამ რესტორანში ქორწილს იხდის, კარგი სანახაობა ელის ჩვენ სტუმარს, იმედია კმაყოფილი დარჩება.

თამაზი გიუნტერს მიუბრუნდა და დაწვრილებით აღუწერა, თუ როგორ უნდა გაეტარებინათ მისი საქართველოში ყოფნის ბოლო დღე.

სტუმარი თარჯიმანს უსიტყვოდ თავს უქნევდა.

ორთაჭალის გოგირდის აბანოები, ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე, დედაქალაქის სავიზიტო ბარათი გახლავთ. თბილისის თითქმის ყველა საპატიო სტუმარი აუცილებლად მოდის აქ, ხოლო სამკურნალო აბანოდან გაყოლილი მკაცრი, მაგრამ სასურველი სიამოვნება სამუდამოდ რჩება მათ მეხსიერებაში.

თეთრ ზეწრებში გახვეული გიუნტერი და თამაზი შემოსხდომოდნენ მარმარილოს პატარა მაგიდას და ლუდს სვამდნენ. ირგვლივ გოგირდის სუნი და ორთქლის ოხშივარი ტრიალებდა. მოულოდნელად სააბაზანო ოთახიდან, ხის ქოშების ბაკა-ბუკით გამოვიდა საკმაოდ მაღალი, ჩასუქებული, ღიპიანი, მელოტი



კაცი. მას მთელი სხეული შავი ბალნით ჰქონდა დაფარული და მუხლებამდე გრძელი ტრუსი ეცვა.

მექისე გაეცნო თავის კლიენტებს, – დარჩო მქვიაო თქვა და თავისი სამუშაო ინვენტარი აბაზანის მარმარილოს მოაჯირზე შემოაწყო.

– აბა, რომელი მოხვალთ? – გასცა განკარგულება დარჩომ. გიუნტერი გაოცებული უყურებდა ბუნების ამ უნიკალურ ქმნილებას და ვერ გაეგო, რას უპირებდა ეს კინგ-კონგის მსგავსი არსება. გერმანელი ხვდებოდა, რომ მის თავს რაღაც უცნაური, ჯერ არგანცდილი უნდა მომხდარიყო, ამიტომ ციფრული ფოტოაპარატი მომართა და თამაზს გადასცა.

– დააფიქსირე რა პროცედურებს ჩამიტარებს მექისე, მინდა ყველაფერი ჩემმა ცოლმა ნახოს!

თამაზმა გამოართვა აპარატი და მოიმარჯვა.

დარჩომ მარმარილოს ტახტზე პირქვე წამოაწვინა გიუნტერი, ზურგზე მუხლებით შესდგა, ორივე მკლავი და ფეხები ერთმანეთთან მიუტანა და მძლავრად მოქაჩა. სახსრებმა ტკაცუნი დაიწყეს, გერმანელმა ხმამაღლა ამოიგმინა, ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

– თამაზ, მიშველე! მკლავს ეს ბარბაროსი! – წამოიყვირა გიუნტერმა და თარჯიმანს ქვემოდან გამოხედა.

– გაუძელ! ნახე მერე როგორ გესიამოვნება! – უპასუხა თამაზმა და აპარატი სწორედ მაშინ გააჩხაკუნა, როცა გიუნტერი გაწამებული სახის გამომეტყველებით შველას ითხოვდა.

დარჩო არაფრად აგდებდა გერმანელის ოხვრასა და კვნესას. ის თავის მოვალეობას ჩვეული გულმოდგინებითა და ოსტატობით ასრულებდა. მან კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა მტკივნეული მასაჟების პროცედურები. შეეხო თითქმის ყველა სახსარს და ტკაცა-ტკუცი აუტეხა. შემდეგ ჩვარივით მოშვებული და ძალაგამოცლილი კლიენტი პირაღმა გადმოაბრუნა და ქისა მოიმარჯვა. ახლა კი შვებით ამოისუნთქა გიუნტერმა, ხელები თავქვეშ ამოიდო და სრულიად მიენდო დარჩოს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სხეული მას აღარ ეკუთვნოდა, საოცარ სიმსუბუქეს გრძნობდა, თვალები მილულა და დარჩოს ქმედებაზე აღარ რეაგირებდა.

ნახევარ საათზე მეტ ხანს ხეხა დარჩომ კლიენტი, შემდეგ

წამოაყენა და წყლის პროცედურების მისაღებად აბაზანისაკენ მიუთითა.

– ეს რა გამიკეთა ამ კაცმა, მასაჟები რომ დამიწყო, ვიფიქრე ჯოჯოხეთში ხომ არ ვარ-მეთქი, მაგრამ რომ დაამთავრა, უცბათ სამოთხეში ვიგრძენი თავი. საოცარი ხალხი ხართ! ეს რეები გცოდნიათ! – კმაყოფილებას ვერ მალავდა გერმანელი.

დარჩომ აკრიფა თავისი ინვენტარი და კარისკენ წავიდა. გიუნტერმა ერთ წუთს შეაჩერა მექისე, მადლობის ნიშნად ოც ევროიანი გაუწოდა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

არ გასულა ხუთი წუთი და სტუმარი ახალი სიურპრიზის მოწმე გახდა. ორმა მშვენიერმა ქალბატონმა თავიანთი ცოდნა და გამოცდილება არ დაიშურა, რათა თამაზსა და გიუნტერს ვნების სასიამოვნო გარემო შეეგრძნოთ.

კარგად დაბანილი და ნასიამოვნები თამაზი და მისი სტუმარი ფეხით მიუყვებოდნენ ქალაქის ისტორიულ უბანს, სადაც მრავლად იყო განთავსებული სუვენირებით სავსე, პატარა მაღაზიები.

– ის მინიატურა მომაწოდეთ! – მიმართა თამაზის დახმარებით მაღაზიის გამყიდველს გუნტერმა.

– შეხედე, თამაზ! მექისე დარჩოს არა ჰგავს?!

კაცის პატარა მონიატურული ქანდაკება საოცრად ჰგავდა მექისეს. ისიც მსუქანი, ღიპიანი და მელოტი იყო. ასევე დარჩოსავით კეთილი და სანდომიანი სახის გამომეტყველება ჰქონდა. გიუნტერმა იყიდა პატარა კაცუნა.

– ამ სუვენირს ჩემს სამუშაო მაგიდაზე დავდგამ, რომ ყოველდღე ვუყურო, – წარმოსთქვა გერმანელმა და სუვენირი ხელჩანთაში ჩადო.

იმ საღამოს რესტორან „სარაჯიშვილში“ გიუნტერი კიდევ ერთი საოცრების მომსწრე გახდა. სუხიშვილების ანსამბლის წევრებმა მექორწილეები და რესტორნის სტუმრები, ქართული ცეკვის სიდიადეს კიდევ ერთხელ აზიარეს.

– ეს ფანტასტიურია! ფანტასტიური! – აღტაცებას ვერ მალავდა გერმანელი და გაოცებული იყო იმ სანახაობით, რომლის მსგავსი მას ჯერ არ ენახა.

მეორე დღეს არჩილი და თამაზი აეროპორტში გულთბილად ემშვიდობებოდნენ გიუნტერს, რომელმაც ამ ერთი კვირის განმავლობაში თავისი უშუალობითა და უბრალოებით ისე მოხიბ-

ლა მასპინძლები, რომ ქართველები თითქოს საკუთარი ოჯახის წევრს აცილებდნენ გერმანიაში. ესკალატორზე მდგარმა გიუნტერმა ერთ წამს შეაჩერა ხელის ქნევა და ჯიბეებში რაღაცის ძებნა დაიწყო. ბოლოს იპოვა, რასაც ეძებდა. პიჯაკის გულისჯიბიდან ამოიღო პატარა კაცუნას მინიატურული ქანდაკება, დაანახა მასპინძლებს და ხმამაღლა შესძახა: – „დარჩო!“ – შემდეგ ხელი კიდევ ერთხელ გაიქნია დამშვიდობების ნიშნად და თვალს მიეფარა.

ლედი

– ნიკო, უფროსი გიბარებს! – უთხრა ბორისმა სასადილოში შესვენებაზე შემოსულ ბრიგადირს.

– რა უნდა იგნატიჩს, არ მაჩერებს ერთ ადგილზე, ალბათ ისევ სხვაგან მიპირებს გადაყვანას, – წარმოსთქვა ნიკომ, შემდეგ სასადილოში მუშათა გრძელ რიგს უკმაყოფილოდ გახედა, გარეთ გამოვიდა და კომბინატისკენ წავიდა.

ნიკალაი გრუზინმა, როგორც მას ადგილობრივები ეძახდნენ, შვიდი წელია, რაც საქართველო დატოვა და შორეულ აღმოსავლეთში, ხაბაროვსკის ოლქში დაიდო ბინა. ის მუშაობდა ხე-ტყის დამამზადებელ კომბინატში, ბრიგადირად. თანამშრომლებთან კარგი ავტორიტეტი ჰქონდა, სასმელს ერიდებოდა, საქმეს კი მონდომებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა.

ნიკო მარტო ცხოვრობდა. ჰყავდა პატარა ძაღლი, რომელსაც ლედის ეძახდა.

– შემოდი, ნიკალაი! – მიმართა კომბინატის დირექტორმა ბრიგადირს, რომელსაც კაბინეტის კარი შეეღო და შიგნით შესასვლელად უფროსის ნებართვას ელოდა.

– რა მოხდა იგნატიჩ, ისევ „ჩპ“ გვაქვს?!

– გვაქვს, გვაქვს და თანაც ძალიან ცუდი, – უპასუხა იგნატიჩმა და დაიწყო ხმამაღლა გინება.

– რამდენჯერ გავაფრთხილე ეს შობელძაღლი, სადაც დათვრები და გატყვრები იქ დაეგდე და მოინელე, ნუღარსად მიდიხარ-მეთქი, მაგრამ ვერ შევაგნებინე ამ კაცაპს.

ნიკო გაკვირვებული შეჰყურებდა უფროსს და ვერ გაეგო რამ განარისხა ეს კაცი.

– მოკლედ, გუშინწინ ოცდამეერთეს ბრიგადირი, საშა ბოგომოლოვი, სამუშაოს მერე თავის კახპასთან წასულა სოფელში, „სამაგონით“ ღორივით დამთვრალა, შუაღამისას ამტყდარა, ბიჭებთან უნდა წავიდეო, აღარ გაჩერებულა, წამოსულა, მოყინულ გზაზე წაქცეულა და ვეღარ ამდგარა, მთვრალს ჩასძინებია, დილით კი თოვლში გაყინული უნახავთ. ასე რომ, ბოგომოლოვი უფალმა მიიღო, შენ უნდა ჩაიბარო მისი ბრიგადა, ხომ იცი ის ყველაზე რთულ უბანზე მუშაობდა.

– ჩემებს რაღა ვუყო? ვინ მიხედავს? – უკმაყოფილოდ შეეკითხა ნიკო იგნატიჩს.

– შენების დარდი ნუ გაქვს, გამოვძებნით ბრიგადირს, შენ კი იქ გვჭირდები, უკამყოფილოს არ დაგტოვებ, ხელფასს მოგიმატებ. ნიკომ შეამჩნია, რომ იგნატიჩის საუბარში დავალებასთან ერთად თხოვნაც იგრძნობოდა. ამიტომ უარი ვეღარ უთხრა უფროსს და დათანხმდა.

– ხვალვე უნდა გაემგზავრო ტაიგაში უბანზე, ბიჭები იქ დაგხვდებიან. შვიდი კაცი გეყოლება ბრიგადაში, შვიდივე ტუვინია და დალევა უყვართ, მაგრამ საქმეში არ გიღალატებენ, ჯორებივით შრომობენ, – უთხრა იგნატიჩმა ნიკოს, ხელი ჩამოართვა და წარმატება უსურვა. კართან მისული ბრიგადირი უფროსმა შეაჩერა და ჰკითხა:

– მარტო მიდიხარ თუ გყავს ვინმე?

– მე და ლედი ვართ, – უპასუხა ნიკომ

– ქალბატონი გყოლია, მანქანას გამოგიგზავნი, ბარგი ბევრი გექნებათ, – შეწუხდა იგნატიჩი.

– ქალი არა მყავს, ლედი ჩემს ძაღლს ჰქვია, ნუ შეწუხდებით, – ღიმილით უპასუხა ნიკომ და დირექტორის კაბინეტი დატოვა.

მეორე დღეს ნიკომ ერთ ჩემოდანში მოათავსა თავისი ავლადიდება და ლედისთან ერთად ხის მორების საზიდარ „ურალის“ მარკის ავტომანქანის კაბინაში მოთავსდა. ნიკოს ადრეც ენახა ტუვინები, მაგრამ მისმა ახალმა ბრიგადის წევრებმა მთლად გააკვირვეს. დაბალი ტანის, თითქმის ჯუჯა ტუვინები სახეზე საოცრად შეუხედავები იყვნენ, რუსულად გამართულად საუბრობდნენ, ეტყობოდათ უკვე მოესწროთ არყის გადახუხვა, წვრილ თვალებს მოუსვენრად აცეცებდნენ და ახალ ბრიგადირს, რიგში ჩამდგარნი, ხელის ჩამორთმევით ეცნობოდნენ.

ნიკო მალე შეეჩვია თავის ბრიგადას, თვითონ იშვიათად სვამდა, ამით მაგალითს აძლევდა მათ, ისინიც ცდილობდნენ ხშირად აღარ დაელიათ. ნიკომ ძაღლს საკუჭნაოში მოუწყო სამყოფელი, თუმცა ლედი ძირითადად მაინც იქ იყო, სადაც ნიკო და ტუვინები ცხოვრობდნენ. მუშები ლედის ყოველ სადილობაზე სუფრაზე მორჩენილ ძვლებს უგროვებდნენ, გარდა ძვლებისა, ნიკო ძაღლს ძეხვითა და ხორცეულითაც უმასპინძლდებოდა. მალე ლედიმ ისე მოიკეთა, ისე გასუქდა, რომ მოძრაობა უჭირდა.

ბრიგადა ტაიგაში ხორცის ნაკლებობას არ განიცდიდა, ტუვინებს ნადირობა ნამდვილად არ ესწავლებოდათ, ზამთარ-

ში ხშირად ეკიდა მათი საცხოვრებლის პატარა აივანზე ჩამოტ-ყავებული კურდღელი.

– ბრიგადირო, ხვალ კიმის დაბადების დღეა. გუშინ კურდ-ღელი მოკლა. ასე რომ, ვქეიფობთ, – უთხრა ჩინგიზმა ნიკოს.

– ვიქეიფოთ! წინააღმდეგი არ ვარ! ოღონდ დილით ყველა გავალთ უბანზე, „ურალს“ დავტვირთავთ, შემდეგ შენ და კიმი მანქანას გამოყვებით, ბინაზე დარჩებით და სადღესასწაულო ვახშამს მოამზადებთ, ჩვენც მოვრჩებით საქმეს და მოვალთ, – უპასუხა ნიკომ.

იმ ღამეს განსაკუთრებით ყინავდა. მეორე დღეს, დილით ადრე კიმმა გაყინული კურდღელი ჩამოხსნა აივნის ბოძიდან და სამზარეულოში ცხელი წყლით სავსე თასში ჩადო გასალღობად.

კიმმა და ჩინგიზმა მორებით დატვირთული „ურალი“ ხე-ტყის ბაზაში დაცალეს და იქვე ახლოს მაღაზიაში პროდუქტისა და სასმელის საყიდლად შევიდნენ.

სახლში მარტოდ დარჩენილმა ლედიმ ყველა ოთახი შემოიარა და ბოლოს სამზარეულოს მიაშურა, იცოდა რა იქ რაიმე სასუს-ნავს მონახავდა. ლედიმ ხორცის სუნი იგრძნო, მაგიდის გვერ-დით მდგარ ტაბურეტზე შეხტა, იქიდან კი პირდაპირ მაგიდა-ზე ისკუპა, თასში ჩადებულ, გამლხვალ კურდღელს პირი დასტაცა და გემრიელად შეექცა. კურდღელთან ერთად ლედიმ მაგიდაზე დადებული ძეხვი „სერველადიც“ დააგემოვნა, შემ-დეგ კარგად გამაძღარ-დანაყრებული მაგიდის ქვეშ მოკალათ-და და თვალები მილულა.

კიმსა და ჩინგიზს მაღაზიაში შეზარხოშება მოესწროთ და სახლში კარგ ხასიათზე დაბრუნდნენ.

– კურდღელი მომაწოდე! დავჭრათ და გავამზადოთ, დროს ნულარ ვკარგავთ, – უთხრა კიმმა ჩინგიზს.

ჩინგიზმა თასს დახედა, თასი ნახევრად წყლით იყო სავსე, ხოლო მის გვერდით კურდღლის ფეხები და გამოხრული ხერ-ხემლის მალები ეყარა, დილით მაგიდაზე დატოვებული ძეხვიც არსად ჩანდა.

– სადღაა კურდღელი ან ძეხვი, ძაღლს შეუჭამია, ნახე რა მშვიდად სძინავს! – წარმოსთქვა ჩინგიზმა და მაგიდის ქვეშ მწოლიარე ლედის ფეხი წაჰკრა, ძაღლმა დაიწკმუტუნა, უნ-დოდა იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ისე იყო გამაძღარი, რომ სიარული გაუჭირდა.

– რა ვქნათ ახლა?! ბიჭები მშივრები მოვლენ, მათ ჰგონიათ, რომ ჩახრაკულ კურდღელს დავახვედრებთ, კურდღელი კი ამ ძუკნამ შეგვიჭამა, – ბრაზობდა კიმი.

– მე ისედაც დიდი ხანია თვალი დავადგი ლედის, მაგას კურდღელზე გემრიელი ხორცი აქვს, ეხლავე გამოვჭრი ყელს და ჩავხრაკავ! – წარმოსთქვა ჩინგიზმა და თავისი წვრილი თვალებით ძაღლს მიაშტერდა.

– ხომ არ შეიშალე! ბრიგადირს ეს ძაღლი ქვეყანას ურჩევნია, რომ დავკლათ ჩვენც თან მიგვაყოლებს – უთხრა კიმმა.

ბოლოს ორივემ გადაწყვიტა, რომ კურდღელი ძაღლით ჩაენაცვლებინათ, ხოლო სანამ კარგად არ დანაყრდებოდა ბრიგადირი არ ეთქვათ, თუ რისი ხორცით იყო მომზადებული საჭმელი.

კიმმა და ჩინგიზმა უცბათ ჩამოატყავეს საბრალო ლედი, შემდეგ ხორცი დაამუშავეს და ბლომად ხახვსა და ტომატში ჩახრაკეს. ჩახრაკული ძაღლის ხორცს მაღაზიიდან მოტანილი საჭმელებიც მიუმატეს და სუფრა გაშალეს.

– რა გემრიელი სუნია! – გაიძახოდნენ ოთახში შემოსული ტუვინები და მაგიდის გარშემო ადგილს იკავებდნენ. ნიკოც მათ გვერდით მოთავსდა. კიმს ნიკომ და ტუვინებმა დაბადების დღე მიულოცეს და არყით სავსე ჭიქები ბოლომდე დაცალეს. ლხინი თანდათან ძალას იკრებდა. ტუვინებს ალკოჰოლისაგან თვალები უჟუჟუნებდათ, თანაც მადიანად შეექცეოდნენ მათთვის დელიკატური ხორცისგან დამზადებულ კერძს, ნიკოსაც ეგემრიელა ჩახრაკული და სიამოვნებით მიირთვა „კურდღლის“ ხორცი.

– ბიჭებო, ძვლები ლედისთვის შეინახეთ, არ გადაყაროთ! – შეახსენა ნიკომ თანამესუფრეებს.

– ლედის ძვლები აღარ დასჭირდება! – წაილუღლუღა კარგად შეზარხოშებულმა ჩინგიზმა და ხმამაღლა ჩაიხითხითა.

– როგორ თუ აღარ დასჭირდება? – ხმას აუწია ნიკომ.

– არ დასჭირდება, იმიტომ, რომ ეს ძვლები თვითონ ლედისია, დავკალით, კურდღელი და ძეხვი შეგვიჭამა, ხორცი აღარ გვქონდა, აბა რა უნდა გვექნა, ბიჭებს მშივრებს ხომ არ დავტოვებდით? თანაც კარგა ხანია ძაღლის დელიკატესიც აღარ გაგვისინჯავს, – ბოლო წინადადება ნიშნის მოგებით წარმოსთქვა ჩინგიზმა და მიჭუტული თვალებით ნიკოს მიაშტერ-

და. ნიკოს სიბრაზისაგან მკვდრის ფერი დაედო, ფეხზე წამოდგა. ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო, სად ეჩივლა, რომ მისი საყვარელი ძაღლი დაუკლეს და შეუჭამეს, იცოდა, ამის გამო ტუვინებს არავინ დასჯიდა, თანაც საოცარი ის იყო, რომ ლედის ხორცი მასაც გაასინჯეს. ამ ფიქრებში გართული უცებ გამოერკვა, გადახედა ამ შეუხედავ, მთვრალ, ამაზრზენად მომღიმარ კბილებდაკრეჭილ არსებებს და ხმამაღლა დაუყვირა.

– ეს რა ჰქენით, თქვე შობელძაღლებო! ძაღლი როგორ შემაჭამეთ! – შემდეგ ადგილიდან მოსწყდა და გულის ასარევად ტუალეტში შევარდა...

– სილიბისტროვიჩ, ხუთი წელი ხომ ელოდი ამ საბუთს, აი ესეც, – თქვა ტარიელმა და უმაღლესი პედაგოგიური განათლების წარჩინებით დამთავრების დიპლომი მამას მაგიდაზე დაუდო.

სილიბისტროვიჩმა გაზეთის კითხვას თავი დაანება და დიპლომს დახედა.

– ყოჩაღ! განათლების მიღებაც ასეთი უნდა! – თქვა მამამ.

სამი პროფესორის და ორი აკადემიკოსის ხელმოწერა ამშვენებდა შინდისფერ დიპლომს.

– ახლა რას აპირებ, სად გინდა მუშაობის დაწყება? – ჰკითხა სილიბისტროვიჩმა ტარიელს.

– ეს საკითხი მოგვარებულია, განათლების სამინისტროს განაწილებით რაჭის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში ვარ გამწესებული ინგლისურის მასწავლებლად. ერთი კვირის ვადაში უნდა გამოვცხადდე ადგილზე, – ამაყად წარმოსთქვა ტარიელმა და სამზარეულოში მოფუსფუსე დედას გასძახა:

– დედა, მგელივით მშია! მაჭმევ რამეს?

დედას ძნელად წარმოედგინა ასფალტზე გაზრდილი ბიჭისთვის, რაჭის მაღალმთიან, მიუვალ სოფელში მასწავლებლობა.

– იქნებ უარი გეთქვა, როგორ უნდა გაძლო იქ, ვინ მოგხედავს, საჭმელს ვინ გაგიკეთებს, ვინ დაგირეცხავს, გიფიქრია ამაზე?! – ნაღვლიანად ჰკითხა დედამ ტარიელს, რომელსაც დედის აცრემლებულმა თვალებმა გული მოულბო.

– დარდი ნუ გაქვს, მინდა ჩემი თავი გამოვცადო, პატარა ხომ აღარ ვარ. ხომ გაგიგონია ქართული ანდაზა: „თუ არა გყავს მოახლეო, თავი მოიმოახლეო“, რომ მომშივდება საჭმლის მომზადებასაც მოვახერხებ, – უთხრა დედას ტარიელმა, მოეხვია და დაამშვიდა...

ახალგაზრდა მასწავლებელმა რაიონის განათლების განყოფილების გამგის კაბინეტი მორიდებით შეაღო და ბატონ დავითს თავი წარუდგინა.

– თქვენ ბრძანდებით ტარიელ კანდელაკი? – წარმოსთქვა განყოფილების გამგემ და ახალგაზრდას ხელი ჩამოართვა, – გელოდით, განათლების სამინისტროდან მოვიდა შეტყობინება თქვენი ჩვენს რაიონში მოვლინების შესახებ, – კმაყოფილებით წარმოსთქვა დავითმა და ტელეფონზე ნომერი აკრიფა.

– ერასტიჩ, გეშველა! ინგლისურის მასწავლებელს გიგზავნი, კარგი ბიჭი ჩანს, მიხედე, დააბინავე და ყველანაირად ხელი შეუწყე!

სოფლის სკოლის დირექტორმა, დიმიტრი ამყოლაძემ მადლობა გადაუხადა განყოფილების გამგეს და შეპირდა, რომ ახალგაზრდა კადრს ყურადღებას არ მოაკლებდა.

სკოლა სოფლის განაპირას მდებარეობდა, მის ეზოსა და შემოგარენს ფიჭვისა და ნაძვის მაღალი ხეები ამშვენებდნენ, ბავშვების ხმაურიანი ჟრიამული და სხვადასხვა ფრინველთა გალობა სიცოცხლის, სიხარულისა და მხიარულების ტონს აძლევდა ბუნების ამ უმშვენიერეს ადგილზე ჩადგმულ სკოლის ორსართულიან ხის შენობას.

ამ საოცარი ბუნების მშვენიერებით და სკოლის პედაგოგიური კოლექტივის გულთბილი მიღებით მოხიბლული ტარიელი კმაყოფილებას ვერ მალავდა და მადლობას უხდიდა სკოლის დირექტორს. ახალგაზრდა მასწავლებელმა თავისი განსწავლულობით, უზომო სიკეთითა და ბავშვებისადმი დიდი სიყვარულით, სულ მოკლე დროში დიდი პატივისცემა დაიმსახურა არა მარტო სკოლაში, არამედ მთელს სოფელში. სოფლის უხუცესები მუდამ პატივისცემით ესალმებოდნენ სოფლის მასწავლებელს.

თანდათან ეჩვეოდა ქალაქელი, ასფალტზე გაზრდილი ბიჭი სოფლის ყოფა-ცხოვრებას, სოფელიც მზრუნველობასა და პატივისცემას არ აკლებდა გონიერ და თავაზიან ახალგაზრდას. ის შრომაში ბეჯითი, ლხინსა და ქეიფშიც სანიმუშო იყო...

სკოლის დირექტორი ფანჯარასთან მივიდა, მარჯვენა ხელით შუბლი მოიჩრდილა და შორიდან მომავალ უცხო მამაკაცს გახედა, უცნობი ნელი ნაბიჯებით უახლოვდებოდა სკოლას.

– ეს ხომ ბატონი ბაგრატია, განათლების განყოფილების ზონის ინსპექტორი! – წარმოსთქვა ერასტიჩმა და თანამშრომლები გააფრთხილა.

ბატონი ბაგრატი თავისი საქმის პროფესიონალი და ამასთანავე ქეიფის დიდად მოყვარული კაცი იყო.

– მალვინა, იცი ვინ მოდის ჩვენთან?! ჩვენი ზონის ინსპექტორი, ბაგრატ ბარნაბოვიჩი, ხომ იცი, რა მოქეიფე კაცია! აბა, გოჭი თონეში შეწვით, კეცებზე მჭადები და ლობიანები დააცხვეთ, ამბროსის შეუთვალეთ, შებოლილი ლორი რომ უკიდია მა-



რანში, ბარკალი ჩამოაჭრას, „ვიჩინა“ უხდება სუფრას. ღვინოს გალაქტიონი მიხედავს. დროს ნუღარ კარგავ, წაიყვანე შენი გოგოები და საქმეს მიხედეთ! – მისცა დავალება თავის საქმეთა მმართველს ერასტიჩმა და თვითონ ეზოში შემოსულ საპატიო სტუმარს მიეგება.

ბატონმა ბაგრატმა მცირე დროში მოათავა სკოლის ინსპექტირება. სათანადო მითითებები მისცა ადმინისტრაციას და სკოლაში არსებული მდგომარეობა დადებითად შეაფასა... სამასწავლებლოში დიდებული სუფრა იყო გაშლილი საპატიო სტუმრის პატივსაცემად. ერასტიჩი ჩვეული სიდარბაისლით უძღვებოდა მაგიდას. იგი საპატივსაცემო სტუმრებთან შეხვედრებზე ყოველთვის საზეიმოდ იყო გამოწყობილი. ტანმორჩილი, გამხდარი დირექტორის თეთრ კიტელს ამშვენებდა რომბის ფორმის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სამკერდე ნიშანი. ხოლო ნიშნის გვერდით ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები ეკიდა. ამ ჯილდოებით დიდად ამაყობდა და თავს იწონებდა საზოგადოებაში ერასტიჩი.

დირექტორმა სადღეგრძელოში ქება-დიდებით აავსო თავისი კოლექტივი, განსაკუთრებულ პატივი ხვდა წილად ინგლისურის მასწავლებელ, ტარიელ კანდელაკს.

– ბატონებო და ქალბატონებო! წელს ჩვენს სკოლაში განათლების სამინისტროდან მოვლინებული იქნა უნიჭიერესი, ენების მცოდნე ახალგაზრდა, რომელიც ფლობს: ინგლისურს, რუსულს, გერმანულს, ფრანგულს, ესპანურს და თქვენ წარმოიდგინეთ იაპონურსაც.

ეს კი ნამეტანი მოუვიდა, – ფიქრობდა ტარიელი, მაგრამ დირექტორს სადღეგრძელოს ხომ არ შეაწყვეტინებდა. ერასტიჩს მოსწონდა გადაჭარბებული ქება-დიდება იმ პიროვნებისა, ვის მიმართაც ის განსაკუთრებული სიმპათიით იყო განმსჭვალული.

ბატონი ბაგრატი იმდღესვე უნდა დაბრუნებულიყო რაიონში, ამიტომ დიდხანს აღარ გაჩერებულა და კოლეგებს მალევე დაემშვიდობა.

ქეიფი თანდათან ძალას იკრებდა. ერასტიჩი, მიუხედავად თავისი ასაკისა, ის სამოცს კარგა ხნის გადაცილებული იყო, ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და ალავერდს ტარიელთან გადადიოდა. ისიც ხათრს ვერ უტეხდა პატივცემულ დირექტორს და სიამოვნებით იღებდა გამოწვევას.

სასტუმრო „ივერიის“ პირველ სართულზე განთავსებულ, სტუდენტებისათვის სასურველი სახინკლის ხშირ სტუმარს, ლუდისა და „სტალიჩნი“ არყის ხშირ დამგემოვნებელს, ვერაფერს აკლებდა სკოლის დარაჯის, გალაქტიონის შაქრით დამტკბარი მჟავე „ადესა“.

– „დო კაპლა“, ერასტიჩ! – წარმოსთქვა კარგად შეზარხოშებულმა ტარიელმა და „მალენკოვის“ სავსე ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა. შემდეგ ახალგაზრდამ სასმისი ცერა თითის ფრჩხილზე დაიწვეთა და ერასტიჩს დაანახა.

– „დო კაპლა!“ – წაილუღლუღა დირექტორმა, სავსე ჭიქა გამოსცალა და იგივე ქმედება გაიმეორა, რაც ტარიელმა...

სკოლის მებუფეტე ქეთომ შეატყო რა ერასტიჩს ღვინის დალევის თავი აღარა ჰქონდა, მიუჩოჩდა გვერდით და წარამარა ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა. თანამშრომლებს არ უკვირდათ ქეთოს გამორჩეული მზრუნველობა ერასტიჩის მიმართ, რადგან ყველამ იცოდა, რომ დირექტორი კარგა ხანია ჰყვარობდა შინაბერა მებუფეტეს.

ბახუსმა ერასტიჩი სულ წაახდინა, უაზროდ ლუღლუღებდა, სრულიად მომჩვარდა, არც მისი მოპაექრე ახალგაზრდა მასწავლებელი იყო კარგ დღეში, თუმცა დირექტორთან შედარებით, ის მაინც მხნედ გამოიყურებოდა. ქეთო და მალვინა აქეთიქიდან მხრებში ამოუდგნენ ერასტიჩს და რის ვაი-ვაგლახით ძლივს მიიყვანეს სახლამდე, რომელიც სკოლასთან ახლოს იყო.

გზაში ქალებმა შეატყვეს, რომ უზომოდ მთვრალ დირექტორს მარცხი მოუვიდა და მათ ცხვირში არასასიამოვნო სუნი ეცათ.

– სიყვარული მინდა ქეთო, სიყვარული! – ლუღლუღებდა ტახტზე მისვენებული ერასტიჩი და ხელებით ქეთოს გულ-მკერდზე ეპოტინებოდა.

– შენ მეისპე! სიყვარული კი არა ჩაბანვა გინდა, სად გაქვს ახლა სიყვარულის თავი! – გაკაპასდა ქეთო და ანთებულ ღუმელზე ვედროთი წყალი შემოდგა.

მეორე დღეს, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო, ჩვეულებისამებრ მიესალმა ერასტიჩი თანამშრომლებს და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

– ბატონო ტარიელ, ეს რა დაგვემართა! გუშინ ნამეტანი მოგვივიდა. შენ კიდევ რა გიჭირდა, მე სრულიად წავხდი კაცი,

მგონია ჩევიჯვი, ბუნდოვნად მახსოვს, ქეთო თან მკიცხავდა და თან მასუფთავებდა, – მორიდებით ეუბნებოდა ტარიელს დირექტორი.

– არა უშავს ერასტიჩ, ხდება ხოლმე! – გული გაუკეთა ტარიელმა და კლასში შევიდა.

ორი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ტარიელი სოფლად მასწავლებლობდა. თითქოს შეეჩვია კიდეც, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეეგუა იქაურ მკაცრ ზამთარს. არც რაიკომმა შეასრულა თავისი დანაპირები, რაიონში მის გადაყვანასა და დაწინაურებაზე.

წასვლა უნდოდა ტარიელს სოფლიდან, მაგრამ იმდენად გულთბილი და კეთილმოსურნე ხალხი ცხოვრობდა სოფელში, რომ უჭირდა მათთან განშორება.

– როდემდე აპირებ, ბიჭო, მანდ დარჩენას, ორი წელი ხომ გავიდა, გეყოფა! ჩამოდი! ჩვენი მეზობელი კოლიას ბიჭი, ბიძინა, საგარეო საქმეთა სამინისტროში გადაიყვანეს კარგ თანამდებობაზე, შენზე თქვა ჩამოვიდესო, ენის სპეციალისტები გვჭირდებაო, – კითხულობდა ტარიელი მამის წერილს და სიხარულით თვალები უბრწყინავდა. ქალაქში მის დასაქმებაზე პერსპექტივის გაჩენის გამო, თანაც ხუმრობა ხომ არ იყო, საგარეო საქმეთა სამინისტროში სთავაზობდნენ სამსახურს.

– მაშ გვტოვებ ხომ, ბატონო ტარიელ? – დანანებით ჰკითხა დირექტორმა.

– რა ვქნა, ერასტიჩ, ორი წელი პატარა დრო არ არის, როგორც შევძელი, ისე ვემსახურე რაჭას.

– შეგეჩვიეთ, ბიჭო, გვიჭირს შენთან განშორება! – უთხრა ერასტიჩმა და მხარზე მეგობრულად მოხვია ხელი.

ტარიელი გადაეხვია დირექტორს, მის გასაცილებლად მოსულ სკოლის თანამშრომლებს სათითაოდ ხელი ჩამოართვა და ავტობუსში ავიდა...

– აბა, რომელს აირჩევთ, რომელი ფერი გნებავთ? – მიმართა მერაბს ავტობაზრის თანამშრომელმა, რომელსაც ხელში გასაყიდი ავტომანქანების გასაღებების აცმა ეჭირა. იგი მზად იყო ნებისმიერი მანქანა გაეხსნა და მყიდველის თვალწინ შეემოწმებინა.

– აი, ეს! – მიუთითა მერაბმა თეთრი ფერის „იჟკომბზე“.

– სოფელი თუ გაქვთ მართლა კარგი არჩევანია, თანაც „კომბი“ გამოირჩევა სხვა მანქანებისაგან დიზაინით, ის მოხერხებულია და გამძლე, – ენად გაიკრიფა გამყიდველი.

მერაბი მანქანაში ჩაჯდა და ყურადღებით ათვალიერებდა სალონის თითოეულ დეტალს, ეძებდა დეფექტს, მაგრამ მანქანა მართლაც საუცხოო მდგომარეობაში იყო.

– სპიდომეტრზე მხოლოდ 10კმ-ია აღნიშნული, მომწონს, ყველაფერი წესრიგშია. მანქანა ქალივითაა, როცა მისთვის პირველი ხელი ხარ და მთლად უხმარია, გულს უხარია და ცდილობ მოვლა-პატრონობა არ მოაკლო, ხოლო, როცა ორი ან სამი კაცის ხელშია ნახმარი, გული გეთანაღრება, – წარმოსთქვა მერაბმა და ძრავი ჩართო.

– ძრავი საათივით მუშაობს, თუ მანქანა იცი, ვერ შემედავები, ასეა ეს! – მიმართა მერაბს ავტობაზრის თანამშრომელმა და საბუთების გაფორმება დაიწყო. ახალი მანქანით ეზოში მისულ მერაბს მეზობლები მანამდე არ მოეშვნენ, სანამ სარდაფიდან 20 ლიტრიანი არ ამოატანინეს, ღვინოს სამწვადეც მოჰყვა და პატარძალივით თეთრი „იჟკომბის“ მაღარიჩი დიდი ზარზეიმით აღნიშნეს.

ზაფხულის ცხელი დღეები იდგა. მერაბი ცოლ-შვილთან ერთად კახეთში, თავისი მამა-პაპის ეზო-ყურეში ატარებდა შვებულებას.

– კვირას, ველისციხის ბაზრობაზე ბროლივით თეთრი გოჭები ჰყავდათ გამოყვანილი, ძვირს აფასებდნენ, მაგრამ უმალ დაიტაცეს, ჩვენთან გაზრდილებს არა ჰგავდნენ, ვიკითხე, ჩრდილო-კავკასიიდან ჰყავდათ ჩამოყვანილი, – უთხრა მერაბს მამამისმა, გიგუცამ.

– მაგით რისი თქმა გინდა, მამაჩემო! ორ ღორს ხომ შენცა ზრდი საახალწლოდ, არა კმარა? კიდევ გინდა ყიდვა?

– ყიდვისა რა გითხრა, მაგრამ გაყიდვა არ იქნებოდა ურიგო, ეგ ახალთახალი მანქანა რომ გიყენია ეზოში და მტვერს არ აკარებ, იქნებ წასულიყავი, შენც გეცადა ბედი, მანქანა ხელს გიწყობს, სწორედ ასეთი საქმისთვის არის უპრიანი, ოცამდე მოზრდილ გოჭს თავისუფლად ჩატევდი შიგ, დაფიქრდი, კარგ ფულს გააკეთებ! – ურჩია მამამ შვილს.

ამ საუბარს შეესწრო მერაბის ცოლი, მარიკა, რომელსაც ფულის შოვნის იდეა ჭკუაში დაუჯდა და ახლა ის შეუჩნდა ქმარს, ღორების ყიდვა-გაყიდვისათვის მოეკიდა ხელი.

– აი, აიღე, აქ ოთხასი მანეთია, ორასს მამაშენი გვაძლევს, პირველ წასვლაზე გეყოფა, ვნახოთ როგორ გაგიმართლებს! – უთხრა მარიკამ მერაბს და შავი დღისათვის გადანახული დანაზოგი ბოლო კაპიკამდე ჩაუთვალა ქმარს.

– მამაჩემის და შენი ახირება არ მომდის ჭკუაში. ეს ახალათახალი მანქანა ღორების შარდითა და განავლის სუნით უნდა ამაყროლებინოთ?! – საყვედურობდა მერაბი ცოლს, მაგრამ მარიკამ მაინც თავისი გაიტანა.

– თუ არ გინდა მანქანა დაგიბინძურდეს, იატაკზე ცელოფანი ჩაუფინე! – ურჩია ცოლმა ქმარს...

გიგუცამ კითხვა-კითხვით მიაგნო იმ კაცს, რომელმაც ჩრდილო კავკასიიდან ჩამოყვანილი ღორები გაყიდა ველისციხის ბაზარზე, მან მიასწავლა მამა-შვილს ალაგირის რაიონში, თუ სად მდებარეობდა ის ფერმა, საიდანაც ღორები იყიდა.

მერაბმა მანქანიდან უკანა, დასაჯდომი სავარძლები ამოიღო და იატაკზე ცელოფანი ჩააფინა. მეორე დღეს, უთენია „იჟკომბმა“ ვლადიკავკაზისკენ აიღო გეზი. საოცრად ლამაზი სანახავი იყო თერგის ხეობა. ალაგ-ალაგ შეფენილი ცხვრის ფარები, თეთრ კოპლებად ემჩნეოდა მწვანე საფარით დაბურულ, მაღალ, თვალუწვდენელ მთებს, ხოლო ნისლში გახვეულ, ხეობას სიმშვიდეს ურღვევდა მთის არწივის წივილი და ფრთების შრიალი. ამ ენით აუწერელი სილამაზის ნახვა კარგ, ხალისიან გუნებაგანწყობილებაზე აყენებდა მერაბს.ნაშუადღევს ის უკვე ალაგირის რაიონში იყო, მან სოფელ კომსომოლსკაიასკენ გადაუხვია და ღორების ფერმასთან გაჩერდა. მანქანის ხმაზე ფერმიდან თეთრხალათიანი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა.

– დაურ პლიევი მინდოდა! – იკითხა მერაბმა რუსულად.

თეთრხალათიანმა მანქანის ნომრებს შეხედა, შემდეგ მოსუ-

ლი აათვალიერ-ჩაათვალიერა და ქართულად უპასუხა:

– მე ვარ დაურ პლიევი, ჩემთან ვინ გამოგგზავნა?

– ვანო ყარაშვილმა გამომგზავნა, გურჯაანიდან.

– თვითონ რატომ არ ჩამოვიდა?

– თვითონ სხვა საქმე გამოუჩნდა, ვერ მოიცალა, თან აი ეს გამომატანა თქვენთან. მერაბმა მანქანიდან ჭაჭის არყით სავსე ხუთლიტრიანი პლასტმასის ბალონი გადმოიღო და დაურს გადასცა.

– ღმერთმა გიშველოს! მადლობელი ვარ რომ ჩამომიტანე, თორემ ამ რუსული არყისა და „სამაგონის“ სმით კუჭი მაქვს გახვრეტილი.

მერაბი გაკვირვებული იყო დაურის სუფთა, თითქმის უაქცენტო ქართული საუბრით.

– ასე კარგად სად ისწავლე ქართული?

– მე ცხინვალიდან ვარ, იქ დავიბადე და გავიზარდე. ქართული სკოლა მაქვს დამთავრებული, ათი წელია, რაც აქეთ გადმოვედი საცხოვრებლად და ამ ფერმაში ვმუშაობ მთავარ ზოოტექნიკოსად, – მიუგო დაურმა მერაბს და საქმეზე გადავიდა.

– რამდენს წაიყვან? გოჭები გინდა თუ ღორები?

– ერთ დიდ ღორს წავიყვან, დანარჩენს მოზრდილ გოჭებს, რამდენიც დაეტევა.

– წამოდი, მანქანას ვნახავ და მერე გეტყვი რამდენი დაეტევა.

დაურმა მანქანის კარი გამოხსნა, სალონში ჯერ ისევ ქარხნის სუნი ტრიალებდა, – ცოდოა ამ მანქანაში ღორების ჩასმა, სულ ჩაგიოხრებენ, – ჩაილაპარაკა მან.

– რახან ჩამოვედი, ცარიელი ხომ არ წავალ! არა უშავს, ამოვასუფთავებ...

– ამოასუფთავებ, მაგრამ იცოდე დიდხანს სუნს ვერ გააქრობ.

– რაც არი, ეგ არი! – ხელი ჩაიქნია მერაბმა და დაურთან ერთად ფერმაში შევიდა. მათ ამოარჩიეს ერთი დიდი ღორი და ათი მოზრდილი მამალი გოჭი. შემდეგ მერაბმა დაურს ანგარიში გაუსწორა და დაიწყეს ღორების მანქანაში მოთავსება.

– დიდი ღორი შუაში დავსვათ, აქეთ-იქიდან თოკით დავაბათ, თორემ გადმოგიხტება, – უთხრა დაურმა, შემდეგ ღორს უკანა ფეხები თოკით შეუკრა და იატაკზე, რკინის სამაგრებზე ორივე მხრიდან გამოაბა. გოჭები თავისუფლად მოთავსდნენ სალონში...

გამოსცდა თუ არა სოფელ კომსომოლსკაიას „იჟკომბი“, ავტოინსპექტორს თვალში მოხვდა უცხო ნომრებიანი მანქანა და ანიშნა გაჩერებულიყო.

– კიდევ დარჩა ფერმაში ღორები, თუ სულ შენ მიგყავს?! საბუთები წარმოადგინე! – მიმართა ინსპექტორმა მერაბს და მანქანა დაათვალიერა.

მერაბმა იცოდა როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში და ორი ათმანეთიანი ჩაუდო ჯიბეში ინსპექტორს.

– რამდენია?

– სტავკაა, უფროსო!

ინსპექტორმა ჯიბიდან ლენინისთავიანი წითელი ათმანეთიანები ამოაცურა, დარწმუნდა რა, არ ატყუებდნენ, მერაბს მეგობრულად მხარზე ხელი მოუთათუნა, საბუთები დაუბრუნა და გზა მშვიდობისა უსურვა.

სანამ საქართველოს საზღვარს, მლეთის საგუშაგოს მოუახლოვდებოდა, მერაბი ინსპექტორებმა კიდევ ოთხ ადგილზე გააჩერეს, მაგრამ ქართულ ნომრებიანი „იჟკომბი“ წითელი თუმნიანების დახმარებით ყოველთვის ახერხებდა გზის გაგრძელებას.

სალონში დატრიალებული მყრალი სუნი აუტანელი ხდებოდა, მერაბმა მანქანის ყველა მინა ბოლომდე ჩასწია, მაგრამ ამაზრზენ სუნს ვერაფერი მოუხერხა. მლეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან გაჩერებულ სალონში ბრეზენტგადაფარებულ „იჟკომბს“, ცხირ-პირზე ხელაფარებულმა ინსპექტორმა გარშემო შემოუარა და ფუი, ფუის ძახილით მერაბს ჰკითხა:

– რა „განძი“ მოგაქვს დიდი რუსეთიდან?! რა ყარს ასე შენს მანქანაში?

მძაფრი, ამაზრზენი სუნისაგან, სახემოჯღანული ინსპექტორის შეხედვამ მერაბი ხუმრობის ხასიათზე დააყენა.

– რუსებმა პოლიტბიუროს წევრები გამომაყოლეს. ასე მითხრეს, ჩვენ აღარ გვჭირდებიან, იქნებ თქვენ გამოიყენოთო, – ინსპექტორს მერაბის ხუმრობაზე გაეცინა და ხუმრობითვე უპასუხა:

– მერე მგზავრობის წინ ვერ დაბანე, ასე რომ აგიყროლეს მანქანა?!

– დავბანე, მაგრამ მოთმინების უნარი აღარ აქვთ და ჩაისვარეს.



– აბა, გადახსენი ბრეზენტი, მინდა დავრწმუნდე ყველა აქ არის, თუ დაგრჩა ვინმე წამოსაყვანი?!

მერაბმა მანქანის წინა კარი გახსნა და ბრეზენტი გადახადა. უკანა ფეხებგაკოჭილ დიდ ღორს, წინა ფეხები მძღოლის საზურგეზე დაეწყო და დრუნჩით თავის მისაყუდებელ პატარა ბალიშს სუნავდა, მის გვერდით გოჭები ჩამწკრივებულიყვნენ, მოუსვენრად ღრუტუნებდნენ და აქეთ-იქით აქნევდნენ დრუნჩებს, მართლაც რომ, პოლიტბიუროს წევრებივით იყვნენ ჩაწყობილები. ამათ შემხედვარე ინსპექტორს სიცილი აუტყდა, თავი გააქნია და მყრალი სუნისგან შეწუხებული, მაქანას მოშორდა.

– ორმოცდაათის მეტი აღარ დამრჩა, საკმარისია? – უთხრა მერაბმა ინსპექტორს და ხუთი ათმანეთიანი ჯიბეში ჩაუკუჭა.

– შენ ისეთი პატივცემული ხალხი მიგყავს საქართველოში, მაგათი ხათრით მეტს აღარ გამოგართმევ! წადი, ხეირი ნახე! – დაემშვიდობა ინსპექტორი.

შუაღამე გადასული იყო, როცა „იჟკომბმა“ დამღლელი, თავგადასავლებით სავსე მგზავრობის შემდეგ სახლამდე მოაღწია.

– გამოდით! გამომხედეთ! – შეუძახა მერაბმა ოჯახობას და მანქანა უკანსვლით ეზოში შეიყვანა.

– ჯერ დიდი ღორი გადმოვიყვანოთ მამაჩემო, გოჭებს მერე მივხედავთ.

გიგუცამ ღორს უკანა ფეხები შეუხსნა და მანქანიდან გადმოიყვანა. მერაბმა სალონში შუქი აანთო, შიგნით ჩაიხედა და მოულოდნელობისაგან შეჰყვირა.

– ეს რა უქნიათ! სულ გაუოხრებიათ მანქანა, სახელურები შეუჭამიათ, კარებზე შიგნიდან აკრული რბილი საფარი დაუგლეჯიათ, იატაკი ფუნით არის სავსე, – გამწარებული მერაბი ფეხებს ურტყამდა და მანქანიდან ჰყრიდა აჭყვიტინებულ გოჭებს.

მეორე დღეს გიგუცამ ცხენის „ტაჭკით“ ჩაიყვანა ღორი და გოჭები ველისციხის ბაზარზე. მოუხედავად სარფიანი ვაჭრობისა, მოგებული თანხა ოდნავადაც ვერ ეყოფოდა დაზიანებული მანქანის აღდგენას. გარდა მიყენებული ზარალისა, მერაბმა ყველა ღონე იხმარა, რათა ღორების მყრალი სუნი გაექრო მანქანში. ძირისძირობამდე ამოწმინდა და შამპუნით

გარეცხა შიგნიდან მანქანა. სუნის გასაქრობი სხვა საშუალებებიც გამოიყენა, მაგრამ ღორების სუნი მაინც ვერ გააქრო.

დიდხანს საყვედურობდა მერაბი ცოლსა და მამას, მაგრამ წახდენილ საქმეს რაღა ეშველებოდა, მანაქნაზე გული აუცრუვდა და ერთი თვის თავზე ბაზრობაზე გაიყვანა გასაყიდად.

– ერთი კახური ანდაზისა არ იყოს: „ვირი მოგებაზე წავიდა და ნალები იქ დატოვა!“-ო სწორედ ჩემზეა ნათქვამი, – იტყოდა ხოლმე მერაბი ამ ამბის გახსენებისას და ნაძალადევად ეღიმებოდა...

შეცვლილი კაკაბი

– ზაზა! ტელეფონზე გთხოვენ, ამოდი! – გასძახა ელენემ გარაჟში მყოფ მეუღლეს, რომელიც თავის „ლუაზს“ ძრავში ზეთს უცვლიდა.

– ვინ არის ამ დილაადრიან რომ რეკავს! – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ზაზამ, დასვრილი ხელები ჩვრით შეიწმინდა და გარაჟიდან გამოვიდა.

– მე ვარ! – გაისმა ყურმილში მისი სიყრმის მეგობრის, ბონდოს ხმა, – ხვალ რას აკეთებ?

– რას უნდა ვაკეთებდე, ხვალ ხომ კვირაა!

– ჰოდა, მორჩი სახლში ჯდომას, სანადიროდ წავიდეთ! წინა კვირას ბიჭები იყვნენ უდაბნოში, აზერბაიჯანის მხარესაც გადასულან, კაკაბი და კურდღელია მომრავლებული. „ლუაზი“ ხომ მწყობრში გყავს, გაემზადე, ხვალ დილით გამოგივლი! – უცებ მიაყარა სათქმელი ბონდომ და ტელეფონი გათიშა, ისე რომ, არც კი დალოდებია ზაზას თანხმობას, თუმცა თანხმობა რა საჭირო იყო, როცა ბონდომ კარგად იცოდა, ზაზა, ნადირობის გამო, ნებისმიერ საქმეს გვერდზე გადადებდა.

მეორე დღეს უთენია მიადგა ბონდო ზაზას, სრული სანადირო ამუნიციით. ზაზასაც მოემთავრებინა სამზადისი, „ლუაზი“ გარაჟიდან გამოეყვანა და საბარგულში ზურგჩანთასა და სხვა საჭირო ნივთებს აწყობდა.

– ბონდო, მოდი დავილოცოთ, ვისურვოთ იღბლიანი ნადირობა! – თქვა ზაზამ და გარაჟის თაროდან, სადაც ღვინითა და არყით სავსე ჭურჭელი ეწყო, არყის ლიტრიანი ბოთლი ჩამოიღო, შემდეგ ორი ასგრამიანი თლილი ჭიქა შეავსო, ერთი ბონდოს გაუწოდა, ხოლო მეორეთი იღბლიანი ნადირობა ისურვა და სავსე ჭიქა ბოლომდე გამოსცალა.

– მოდი აქ! შემოდი გარაჟში! – გასძახა ზაზამ თავის ძაღლს, რომელიც ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ცმუკავდა, წკმუტუნებდა და თითქოს პატრონს ემუდარებოდა მეც წამიყვანეთო.

– შეხედე, ბონდო, რა დღეშია, ამის ცოდვით აღარ ვარ, სიბერემ ნამეტანი დაჩაგრა, ვეღარც თვალში იხედება და ფეხებიც ვარაუდით დააქვს. მოსაკლავადაც ვერ ვიმეტებ, ბევრი სიკეთე მახსოვს მისგან, – დანანებით წარმოსთქვა ზაზამ და თავის ბებერ კურცხალას მოეფერა.

– წამოიყვანე! თუ ვერაფერს გარგებს, არც არაფერს გავნებს! – უთხრა ბონდომ მეგობარს და ძაღლს დაუძახა. კურცხალა მონადირეების დაძახილზე უფრო გახალისდა, მოსწყდა ადგილიდან და „ლუაზის“ საბარგულში მოთავსდა.

ორი საათის მგზავრობის შემდეგ მეგობრების მანქანა გასცდა სოფელ ჯანდარას და უდაბნოს მთაგორიანი ტრამალებისაკენ აიღო გეზი. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მონადირეები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ, მანქანა გააჩერეს, პატრონაჟები აისხეს, თოფები მოიმარჯვეს და შეუყვნენ გორაკისაკენ მიმავალ ბილიკს.

გორაკს იქით მეჩხერი ტყე იწყებოდა, საიდანაც ფრინველთა საამო გალობა ისმოდა. ნადირობას მონატრებული ბებერი კურცხალა ბუნებაში ყოფნით გამოწვეული სიხარულისაგან მთლად გახელდა, ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა. მართალია სირბილი უჭირდა, მაგრამ თავს არ ზოგავდა, რაც შეეძლო მოძრაობდა და მონადირეებს თავს აწონებდა.

ზაზას უკვე მოესწრო ერთი მომცრო კაკაბის მონადირება, რომელიც ქამრის თასმაზე ჰქონდა ჩამოკიდებული, ხოლო ბონდოს კურდღელი მოეკლა, უცებ ბონდოს მარჯვნივ და მარცხნივ კაკბები აუფრინდენენ. მონადირე არ დაიბნა, ჯერ მარცხნივ შეტრიალდა და ესროლა, ხოლო შემდეგ ცოტა დაგვიანებით მარჯვნივ, ორივე ნასროლი მიზანს მოხვდა.

– ფრინველთა რისხვა ხარ, რისხვა! – აღტაცებით წარმოსთქვა ზაზამ და ბონდოს ნასროლი შეუქო.

ბონდომ ძირს ჩამოვარდნილ კაკბებს თვალი გააყოლა, შემდეგ თავის ორლულიან თოფს აკოცა, მეგობარს ამაყად გადმოხედა, თვალი ჩაუკრა და მიაძახა:

– ისწავლე სროლა როგორ უნდა! უკეთეს გაკვეთილს ვერავინ ჩაგიტარებს!

ბონდო მარცხენა მხარეს ჩამოვარდნილ კაკბისკენ გაიქცა, ხოლო ზაზას ანიშნა მარჯვნივ წასულიყო, სადაც ცოტა მოშორებით მოკლული კაკაბი ბარდებში ჩავარდა. ზაზას კურცხალა ხან წინ გადაუსწრებდა და ხან უკან მიჰყვებოდა. ძაღლმა როგორც იქნა გამოიტანა ბარდებიდან კარგა მოზრდილი, ბელტივით მძიმე, მოკლული ფრინველი. ზაზას კაი ხანია არ ენახა ასეთი დიდი კაკაბი. იგი ცოტა ხანს გაყუჩდა, შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ბონდოს და მის ტარანივით გამხდარ დედაკაცს ეს ჩასუქებული კაკაბი გულს მოუმსუყებთ, მათ ესეც ეყოფათ! – შემდეგ ქამრის თასმაზე ჩამოკიდებული მომცრო კაკაბი მოიხსნა და მის ნაცვლად ბონდოს მოკლული კაკაბი ჩამოიკიდა.

კურცხალა ქამარზე მიაშტერდა და თვალს არ აშორებდა მის ქმედებას.

– კურცხალა! შენ ხომ არ ჩამიშვებ ბონდოს კაკაბი რომ შევუცვალე?! – სიცილით ჰკითხა პატრონმა ძაღლს.

ძაღლმაც, იმის ნიშნად, რომ პატრონს არ ჩაუშვებდა, წკმუტუნი დაიწყო, თავი მუხლებზე მიადო და პატრონს ორივე ხელი აულოკა.

ზაზამ მოკლული კაკაბი ბონდოს გადასცა. ბონდომ კაკაბი ხელში რამდენჯერმე ასწია, თითქოს წონისო, შემდეგ თავი უცნაურად გაიქნია და კაკაბი ქამრის თასმაზე ყინწით ჩამოიკიდა. კიდევ რამდენიმე კურდღელი მიუმატეს ნანადირევს მონადირეებმა. ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც, დახოცილი კურდღლები და კაკბები მანქანაში მოათავსეს და იღბლიანი ნადირობით კმაყოფილებმა სახლისაკენ აიღეს გეზი.

რანდენიმე დღის შემდეგ ზაზა და ბონდო შემთხვევით შეხვდენენ ქალაქში ერთმანეთს.

– კიდევ როდის წავიდეთ სანადიროდ?! – ჰკითხა ზაზამ მეგობარს.

– ნადირობაზე უარს როგორ ვიტყვი, მაგრამ ვერ ვარ მთლად კარგად, მხედველობა მღალატობს, – გამოუტყდა ბონდო ზაზას.

– მაინც რა დაგემართა, აღარ იტყვი? – ჩაეძია ზაზა.

– ჩემს ირგვლივ საგნები, ფრინველები, ცხოველები დიდად მეჩვენება, არადა ვგრძნობ ასე არ არის.

– რას გულისხმობ? – ვერ მიუხვდა ზაზა.

– წინა კვირას, სანადიროდ რომ ვიყავით, კარგად მახსოვს ერთდროულად ორი კაკაბი მოვკალი. ერთი შენ და კურცხალამ რომ მომიტანეთ, ჰაერში კარგად დავინახე დიდი, ბელტივით კაკაბი ჩანდა. ძირს რომ ჩამოვარდა ჩხართივივით პატარა აღმოჩნდა, ნამდვილად თვალი მატყუებს, ექიმს უნდა გავესინჯო.

ზაზა მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე. უნდოდა გულიანად გაეცინა, მაგრამ თავი შეიკავა, თავის ოინბაზობას ხომ არ გაამჟღავნებდა. მან ბონდოს მხედველობასთან დაკავშირებული

პრობლემის გამო მწუხარე სახე მიიღო და მეგობარს თანაგრძნობით შეეკითხა.

– რამდენის ხარ, ორმოცდაათს გადასცდი?

– გაისად მისრულდება ნახევარი საუკუნე! – უპასუხა ბონდომ.

– ჰოდა, ძმაო, დროა სათვალეები ატარო, შენ თავი ისევ ჯეელი ხომ არ გგონია? – მეგობრულად დატუქსა ზაზამ.

– ექიმს აუცილებლად გავესინჯები, სათვალესაც ვატარებ, ოღონდ სერიოზული არა მჭირდეს რა თვალებზე, – ნაღვლიანად წარმოსთქვა ბონდომ.

– რამ შეგაშინა, რა ყურები ჩამოყარე! წამოდი, ლუდზე გეპატიჟები, ძალიან ჩამოცხა, თითო კათხა მოგვიხდება! – სთქვა ზაზამ, ბონდოს ხელკავი გამოსდო და ორივე ლუდის ბარში შევიდა.

ზაზას სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, ბონდო უყურებდა მას და ვერ გაეგო, რა აცინებდა მის მეგობარს. თან გული მოსდიოდა მასზე, კაცი დარდისაგან აღარ იყო, მხედველობის გაუარესების გამო, მისი ძმაკაცი კი ღიმილს ვერ იშორებდა სახიდან.

მადლი

– დედა, გაიცანი, ეს ჩემი ახალი თანაკლასელია, სანდრო, ერთი თვეა, რაც რაიონიდან ჩამოვიდა, ბიძასთან ცხოვრობს, თან რეპეტიტორებთან ემზადება, უნივერსიტეტში უნდა ჩააბაროს.

ელენემ სანდროს გაუღიმა, თავზე მოფერებით ხელი გადაუსვა, მერე ორივე სამზარეულოში მიიპატიჟა.

– მოშიებული იქნებით. აბა, ხელები დაიბანეთ და სუფრას შემოუსხედით...

ლევანის და სანდროს მეგობრობა სამაგალითო იყო კლასში. მათ საერთო ინტერესები ჰქონდათ. ორივეს ტექნიკურ უნივერსიტეტში უნდოდა გამოცდების ჩაბარება. ბიჭები სკოლაში კარგად სწავლობდნენ და თან მისაღები გამოცდებისათვის ემზადებოდნენ. სკოლაში სწავლის ბოლო თვეებმა სწრაფად გაირბინა. ახალგაზრდებმა წარმატებით დაამთავრეს საშუალო სკოლა. სკოლის პერიოდში გამოჩენილმა მონდომებამ და სიბეჯითემ თავისი გაიტანა. ორივე ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მათი მეგობრობა ისევ გრძელდებოდა. ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებდნენ.

– ლევან, სანამ სწავლა დაიწყება ჩემთან გეპატიჟები, იმერეთში, – უთხრა სანდრომ ლევანს და თავისი სოფლის სიმშვენიერეზე დაუწყო საუბარი, იმდენი ქნა დაიყოლია.

იმერეთმა ლევანს ბევრი სასიამოვნო გასახსენებელი დაუტოვა, განსაკუთრებით მოსწონდათ ბიჭებს კამკამა მდინარეში ხელაობა. ბევრჯერ, აზარტში შესულებს, უხსენებელიც კი ამოუგდიათ წყლიდან და შეშინებულებს იქვე, მდინარის ნაპირას ქვებზე დაუნარცხებიათ.

სწავლის წლებმა სწრაფად გაირბინა. ბიჭებმა წარმატებით დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, შესაბამისი სამსახურებიც მალე იშოვნეს და ოჯახებსაც მოეკიდნენ.

– ლევან, ცოლის მოყვანა მაქვს გადაწყვეტილი, შენზე უკეთესი მეგობარი მე არ მყავს, მეჯვარედ უნდა გამომყვე! – დანათესავება შესთავაზა სანდრომ მეგობარს.

– აღარ იტყვი ვინ მოგყავს? – ყასიდად შეეკითხა ლევანი.

– ნუ თვალთმაქცობ! თითქოს არ იცოდე. ვინ მომყავს და ეკა, ხომ იცი რა ფხუკიანი გურულია, სხვაზე როგორ ვიფიქრებ, ხომ გაპუტავს მთელ საქალეთს.

ეკა ფიცხი, მაგრამ კეთილი გოგო იყო. სანდრომ და ეკამ უნივერსიტეტში გაიცნეს ერთმანეთი და სამი წელი მეგობრობდნენ. ბოლოს მეგობრობამ გრძნობებიც გააჩინა და ქორწილის დღეც დათქვეს.

დიდებული ქორწილი გადაიხადეს სანდროს მშობლებმა. იმერელი გოგონები დიდი ინტერესითა და სურვილით გააპარებდნენ ხოლმე სიძის მეჯვარისკენ თვალს, რომელიც თავისი დახვეწილი მანერებითა და მშვენიერი გარეგნობით იქ მყოფი მანდილოსნების ყურადღებას იპყრობდა, მაგრამ შეიტყობდნენ რა, ლევანს ცოლი და ორი ვაჟკაცი ჰყავდა, უკმაყოფილოდ გააქნევდნენ თავს.

სანდრომ თავისი მოხერხებულობითა და გავლენიანი მეგობრების დახმარებით სარფიანი ბიზნესი წამოიწყო. იღბალი აშკარად სწყალობდა. სულ ცოტა ხანში საწვავის მაგნატებთან წილებში ჩაჯდა და შემოსავალიც საკმაოდ გაეზარდა.

ლევანის უფროსი ძმა, თემური, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა, გულის შეტევით გარდაიცვალა. დედამ ვერ გაუძლო შვილის გარდაცვალებას და ექვს თვეში უკან მიჰყვა. თემურს ოჯახი არ ჰყავდა. მან რუსეთში ყოფნისას შექუჩებული დანაზოგი ლევანს გამოუგზავნა და სთხოვა ქალაქის პრესტიჟულ უბანში მისთვის ბინა ეყიდა. ლევანმა ძმას თხოვნა შეუსრულა, მაგრამ თემური ვერ მოესწრო თავისი სამოთახიანი ბინის ხილვას.

– ლევან, როდემდე უნდა იყო უმუშევარი, თითქმის ორი წელია აღარ შეხმიანებიხარ სანდროს, იქნებ მისულიყავი მასთან, დაგასაქმებდა ან დაგეხმარებოდა, – უსაყვედურა მეუღლემ ლევანს.

– სანდრომ კარგად იცის ჩემი მდგომარეობა, დახმარება რომ უნდოდეს შემეხმიანებოდა.

– შენ მე გადამრევ! დასახმარებელი შენ ხარ და იქით ავალდებულებ კაცს შენთან მოსვლას? ხომ არ გავიწყდება, თემურის სახლი იპოთეკით რომ არის დატვირთული და თუ დროზე არ შევიტანთ პროცენტს, გაგვიყიდიან, – არ ცხრებოდა მაგდა.

– კარგი, წავალ, მაგრამ ფეხი უკან მრჩება, რაღაც არ მაქვს იმედი...

რამდენი ხანია აქეთ აღარ ვყოფილვარ, თავისთვის ფიქრობდა ლევანი და კიბეების საფეხურებს ნელ-ნელა ქვემოთ იტოვებ-

და. მან მორიდებით დააჭირა ზარის ღილაკს თითი და კარის გაღებას დაელოდა, კარი ახალგაზრდა ქალმა გაუღო.

– სანდრო ინწკირველი მინდოდა! – უთხრა ლევანმა მომღიმარ ქალბატონს.

– ბატონი სანდრო აქ აღარ ცხოვრობს, ის ოჯახთან ერთად საირმის ქუჩაზე, ახლად აშენებულ სახლში გადავიდა.

– აბა, ეს ბინა? – იკითხა ლევანმა.

– ეს ბინაც ბატონი სანდროსია, მაგრამ უცხოელ დიპლომატზე აქვს გაქირავებული, მე ბინის მომვლელი ვარ, – მიუგო ქალმა.

ლევანმა სანდროს ახალი სახლის მისამართი გამოართვა მომვლელ ქალს და დაემშვიდობა. მართლაც დიდებული სახლი აეშენებინა სანდროს. ფართო, კეთილმოწყობილ ეზოს ჩოგბურთის მოედანი და საუცხოო დიზაინის საცურაო აუზი ამშვენებდა, ირგვლივ დეკორატიულად გაფორმებული, ფერადი ქვაფენილი ჰოლანდიური ტიტებით იყო მორთული. სამსართულიან, უახლესი პროექტით აშენებულ სახლს მწვანე, მცოცავი ხავსი ფარავდა.

– თქვენთან სტუმარია, ქალბატონო! – უთხრა მოსამსახურე ქალმა ეკას.

ეკამ დიდად გაიხარა დიდი ხნის უნახავი ოჯახის ახლობლის სტუმრობით. სანდრომ ხელი ჩამოართვა ლევანს და თავაზიანად მოიკითხა, მისი გამომეტყველებიდან ჩანდა, რომ ლევანის სტუმრობა არ ეჭაშნიკა, გუმანით ხვდებოდა, რომ ის დახმარების სათხოვნელად იყო მოსული, მითუმეტეს, სანდრომ იცოდა, ლევანი უმუშევარი იყო და ფინანსური პრობლემები ჰქონდა.

– სანდრო, შენ კარგად მიცნობ, ჩემს გაჭირვებაზე წუწუნს არ ვარ ჩვეული, მაგრამ ეხლა გამოუვალი მდგომარეობა მაქვს და უნდა შეგაწუხო. საქმე ეხება ჩემი ძმის, თემურის ბინას, რუსეთიდან მისი გამოგზავნილი ფულით რომ ვიყიდე ჯორჯაძის ქუჩაზე, ხომ გახსოვს? ყიდვისას შენც თან მახლდი, ეს ბინა გაჭირვების გამო იპოთეკაში ჩავდე. პროცენტს ვეღარ ვიხდი და ჩამორთმევას აპირებენ. ჯერ ჩემი ძმის ჩამოსვენებისა და დაკრძალვის ხარჯები, მერე დედაჩემის გარდაცვალება, ამას ჩემი უმუშევრობაც დაერთო და ვალები დამედო. ჩემი ცხონებული ძმისაგან ეს ბინა დარჩათ ჩემს შვილებს, არ მინდა



დავკარგო, ნათესავებში მოვაგროვე გარკვეული თანხა ბინის დასახსნელად, მხოლოდ 3000 დოლარი მაკლია სრულად რომ გამოვისყიდო, მასესხე და გადაგიხდი.

სანდრო მცირე ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ ლევანს შეხედა და როგორც იქნა ხმა ამოიღო.

– ლევან, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თუკი რამ თანხა მქონდა საქმეში ჩავდე. ამ თვეში საწვავის დიდი რაოდენობა შემოგვაქვს, ასე რომ, არ გეწყინოს, არ მაქვს საშუალება.

ეკა სამზარეულოში ფუსფუსებდა, სურდა საპატიო სტუმრისთვის ღირსეული მასპინძლობა გაეწია. ლევანი სანდროს უარს მშვიდად შეხვდა, მხოლოდ თავის მეუღლეზე მოუვიდა გული, რომელმაც ძალდატანებით გამოაგზავნა აქ. ლევანმა სანდროს ბოდიში მოუხადა შეწუხებისთვის და წასასვლელად მოემზადა. ამასობაში ეკას მაგიდა გაეწყო და მამაკაცების მისაპატიჟებლად სასტუმრო ოთახში შემოვიდა. წასასვლელად გამზადებული, კარისაკენ მიმავალი ლევანი რომ დაინახა, სახეზე ალმური მოედო, მიხვდა, მისმა ქმარმა კიდევ ერთ ახლობელ ადამიანს აწყენინა.

ლევანი დაემშვიდობა მასპინძლებს და სახლში წავიდა.

– კაცო, რა უთხარი ასეთი ლევანს, ელდანაკრავივით რომ გავარდა?

– ისეთი არაფერი, თემური ხომ გახსოვს მისი ძმა, რუსეთში გულის შეტევით რომ გარდაიცვალა.

– როგორ არა, გასვენებაშიც ხომ ვიყავით.

– ჰოდა, მისი ბინა იპოთეკით დაუტვირთია, ფულს ვეღარ იხდის და უყიდიან. 3000 დოლარი მთხოვა, მასესხეო.

– მერე?!

– მერე, შენ ხომ იცი მთელი ფული სად მაქვს ჩადებული?

– როგორ დავიჯერო, რომ შენ 3000 დოლარის შოვნა გაგიჭირდა, როგორ უთხარი ლევანს უარი, ის ხომ შენი ბავშვობის მეგობარი და მეჯვარეა.

– 3000 დოლარის მიცემა არ იყო პრობლემა, მაგრამ როგორც შევატყვე, ეგ ამ ფულის უკან დამბრუნებელი აღარ იქნებოდა. ვერ შეამჩნიე, საყელომოცვეთილი პერანგი რომ ეცვა, კაცს პერანგის ყიდვის საშუალება არ აქვს და მე 3000 დოლარს დამიბრუნებდა?!

ამ სიტყვების გაგონებაზე ეკა მთლად გადაირია, არ დაზოგა

ქმარი, რაც იცოდა მის შესახებ და რისი თქმის სურვილიც ჰქონდა ყველაფერი პირში მიახალა.

– არაფერი წმინდა და ადამიანური შენში აღარ დარჩა, შენთვის მხოლოდ ფულია მთავარი, ფულის იქით აღარ იხედები, რად დაგებინდა გონება, დაგავიწყდა როგორ გეხმარებოდნენ კეთილი ადამიანები? შენი საქმე ისეა: „ქათამმა წყალი დალია და ცას შეხედაო“. სანდროს არ ესიამოვნა ქათმის ხსენება, სახეზე სიბრაზე დაეტყო.

– ქალო, ხმა გაიკმინდე, თორემ ქათამს გაჩვენებ!

– რა სატკივრად გინდა ფული, ქონება, სიმდიდრე, თუ იმ ადამიანებს, რომლებთანაც მრავალი წელი გაკავშირებს, გაჭირვების ჟამს გვერდით არ დაუდექი! – საყვედურობდა ეკა და თვალებიდან ღვარად ჩამოდენილ ცრემლებს იწმენდდა.

ამბობენ ღმერთი მოწყალეაო, ჰოდა ლევანსაც გადმოხედა უფლის მადლმა, დიდი გაჭირვებით იშოვა 3000 დოლარი და გარდაცვლილი ძმის ბინა იპოთეკიდან დაიხსნა. მაგდა დაჟინებით სთხოვდა:

– ხომ ხედავ ვალებში ვიხრჩობით, გავაქირავოთ ის ბინა, ცოტას წამოგვეშველება.

– რას ამბობ ქალო, ჩემი ხელით გარემონტებული ბინა მდგმურებს ჩავაოხრებინო, მე შენ გეტყვი, გაუფრთხილდებიან თუ? მაინცდამაინც საწუწუნოც აღარა გვჭირს. უფროსი ბიჭი ბანკში მუშაობს, მეც ღვთის მადლით სამსახური გამომიჩნდა, ნელ-ნელა გავისტუმრებთ დარჩენილ ვალებს, – დააწყნარა ლევანმა მეუღლე.

გავიდა ხანი, ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა ხელისუფლება შეცვალა. ახალმა ხელისუფლებამ თავის ინტერესებს მოარგო ქვეყნის მართვის ბერკეტები. ცუდ დღეში ჩავარდნენ წინა მთავრობის დროს წახალისებული ბიზნესმენები. რეფორმატორის სახელს ამოფარებულმა ხელისუფლებამ წინა მთავრობის დროს აღზევებული ბიზნესმენების უმეტესობას ქონება დაუყადაღა, ზოგი დაიჭირეს, ზოგი გააქციეს. მათი ბედი გაიზიარა საწვავის ბიზნესის ცნობილმა მაგნატმა, სანდრო ინწკირველმაც.

– ლევან, მოდი ტელევიზორს უყურე, სანდროზეა გადაცემა, დაუჭერიათ, მისი ქონება დაუყადაღებიათ, ერთი კვირის ვადაში უნდა დატოვოს მისმა ოჯახმა სახლი. ის ახლა მთავრობას

ეკუთვნის! – აღელვებული უყურებდა მაგდა ტელევიზორს და თან ლევანს უხმობდა, რომელიც სააბაზანოში პირს იპარსავდა.

– დაიქცა ოჯახი, ცოდვაა, – დანანებით წარმოსთქვა ლევანმა.

საუზმეზე უარი თქვა და ტანსაცმლის ჩაცმა დაიწყო.

– სად მიდიხარ, კაცო? – ჰკითხა გაკვირვებულმა მეუღლემ.

– საირმის ქუჩაზე, ეკასა და ბავშვებს ვნახავ, გავამხნევებ, დარწმუნებული ვარ ამ მთავრობის შიშით მათთან აღარავინ მივა, ცოდონი არიან!

საირმის ქუჩაზე, ინწკირველების სახლში მწუხარება სუფევდა. ოჯახის უფროსი თვეზე მეტია დაეპატიმრებინათ, ბრალად არაკანონიერი შემოსავლები და დიდი რაოდენობით თანხების დამალვა სახელმწიფოს ბიუჯეტის საზიანოდ ჰქონდა წაყენებული. იმ დროს, როდესაც სანდროს თითქმის ყველა მეგობარი და ნაცნობი, ახლობელი თუ ნათესავი, ერიდებოდა მის ოჯახში მოსვლას, ლევანის გამოჩენა მათთან სასურველი მოულოდ-ნელობა იყო.

ეკას გაუხარდა ლევანის სტუმრობა, დაწვრილებით მოუყვა, რაც შეემთხვათ. მთელი ქონება ჩამოერთმიათ, კვირის ბოლოს კი სახლიც უნდა დაეტოვებინათ, ისე რომ, სახლიდან არაფრის წაღების უფლება არ ჰქონდათ, მათ აღარფერი ეკუთვნოდათ.

– ლევან, ისეთი პირობები შეგვიქმნეს, რომ სიცოცხლე აღარ მინდა, ბავშვები მეცოდებიან, თორემ თავს მოვიკლავდი. ესენი ვის დავუტოვო, მოხუცი დედის მეტი აღარავინ მყავს, ყველამ მიგვატოვა, აღარავის ვუნდივართ. სად წავიდე? ვის მივადგე? – ტიროდა და მოსთქვამდა საცოდავი ქალი.

ლევანს გულწრფელად შეეცოდა სანდროს ოჯახი. ცდილობდა დაემშვიდებინა ეკა, მაგრამ ამ ქალის მწუხარება და უიმედობა, იმდენად უსაზღვრო იყო, რომ ლევანის ნათქვამი სიტყვები მხოლოდ თანაგრძნობად ეჩვენებოდა ხვალინდელი დღის უიმედობაში ღრმად დარწმუნებულ ეკას.

ლევანი დაემშვიდობა სანდროს ოჯახს და გულდამძიმებულმა დატოვა იქაურობა.

მეორე დღეს ისევ საირმის ქუჩას მიუყვებოდა ლევანი. მისთვის უკვე კარგად ნაცნობ მისამართზე მდგარ უმშვენიერეს სახლთან შეჩერდა, საუცხოო ორნამენტებით გაწყობილი ჭიშკრის კუთხეში ზარის ღილაკს თითი დააჭირა. კარი სანდროს

უფროსმა ბიჭმა გაუღო და სახლში მიიპატიჟა...

– დედა სად არის? – ჰკითხა ლევანმა ბიჭს.

– დედას წუხელ მთელი ღამე არ სძინებია, ავად იყო, ამ დილით ექიმთან წავიდა, – უპასუხეს ბავშვებმა.

– დედა რომ დაბრუნდება, ეს კონვერტი გადაეცით! – თქვა ლევანმა, კონვერტი მაგიდაზე დადო და ბიჭებს დაემშვიდობა...

– ლევანი ბიძია იყო ჩვენთან, ეს კონვერტი დატოვა, – უთხრეს ბავშვებმა დედას. ეკამ კონვერტი გახსნა. კონვერტში ბინის გასაღები და პატარა ბარათი იდო: „ამ ბინაში შედით და იცხოვრეთ იმდენ ხანს, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლით“. ბარათის ბოლოს მისამართი ეწერა: ჯორჯაძის ქუჩა №7 ბინა 133...

– რაღაც ჭკუაში არ მომდის ამ ახალგაზრდების ძალადობა და სწრაფვა ხელისუფლებისკენ, – თქვა ნიკომ, ფანჯარასთან მივიდა და რუსთაველის პროსპექტზე „გადადექი!“ „გადადექის!“ ძახილით მიმავალ მომიტინგეთა კოლონებს უკმაყოფილოდ გადახედა.

– არც მე ვარ მოხიბლული ამ ტრიუმვირატით. ესენი ისედაც გაჭირვებულ და დაქცეულ ქვეყანას უარესს დამართავენ, რევოლუციას და ძალადობას არც ერთ ქვეყანაში ხალხისთვის სიკეთე არ მოუტანია, – დაეთანხმა მამის მოსაზრებას გურამი.

წვიმდა... პარლამენტის წინ შეგროვილმა მომიტინგეებმა ცელოფნები გაშალეს, წვიმა თანდათან მატულობდა, მაგრამ არც ერთი მომიტინგე იქაურობის დატოვებას არ აპირებდა. მიკროფონთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც შევარდნაძის მთავრობის უპირობო გადადგომას ითხოვდნენ...

„ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ხელისუფლება ძირეულ გარდაქმნებს ჰპირდებოდა მოსახლეობას, მაგრამ გაიმაგრეს რა პოზიციები, სრულიად დაივიწყეს დაპირებები, დაიწყეს ეროვნული თვითშეგნების ჩაკვლა მოსახლეობაში. ათასობით ადამიანი, პოლიტიკური შეხედულების გამო, სამსახურებიდან გაათავისუფლეს და ციხეებში გამოამწყვდიეს. ქვეყანაში ღარიბ-ღატაკთა რიცხვმა კატასტროფულად იმატა, უმუშევრობა და სიღატაკე გახდა ახალი ხელისუფლების საავიზიტო ბარათი. ათიათასობით საქართველოს მოქალაქემ დატოვა საკუთარი სამშობლო და უცხოეთში გადაიხვეწა, რათა უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ოჯახის წევრებს იქიდან დახმარებოდა.

ქვეყანაში არსებულ საერთო გაჭირვებას და უსამართლობას ვერც გურამი გადაურჩა, იმის გამო, რომ არ იზიარებდა ახალი ხელისუფლების პოლიტიკურ-ეკონომიკურ კურსს, ის ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სამსახურიდან დაითხოვეს.

– თუ დროზე არ გავეცალე აქაურობას, შიმშილი არ აგვცდება, როდემდე უნდა ვიყოთ ასე! – ჯავრობდა გურამი და ავადსახსენებელ ხელისუფალთ უშვერი სიტყვებით ამკობდა.

– საით აპირებ წასვლას, აღარ იტყვი? – ჰკითხა მამამ.

– ჯერ რუსეთში წავალ, ნაცნობები მყავს, თუ იქ არაფერი გამოვიდა, მერე სხვაგან გადავალ, წასასვლელის მეტი რა არის?! ქვეყანა დიდია! – უპასუხა გურამმა მამას და სიგარეტი ისე მძლავრად მოქაჩა, რომ თითქოს სქელ კვამლს ნაღველი ამოაყოლა.

ერთი კვირის შემდეგ გულდაწყვეტილი გურამი დაემშვიდობა მშობლებს, უმცროს და-ძმას და მოსკოვს გაემგზავრა... არც რუსეთში იყო მშვიდი ვითარება. ბოლო დროს ქართველების მიმართ დამოკიდებულება გართულდა. რუსი ნაციონალები ეროვნულ უმცირესობებს განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდნენ. ხშირი იყო სიკვდილიანობა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ულმობლობას ქართველების მიმართ იჩენდნენ. ყოველივე ამის შესახებ იუწყებოდა ქართული პრესა და ტელევიზიები, ამიტომ გურამის ოჯახი დღენიადაგ შიშსა და ცუდი ამბის მოლოდინში იყო.

გურამმა მოსკოვის გარეუბანში, ნაცნობების დახმარებით, ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში დაიწყო მუშაობა. საქმე კარგად ააწყო, ხელფასსაც არ ემდუროდა, თითქმის ყოველ თვე უგზავნიდა ოჯახს გარკვეულ თანხას, მაგრამ თანდათან დაიძაბა მდგომარეობა, გაუსაძლისი გახდა იქ ქართველების ყოფა. რუსეთის ხელისუფლებამ გაამკაცრა ემიგრაციის კანონი, რასაც მოჰყვა ათასობით არალეგალურად მყოფი სხვა ეროვნების პირთა დეპორტაცია, გურამი იძულებული გახდა რუსეთი დაეტოვებინა და მეგობრების რჩევითა და დახმარებით ნორვეგიაში გამგზავრებულიყო. იქ, ჩრდილოეთში ზღვის შელფის მბურღავთა ბრიგადაში დაიწყო მუშაობა. ბრიგადის წევრები ზღვის შელფის გაბურღვის შედეგად ნავთობ საძიებელ სამუშაოებს ასრულებდნენ და ანაზღაურებაც საკმაოდ დიდი ჰქონდათ. თუმცა მათ დიდი ხნით უხდებოდათ ზღვაში ყოფნა და გარე სამყაროს მოწყვეტილნი იყვნენ.

– უკვე მეოთხე წელი დაიწყო, რაც ბიჭისგან არაფერი ისმის, ნუთუ ღმერთი ასე გაგვწირავს?! ნეტავ რამე ხომ არ უჭირს ჩემს ბიჭს? – მოთქვამდა გურამის დედა, ქეთევანი.

– აბა, რა გითხრა! რით დაგამშვიდო! მეც შენსავით მიწუხს გული, მაგრამ მე მჯერა ჩვენი ბიჭის გონიერებისა, იმედია ცუდი არაფერი იქნება ჩვენს თავს, ქეთევან!

– ოღონდ მშვიდობით ჩამოვიდეს და მისი არა მინდა რა!

უფრო მეტ გაჭირვებას გავუძლებ, ოღონდ გურამს არა დაემართოს რა.

– რა უნდა დაემართოს, დედაკაცო? რამე რომ უჭირდეს არ შეგვატყობინებდა?

– დაგავიწყდა მაგისი პატარაობა? რაც არ უნდა დამართნოდა, ხმას არ ამოიღებდა.

– სამი წელი მიილია, ნუთუ წერილის დაწერის დრო არ აქვს, ან ტელეფონით მაინც დაგვიკავშირდეს!

– როდის ერთხელ მოუწერია წერილი?! ხომ იცი მაგის ხასიათი, როგორ ეზარება წერილების წერა, მაგრამ ტელეფონზე დარეკვას რაღა უდგას წინ!

– არ ვიცი! არ ვიცი, რით დაგამშვიდო, ჩემო ქეთევან! – ეუბნებოდა ნიკო ცოლს და ოთახში მოუსვენრად ბოლთას სცემდა.

გურამის მოლოდინში კიდევ ორმა წელმა გაიარა. საქართველოში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. რუსეთთან აგვისტოს ომის შემდეგ, ნაციონალების მთავრობის მიმართ მოსახლეობამ აქტიური მოქმედება დაიწყო, რაც არჩევნებში აისახა და სააკაშვილის ხელისუფლებამ კრახი განიცადა. ხელისუფლებაში ახალი, მოსახლეობაზე ორიენტირებული ძალა გამოჩნდა, გაჩნდა იმედი და მომავლის რწმენა. თანდათანობით ბრუნდებოდნენ ემიგრაციაში მყოფი ქართველები, ქუჩაში გაღიმებულმა სახეებმა იმატა, გაჩნდა პირველი უმნიშვნელო, მაგრამ მაინც იმედის მომცემი სასიკეთო ცვლილებები. იმედი, ეს იყო ყველაზე უმთავრესი, რითაც თავისუფალი ქართველი რწმენით ელოდა ხვალინდელი დღის გათენებას. იმედი გაჩნდა ხალხში, იმედი, რომელიც ჩაკლა ნაციონალურმა ხელისუფლებამ და ახლა იმედით აღვსილი თითოეული ადამიანი პირმომღიმარი დააბიჯებდა სოფლად თუ ქალაქად.

ნიკოს და ქეთევანსაც ახარებდათ ქვეყნის სასიკეთოდ შემოტრიალება, მაგრამ გურამის დაკარგვის შიშით გულდამძიმებულნი, ისევ დარდით და უსასრულო მოლოდინში ათენ-აღამებდნენ.

– დედა! დედა! შეხედე, ეს პატარა ბეღურა რა დღეშია! – უთხრა გურამის უმცროსმა დამ, ლიკამ დედას.

ბეღურა ხმაურიანი ჟღურტულით ეხეთქებოდა გარედან სამზარეულოს დახურულ ფანჯარას და ნისკარტს უკაკუნებდა მინას.

ქეთევანი გაკვირვებული უყურებდა ბეღურას უცნაურ ქმედებას და ვერ გაეგო რა სურდა ჩიტს.

– ნიკო, შეხედე! დილას აქეთ ეხეთქება სამზარეულოს ფანჯარას ეს ბეღურა და ნისკარტს უკაკუნებს მინას, – შესჩივლა ოთახში შემოსულ ნიკოს მეუღლემ.

– საოცარია! მგონი ნისკატის კაკუნით რაღაცას გვეუბნება! რაღაც უნდა გვითხრას! – წარმოსთქვა ნიკომ და სამზარეულოს ფანჯარა შემოხსნა.

ბეღურა უმალ მოსცილდა ფანჯარას და გაუჩინარდა. სანამ ფანჯარა ღია იყო ბეღურა აღარ გამოჩენილა. დახურა თუ არა ფანჯარა ნიკომ, მაშინვე მოფრინდა და ისევ დაიწყო მინაზე ნისკარტით კაკუნი.

– მამა! მამა! იქნებ შია და საჭმელს ითხოვს?! – უთხრა ლიკამ ნიკოს.

ქეთევანმა ფანჯარა ისევ გამოაღო, რაფაზე პურის ნამცეცები დაყარა და ისევ დახურა. ბეღურა ნამცეცებს არ გაკარებია, მიეკრა თავისი პაწაწა ფეხებით მინას და ნისკარტით ისევ დაიწყო კაკუნი.

ნიკო და ქეთევანი გაკვირვებულნი იყვნენ ჩიტის ქმედებით და ვერ აეხსნათ, რისი თქმა უნდოდა პატარა ბეღურას.

შაბათი დღე გათენდა. დღე გაზაფხულის, მზიანი და იმედით აღსავსე. დილით, სისხამზე ნიკოს სადარბაზოსთან ტაქსი გაჩერდა, მანქანიდან გადმოვიდა სასიამოვნო გარეგნობის, ელეგანტურად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი და მძღოლის დახმარებით საბარგულიდან ორი ვეებერთელა ხელჩანთა გადმოიღო, შემდეგ მგზავრობის ღირებულება გადაიხადა, ქართული ჩვეულებისამებრ დაბრუნებულ ხურდაზე უარი განაცხადა და მძღოლს დაემშვიდობა.

– ნიკო, კარი გახსენი! ვიღაც აკაკუნებს, – გამოსძახა საძინებელი ოთახიდან ქეთევანმა მეუღლეს, რომელიც სააბაზანოში პირს იპარსავდა. ნიკომ პირსახოცით სახე შეიმშრალა და კარი გამოაღო.

– გურამ! – ხმამაღლა შესძახა ნიკომ და შვილი გულში ჩაიკრა, თვალები სიხარულის ცრემლებით აევსო და ახლად გაპარსულ ლოყებზე ღვარებად ჩამოედინა.

– ქეთევან, ბიჭი ჩამოვიდა! ჩვენი გურამი დაბრუნდა! – იძახდა სიხარულისაგან აცრემლებული ნიკო და მეუღლეს უხმობდა.

ჯერ ისევ ლოგინში მწოლიარე ქეთევანისთვის ნიკოს სიხარულით სავსე, ხმამაღალი შეძახილი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ქალს ძალა წაერთვა, ადგომა სცადა, მაგრამ ლოგინიდან ფეხი ვერ გადმოდგა. თვალებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, ხელები გაეშალა და ოთახში შემოსულ გურამს გულში ჩასახუტებლად უხმობდა...

მას შემდეგ, რაც გურამი დაბრუნდა, ბეღურა ფანჯარას აღარ გაჰკარებია...

– შუადღე წამოვიდა, ნეტა როდისღა უნდა წავიდეთ! ცოტა აჩქარდით! მამაჩემსაც ეხლა მოუნდა საპარიკმახეროში პირის გაპარსვა, – საყვედურობდა გია მეუღლეს და თან მანქანის საბარგულში ხელჩანთებს აწყობდა. ამასობაში გაიოზიც დაბრუნდა საპარიკმახეროდან, თმები გაეკრიჭა და პირიც გაეპარსა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო პირველად უნდა შეხვედროდა იმერელი კაცი თავის კახელ მძახლებს და მოუწესრიგებელი ხომ არ გამოეცხადებოდა მათ.

გიამ და ნუციკომ ორი წლის წინ გაიცნეს ერთმანეთი ნუციკოს მეგობრის დაბადების დღეზე. გია ჯავახიშვილის უნივერსიტეტში საფინანსო-ეკონომიკური ფაკულტეტის ბოლო კურსის სტუდენტი იყო, ხოლო ნუციკო, სამედიცინო უნივერსიტეტს ამთავრებდა. გიას გაცნობისთანავე მოეწონა თვალტანადი, დინჯი, გონიერი ქალიშვილი, რომლის საუბარს გამოკვეთილად ემჩნეოდა კახური კილო. დაფიქრებული და ჭკვიანი გოგო იყო ნუციკო, მისი ქცევის მანერები და ხალისიანი საუბარი განსაკუთრებულად ხიბლავდა გიას.

არც ნუციკო იყო ამ მშვენიერი გარეგნობის, თავაზიანი და გონიერი ახალგაზრდა კაცი მიმართ გულგრილი. ორი წლის მანძილზე ძალზედ დაახლოვდნენ ახალგაზრდები. აღმოჩნდა რომ მათი აზრები და ხასიათები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვეოდა, ამიტომ სწავლის დამთავრების შემდეგ ბევრი აღარ უფიქრიათ და შეუღლდნენ. დაოჯახების შემდეგ გია ზესტაფონში დაბრუნდა ნუციკოსთან ერთად. გიას მშობლები უზომოდ კმაყოფილები იყვნენ რძლით, თავს ევლებოდნენ და ცივ ნიავს არ აკარებდნენ. ნუციკოც დიდად აფასებდა დედამთილ-მამამთილის მისადმი ასეთ დამოკიდებულებას და თვითონაც სიყვარულითა და პატივისცემით პასუხობდა მათ.

– უკვე თორმეტი გახდა. წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, ნუღარ ზოზინობთ, – შეეხმიანა გია მშობლებს და მანქანის ძრავი ჩართო.

– ხომ არაფერი გვრჩება? – კიდევ ერთხელ გადახედა ხელჩანთებს ქალბატონმა ელენემ და მანქანაში ქმრის გვერდით მოთავსდა.

– როგორც იქნა! – წარმოსთქვა გიამ და მანქანა ადგილიდან დაძრა.

პატარძლის მშობლები თელავში ცხოვრობდნენ, სიძეს კარგად იცნობდნენ, ნუციკოს თავის მეგობრებთან ერთად გია რამდენჯერმე ჰყავდა მათთან სტუმრად, როდესაც ნუციკომ მშობლებს შეატყობინა გიას მივყვებიო, მშობლებმა მოუწონეს ერთადერთ ქალიშვილს გადაწყვეტილება და დიდად გაიხარეს.

– ანდრო, ბაზარში უნდა გამეგზავნო! ჩაქაფულისთვის ბოჩოლას ხორცი წამოიღე! ჩემი გოგოსგან ვიცი, იმერლები ცხვარს არ ეტანებიან, სამწვადედ უმზეური ააჭრევინე, შეეკითხე ხნოვანი ღორისა არ იყოს, ხომ იცი ბებრისა ძნელად იწვება, მძახლებთან არ შევრცხვეთ! – დავალებას და რჩევას აძლევდა გიორგი თავის ბიძაშვილ ანდროს.

– ფიქრი ნუ გაქვს, შალვოვიჩ! ყველაფერს იგრე ვიყიდი, როგორც შენ მაბარებ! – უპასუხა ანდრომ და ჟიგული დაქოქა.

საღამოვდებოდა, როცა გიორგის კოხტად ნაგებ, სანიმუშოდ მოვლილ ეზოს კართან შავი ფერის მერსედესმა დაასიგნალა.

– მოვიდნენ! მოვიდნენ! – ისმოდა შეძახილები თანდილაშვილების კარ-მიდამოში. გიორგიმ და მისმა მეუღლემ, მარიამმა ჭიშკარი გააღეს და სიძე-ქალიშვილსა და მძახლებს მიეგებნენ.

სიხარულმა და მხიარულებამ მოიცვა იქაურობა, სიძე-პატარძლის სანახავად მეზობლებსა და ნათესავებს მოეყარათ თავი.

– როგორ მოგხდენია გათხოვება, უფრო გალამაზებულხარ და დამშვენებულხარ! – საამებელ სიტყვებს არ იშურებდნენ ნუციკოს მეზობლები, ისიც სათითაოდ ეხვეოდა, გულში იკრავდა და მადლობას უხდიდა დიდი ხნის უნახავ ახლობლებს.

გაიოზი და ელენე თავაზიანად ესალმებოდნენ შეკრებილ ხალხს და კმაყოფილებას გამოთქვამდნენ გულთბილი მიღებისათვის.

გიორგიმ ძირისძირობამდე დაათვალიერებინა მძახლებს თავისი კარ-მიდამო, შემდეგ საპატიო სტუმრები სუფრასთან მიიწვია.

სტუმრებიცა და მასპინძლებიც საუცხოო განწყობაზე იყვნენ. კახური პურ-მარილითა და სანაქებო ღვინით შექეიფიანებულნი სიხარულს ვერ მალავდნენ დანათესავების გამო.

– ბოდიშს მოვიხდი დაგვიანებისთვის, – მორიდებით წარმოსთქვა ოთახში შემოსულმა გიგო პაპამ, მოზრდილი ჭიქა

შეავსო და გიასი და ნუციკოს სადღეგრძელო ბოლომდე შესვა, შემდეგ იქ მყოფთ კიდევ ერთხელ მოუხადა ბოდიში და გარეთ, აივანზე გამოვიდა.

– დედაკაცო, მე, ეს ხნოვანი კაცი, ახალგაზრდებთან მორიდებულად ვარ, ქვემოთ, მარანში, ქვევრის პირას, ტაბლაზე გაშალე სუფრა. სანამ სუფრას გააწყობდე ჩემს ბებრებს დამიძახე, ღიბოსა და ყასბოს, ვენახიდან ახალი მოსულები იქნებიან. უთხარი პური არა სჭამონ, აქეთ გადმოვიდნენ, – დამოძღვრა ცოლი გიგომ და მარნისაკენ გაეშურა.

ღიბო და ყასბო გიგოს მეზობლები იყვნენ. ბალღობიდან დღემდე, სიბერემდე, ერთად მოდიოდნენ, უერთმანეთოდ არც ლხინი ჰქონდათ და არც ჭირი. ხუმრობაც მადლიანი იცოდნენ და ერთმანეთისაც არაფერი სწყინდათ.

უკვე კარგად იყო შეღამებული. გიორგის ეზო-ყურედან საამო მუსიკის ხმა და მხიარულება ისმოდა, ხოლო ქვემოთ, მარანში, ქვევრის პირას, ტაბლაზე გაშლილ პურ-მარილს, მისხდომოდნენ გიგო პაპა და თავისი ორი თანატოლი მეზობელი. მოხუცები მხიარულად, ენამოსწრებულად ხუმრობდნენ და მუსაიფობდნენ.

– უყურებ ამ ახალგაზრდებს და გული იმათებურად მერჩის, მაგრამ ეს ოხერი მუხლი და მკლავები ვაღარ მომყვებიან საქმეში. ადრე სამ რადს იგრე გავთოხნიდი, არც კი ვისვენებდი. ეხლა ერთ რადს მოვრჩები თუ არა, უკვე ხვნეშას ვიწყებ, – დაიჩივლა ღიბომ.

– მე ეგრე გატყობ ვეღარც დედაკაცს უთათუნებ ხელსა, – გაეპასუხა ყასბო.

– აი, მაგეთებ ჯერ კიდევ ვახერხებ, იგრე როგორ იქნება კვირაში ერთხელ არ შავაღონო დედაკაცი, – დაიქადნა ღიბომ.

– მაგის შნო კიდევ შეგრჩა შე ბუმბულის ზარბაზანო?! – საუბარში ჩაერია გიგო, თან ყასბოს ჭიქების შევსება შეახსენა.

– ჰო, ჰო, თქვენ რომ აღარაფრის შნო აღარა გაქვთ სხვისიცა გშურთ, – ჩაიქირქილა ღიბომ და მშრალად მოხარშულ დედალს თეძო ააგლიჯა.

– გიგო პაპა სად არის?! – ჰკითხა ღვინისაგან თვალებაჟუჟუნებულმა გიამ ნუციკოს.

– ქვემოთ, მარანში, თავის ძმაკაცებთან აღნიშნავს ჩვენს ჩამოსვლას, – უპასუხა ნუციკომ ქმარს და ლოყაზე აკოცა.

– ჩავალ, დავხედავ მოხუცებს, გაუხარდებათ! – თქვა გიამ, თან დაპირდა ნუციკოს, რომ მალე დაბრუნდებოდა.

ეზოში, მეზობლის ბიჭებს მწვადის შეწვა ჰქონდათ დავალებული, იქვე გაეშალათ სახელდახელო მაგიდა, მწვადს სწვავდნენ სტუმრებისთვის და თან ქეიფობდნენ.

გიამ იფიქრა, მოხუცებთან ხელცარიელი ხომ არ მივალო, მივიდა მემწვადეებთან, სამი შამფური მწვადი გამოართვა და მარნისაკენ გაემართა.

– ვინც მოვიდა გაუმარჯოს! – შესძახა ყასბომ და სიძე ტაბლასთან მიიწვია.

– კარადა გამოაღე, თეფში, ჩანგალი და ჭიქა მოიტანე. სამფეხა სკამი ახლოს მოიწი! – უთხრა გიგო პაპამ გიას.

გიამ კარადაში თეფში და ჩანგალი მოძებნა, პატარა ჭიქები, რითაც მოხუცები ღვინოს სვამდნენ, ვერა ნახა, კარადის უჯრაში მხოლოდ დიდი, „მალენკოვის“ თლილი ჭიქები ეწყო.

– პატარა ჭიქები აღარ არის, მხოლოდ დიდი ჭიქებიღაა კარადაში, – თქვა გიამ და გიგო პაპას შეხედა.

– დიდი წამოიღე, არა უშავს! – უპასუხა პაპამ და გია გვერდით მოისვა.

– შემოსწრებისა გვითხარ, შემოსწრებისა! – ახმაურდა ღიბო და ღვინით სავსე ხელადა გიგოს მიაწოდა.

გიგო პაპამ ყურადღებით შეხედა გიას, რომელიც საკმაოდ შექეიფიანებული იყო და სახეზე ალმური ასდიოდა. გიგომ ნახევრად შეავსო „მალენკოვის“ ჭიქა და გიას მიაწოდა. გიამ ჭიქა გამოართვა, მაღლა ასწია და დააშტერდა. მისი სახის გამომეტველებას აშკარად ეტყობოდა, რომ ნახევრად შევსებული ჭიქა თვალში არ მოსდიოდა ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცს.

ყასბო უმალ მიუხვდა გიას სურვილს და გიგოს შეეხმიანა.

– ე მაგ ჭიქას რომ ნახევრად უსხამ, მაგის ზევით ყინამს?! რატო პირამდე არ ავსებ, გენანება?! ვერ უყურებ, სიძეი ღვინო უნდა!

– აბა რას ამბობ, მაჩვის ფეხო, შენ ამ ბალღის ოდენა მარტო ღიპი გაქ, აი ეგეთი მავნე ლაპარაკი რო იცი, ღმერთმა იმიტომ არ გაიმეტა შენთვის არც სიმაღლე და არც ჭკუა. ტანითაც და ჭკუითაც ერთნაირად ხარ დაგვალული. ამ ბალღმა კახური ღვინის ავან-ჩავანი არ იცის, არ უნდა გაუთამამდეს. ამაღამ სხვა

საქმეც აქვს საკეთებელი, ამ კაცმა გარდა ქეიფისა, მომავალ თაობაზეც უნდა იზრუნოს! – თქვა გიგომ, სიძეს მხარზე ხელი გადახვია და ჭიქა პირამდე შეუვსო, თან ღიბოს გახედა, იმის დასტურად, რომ ღვინო არ ენანებოდა სიძისთვის.

გიას, მოხუცების კახური იუმორით გაჯერებულმა საუბარმა, ღიმილი მოჰგვარა სახეზე. შემდეგ, მათდამი პატივისცემის ნიშნად, ჭიქა ბოლომდე გამოსცალა. მას მოსწონდა და განცვიფრებული იყო მოხუცების საუბრით და აღარ ახსოვდა თავისი დანაპირები მეუღლესთან.

ნუციკო შეფიქრიანდა გიას გამო. შეუმჩნევლად ადგა და ქვემოთ ჩამოვიდა. მარანთან მივიდა და კარი შეაღო. გია მოხუცების გარემოცვაში მშვენივრად გრძნობდა თავს, სახეზე სიმთვრალე მოძალებოდა. ნუციკოს დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა. სამფეხა სკამიდან წამოდგა, მეუღლეს მოეხვია და გულზე მიიხუტა.

– გია, როგორ დამთვრალხარ! ფეხზე ძლივს დგახარ! – საყვედურით უთხრა ქალმა მეუღლეს.

– მე ღვინით კი არა, სიყვარულით ვარ მთვრალი, ეს რა პაპა გყოლია, შენ ვერ წარმოიდგენ, ნუციკო, ამ ცოტა ხანში რამდენი რამ გამაგებინეს და მასწავლეს ამ მოხუცებმა! – ეუბნებოდა გია მეუღლეს, თან მოხუცებს სათითაოდ ეხვეოდა და ჰკოცნიდა.

უკვე საკმაოდ გვიანი იყო, როცა ნუციკო და გია ზემოთ, მათთვის განკუთვნილ საძინებელ ოთახში შევიდნენ. გია საკმაოდ ნასვამი იყო, მეუღლის დახმარებით ტანთ გაიხადა და საწოლში ჩაწვა. ნუციკოც სასიამოვნო ღამის მოლოდინში მეუღლეს გვერდით მიუწვა და ნაზად დაუწყო მოფერება. გია ღვინისაგან იმდენად იყო გაბრუებული, რომ ვეღარ გრძნობდა მეუღლის ალერსს. მიხვდა ნუციკო გიასაგან ამ ღამეს ვერაფერს იხეირებდა, გვერდზე გადაბრუნდა და მალევე ჩაეძინა.

თენდებოდა, წინა ღამით კარგად ნაბახუსევი სიძე ბატონი კახური მრავალჟამიერის ხმამ გამოაღვიძა. დაბალ ხმაზე მრავალჟამიერის საამო ჰანგები მარნიდან ისმოდა. გია ისე წამოდგა საწოლიდან, რომ მეუღლე არ გაუღვიძებია, შარვალი ჩაიცვა და ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ქვემოთ, კიბეებზე დაეშვა. სანამ ტუალეტთან მივიდოდა გზად მარნის კართან უნდა გაევლო. გიას ცნობისმოყვარეობა მოეძა-

ლა და გადაწყვიტა მარნის კარი შეეღო, უნდოდა ენახა ქეიფში ღამეგათეული მომღერალი მოხუცები.

გიას დანახვაზე მოხუცებს სახე გაებადრათ.

– მობრძანდი, სიძე ბატონო, ასე ადრიანად რამ აგაყენა?! – შეეკითხა გიგო პაპა.

– იქ მივდიოდი, სადაც მეფენი ფეხით დადიან, თქვენი სიმღერის ხმა შემომესმა, გამიხარდა და თქვენი ნახვა ისევ მომინდა.

მოხუცებმა ჭიქა მიაწოდეს სიძეს.

გიამ თავაზიანად მოუბოდიშა, ღვინით სავსე ჭიქა ტაბლაზე დადო და გარეთ გავიდა. ტანსზემოთ შიშველი გია შემოდგომის სუსხნარევმა დილის ნიავმა შეამცივნა. სწრაფად აირბინა კიბეები, შევიდა საძინებელ ოთახში, შარვალი გაიძრო და ნუციკოს ლოგინში შეუგორდა. მიუხედავად იმისა, რომ ნუციკოს ტკბილად ეძინა, გიამ ნაზად დაუწყო მძინარე მეუღლეს მოფერება. ქმრის ალერსმა გამოაღვიძა ნუციკო, გიასკენ გადმობრუნდა და ქმარს მკერდზე მიეხუტა.

ჩუმი, მოგუდული, კახური მრავალჟამიერისა და მამლის ხრინწიანი ყივილის ფონზე გიამ ნუციკოსთან წუხელ გასაკეთებელ საქმეს, დილის სისხამზე წარმატებით გაართვა თავი. შემდეგ ორივემ ვნებიანი ალერსით დიდად ნასიამოვნებმა და დაღლილებმა დილის ძილს მისცეს თავი.

კახეთში გვიანი შემოდგომის, სუსხიანი დილა თენდებოდა.

უსამართლობის ზეობა

ფრანკფურტის აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე უამრავი მგზავრი ელოდა ფრენის გამოცხადებას. მათ შორის იყვნენ ქართველებიც. ზურაბი, რომელიც ერთ-ერთ სამეცნიერო დაწესებულებას ხელმძღვანელობდა ორი კვირის მანძილზე მივლინებული იყო გერმანიაში და საქართველოში ბრუნდებოდა. თვითმფრინავის გამოფრენამდე კიდევ რამოდენიმე საათი იყო დარჩენილი.

ზურაბი გერმანიაში პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ყურადღებით ადევნებდა თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ომს ბოლო არ უჩანდა. ყოველდღე იღუპებოდნენ ადამიანები, ქვეყანაში სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა. ხელისუფლება თითქმის მთლიანად ხელში ჩაიგდო ე.წ. „მხედრიონის“ კრიმინალურმა დაჯგუფებამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა კანონიერი ქურდი, ჯაბა იოსელიანი. ეს ფაქტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით გახდა ცნობილი და ზოგიერთმა ქვეყანამ საქილიკოდაც კი გაიხადა.

რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის გასართობი პროგრამების ერთ-ერთი გადაცემის „Поле чудесь“-ის წამყვანმა პრიზის მისაღებ კონკურსში ასეთი კითხვა შეიტანა: – „დაასახელეთ ქვეყანა, სადაც ხელისუფლების სათავეში კანონიერი ქურდი დგას,“ – საქართველო! – უმალვე გასცა პასუხი გადაცემის მონაწილემ, რომელსაც სწორი პასუხისთვის პრიზი ერგო.

საქართველოში შექმნილი ვითარება, ძმათა შორის ატეხილი ომი, სახელმწიფოს მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის უსუსური, გაუაზრებელი ქმედებები, უფსკრულისაკენ მიაქანებდა ქვეყანას. ზურაბის ყურადღება აეროპორტის მოსაცდელში ტელევიზორის საგანგებო ინფორმაციამ მიიქცია. ეკრანზე ცეცხლის ალში გახვეულ სოხუმს აჩვენებდნენ. დიქტორი იუწყებოდა, რომ 1992 წლის 27 სექტემბერს აფხაზურმა სამხედრო შენაერთებმა და ჩრდილო კავკასიელმა „ბოევიკებმა“ სოხუმი აიღეს. ქართულმა სამთავრობო ჯარის ნაწილებმა დამარცხებულებმა დატოვეს ქალაქი. სოხუმი დაეცა.

დარბაზში მყოფ ქართველ მგზავრებზე ამ ცნობამ მომაკვდინებლად იმოქმედა, ქალები ტირილს ვერ იკავებდნენ, ხოლო მამაკაცები სახეგაფითრებულები ოხრავდნენ და აუგად იხსე-

ნიებდნენ ქვეყნის ხელისუფლების უნიათო ხელმძღვანელობას. მძიმედ განიცადა ზურაბმა სოხუმის დაცემა. ქალაქთან მას ახალგაზრდობის წლები, მრავალი ახლობელი და მეგობარი აკავშირებდა.

„აირზენას“ თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში მშვიდობიანად დაეშვა. ზურაბმა ტაქსი აიყვანა. ორი კვირა არ ენახა ქალაქი. ქუჩები თითქმის დაცარიელებული იყო. მოსახლეობა ერიდებოდა ქალაქში სიარულს და ცდილობდა სახლიდან არ გამოსულიყო. მხოლოდ სამხედრო ფორმიანი მამაკაცების სიმრავლე იგრძნობოდა ქუჩებში.

– გაიგე სოხუმის დაცემა?! – ჰკითხა ოთახში შემოსულ ზურაბს მეუღლემ.

– ფრანკფურტის აეროპორტში, ტელევიზორში აჩვენეს სოხუმის დაცემის საზარელი კადრები, – უპასუხა მეუღლეს ზურაბმა და მისალმების ნიშნად გადაეხვია.

– ქალაქში უმართავი მდგომარეობაა, თუკი ვინმეზე ეჭვი აქვთ, რომ „პუტჩისტების“ მიერ დამხობილ ეროვნულ ხელისუფლებას უთანაგრძნობს, აპატიმრებენ. მეშინია ჩვენთანაც არ მოვიდნენ „მხედრიონელი“ ყაჩაღები, – შიშით წარმოსთქვა სალომემ და მეუღლეს თანაგრძნობით შეხედა.

– რაც მოსახდენია წინ ვერ აღუდგები, მოხდება! – ჩაილაპარაკა ზურაბმა და შხაპის მისაღებად აბაზანაში შევიდა. მეორე დღეს ზურაბი სამსახურში წავიდა, უხაროდა ორი კვირის უნახავ თანამშრომლებთან შეხვედრა, თანაც თათბირის ჩატარება ჰქონდა განზრახული. სურდა გერმანიაში, სამეცნიერო კონფერენციაზე განცდილი შთაბეჭდილებები კოლეგებისათვის გაეზიარებინა.

– ინსტიტუტის დირექტორი ზურაბ ბერიძეა? – იკითხეს მოსაცდელში.

– დიახ, მაგრამ კაბინეტში არ არის, თათბირს ატარებს, – უპასუხა მდივანმა, რომლის გამომეტყველებაში შიში იგრძნობოდა.

– სასწრაფოდ სთხოვეთ მოვიდეს, ჩვენ ბევრი დრო არ გვაქვს! – ბრძანების კილოთი მიმართეს მდივანს ახალგაზრდებმა.

ქალმა მორიდებით შეაღო დარბაზის კარი, ზურაბს მიუახლოვდა და ჩურჩულით უთხრა:

– ბატონო ზურაბ, ოთხი ახალგაზრდა გელოდებათ, მგონი

„მხედრიონელები“ არიან, მითხრეს სასწრაფოდ დირექტორს დაუძახეო.

– უთხარით დამელოდონ, თათბირს მალე დავამთავრებ! – უპასუხა ზურაბმა მდივანს და თათბირი გააგრძელა...

დირექტორი სტუმრებს მიესალმა და კაბინეტში შეუძღვა.

– ბატონო ზურაბ, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ თქვენ აუგად იხსენიებთ დღევანდელ ხელისუფლებას, თანაუგრძნობთ და კავშირი გაქვთ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ამის გამო მიღებული გვაქვს გადაწყვეტილება თქვენი დაპატიმრების შესახებ.

ზურაბმა იცოდა ადრე თუ გვიან მოუწევდა უკანონო ხელისუფლების წარმომადგენლებთან უსიამოვნო საუბარი, მაგრამ დაპატიმრებას არ ელოდა, ვინაიდან, მას, არავითარი დანაშაული ან ანტისამთავრობო ქმედება არ ჰქონდა ჩადენილი, თუმცა თანაგრძნობას ეროვნული ხელისუფლების მიმართ დაუფარავად გამოხატავდა.

– თქვენ ვინ ბრძანდებით? ვინ გასცა ჩემი დაპატიმრების ბრძანება? მაჩვენეთ პროკურორის ნებართვა ჩემი დაპატიმრების თაობაზე! – ამბობდა მოულოდნელობისაგან გაკვირვებული ზურაბი და არასასურველი სტუმრებისაგან პასუხს ელოდა.

– თქვენი დაპატიმრების ორდერს ითხოვთ? – გაიღიმა შავებში ჩაცმულმა ახალაგაზრდამ, – ეხლავე გაჩვენებთ! – თქვა და პიჯაკის გულისჯიბისაკენ წაიღო ხელი, კაბურა გახსნა, რევოლვერი ამოიღო, გადატენა და ზურაბს შუბლზე დაადო.

– აი ორდერი! ხედავ, თუ კიდევ გინდა სხვა საბუთი?! – ხმას აუწია ახალაგზრდამ.

ზურაბი დარწმუნდა, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა.

– ხელბორკილები მომეცი! პრეტენზიული ჩანს, გაქცევა არ დააპიროს! – მიმართა რევოლვერმომარჯვებულმა „მხედრიონელმა“ თავის ამხანაგს.

ხელბორკილის ხსენებაზე ზურაბს სიბრაზისაგან სახე წამოენთო, მაგრამ მოთმინება შეინარჩუნა და მხედრიონელს მშვიდად მიმართა:

– სადაც გინდათ იქ გამოგყვებით, ოღონდ გთხოვთ ხელბორკილს ნუ დამადებთ, არ მინდა ჩემი თანამშრომლების წინაშე დერეფანში ხელებგაკრული გამატაროთ.

მხედრიონელებმა ერთმანეთს გადახედეს და ხელბორკილის დადება გადაიფიქრეს.

ქალაქის განაპირას, სადაც „მხედრიონელთა“ შტაბი იყო განთავსებული, სახელდახელოდ მოეწყოთ წინასწარი დაკავების საკანი. საკანში ათავსებდნენ ყველა იმ პიროვნებას, ვისაც რაიმე სახით მონაწილეობა ჰქონდა მიღებული არსებული, არაკანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. ორმა შეიარაღებულმა ახალგაზრდამ ზურაბი საკანში შეიყვანა. შეხედეს თუ არა ელეგანტურად ჩაცმულ ინტელიგენტ კაცს, ყველა ფეხზე წამოდგა. ზურაბს გაუკვირდა, რით დაიმსახურა ასეთი პატივისცემა დაკავებულებისაგან, ის ხომ მათ არ იცნობდა.

– დაბრძანდით! – მიმართა პატიმრებს ზურაბმა.

პატიმრები არ განძრეულან.

– ჯერ თქვენ დაბრძანდით, ბატონო! – მორიდებით წარმოთქვა ერთ-ერთმა იმათგანმა.

– მეც თქვენნაირი ტუსაღი ვარ, დასხედით! – კიდევ ერთხელ გაიმეორა ზურაბმა და პატიმრების გვერდით ჩამოჯდა. მათ ერთმანეთს გადახედეს, გაიღიმეს და ზურაბს მიმართეს:

– ასე ელეგანტურად ჩაცმული პატიმარი აქ არ მოუყვანიათ, ჩვენ პროკურორი გვეგონეთ, ჩვენს დასაკითხად მოსული, – უპასუხეს პატიმრებმა და გულიანად გაიცინეს.

იმ საღამოს ქალაქის „მხედრიონის“ უფროსთან სათითაოდ გაჰყავდათ დაკავებულები დაკითხვაზე...

– შენს გამო მთელი ქალაქია აფორიაქებული, ვინ აღარ მირეკავს და მთხოვს შენს გათავისუფლებას, მაგრამ როგორ გაგათავისუფლო, ყველაზე მეტი კითხვები შენთან მაქვს, თუნდაც ამ ერთი კვირის წინ, როცა შენ, შენს თანამშრომლებს ანტისახელისუფლებო ქმედებებისკენ მოუწოდებდი და ქალაქში ჩვენს საწინააღმდეგო მიტინგსაც ამზადებდი. ყოველივე ამის შემდეგ როგორ შეიძლება შენი გაშვება?! – ხმას აუწია უფროსმა.

ზურაბს არ უკვირდა ამ გზასაცდენილი, გონებაარეული, გაბოროტებული კაცის შეურაცხმყოფელი სიტყვები და დინჯად, აღელვების გარეშე უპასუხა მის ბრალდებებს.

– ერთი კვირის წინ მე გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებას ვკითხულობდი.

– შენ რა, დამცინი? – დაიღრიალა უფროსმა, ზურაბს თვალე-

ბი დაუბრიალა, ოთახის კარი გამოაღო და მცველს დაუყვირა.

– ახლავე აქ მომითრიე „წნევა“! – (ეს მხედრიონელის მეტსახელი იყო) მცველი უმალვე გავარდა დერეფანში.

არ გასულა დიდი დრო და ოთახში შემოვიდა თვალებმიბნედილი, წვერგაუპარსავი ახალგაზრდა კაცი, რომელიც საუბარს ძლივს ახერხებდა, აშკარად ეტყობოდა რომ „კაიფში“ იყო.

უფროსმა მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილი ქაღალდების დასტას ქექვა დაუწყო, შემდეგ ერთი ფურცელი აიღო და ხმამაღლა წაიკითხა სათაური: „ინფორმაცია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელ ზურაბ ბერიძეზე“.

– შენი მოცემულია ეს ინფორმაცია? – ჰკითხა უფროსმა „წნევას“.

„წნევამ“ დახედა ნაწერს და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ეს კაცი, როგორც თვითონ ამბობს, საერთოდ არ ყოფილა ერთი კვირის წინ საქართველოში, რა სისულელეებს მიწერ?! ახლავე გაარკვიე, თუ ბერიძე ტყუის, ციხეში დავალპობ, თუ არა და შენზე ვიყრი ჯავრს!

– არის, უფროსო! – გაიჯგიმა „წნევა“ და ოთახის კარი გაიხურა.

მიუხედავად იმისა, რომ მხედრიონის უფროსს ზურაბ ბერიძეზე არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს და გაირკვა ზურაბის გერმანიაში ყოფნა, ის მაინც კიდევ ორი კვირა ამყოფეს საკანში, შემდეგ როგორც იქნა გასჭრა ზურაბის კოლეგების, ახლობლებისა და ქალაქის გავლენიანი პიროვნებების თხოვნამ და ხელწერილის დაწერის შემდეგ, ის გაათავისუფლეს.

გავიდა ხანი. ქვეყანა იშუშებდა ძმათამკვლელი ომის შედეგად მიყენებულ ჭრილობებს.

– ბატონო ზურაბ, გაიგეთ გუშინდელი ამბავი, მთელი ქალაქი ამის შესახებ საუბრობს, – ჰკითხა მდივანმა ქალმა დირექტორს და ხელის მოსაწერად გამზადებული საბუთები მაგიდაზე დააწყო.

– გუშინ მთელი დღე დაკავებული ვიყავი, ტელევიზორიც არ ჩამირთავს, რა მოხდა? – ჰკითხა ზურაბმა.

– ქალაქის „მხედრიონის“ უფროსი ააფეთქეს საპარიკმახეროში, წვერის პარსვის დროს. სავარძლის ქვეშ ჰქონდათ ამ-

ფეთქებლებს ბომბი დამონტაჟებული. საშინელი სიკვდილი ერგო წილად, მთელი სხეული დაფლეთილი ჰქონდა, ახია მასზე, მიეზღო რაც ეკუთვნოდა, თქვენმა ცოდვამაც უწია, ბატონო ზურაბ! – თქვა მდივანმა.

ზურაბმა წერა შეწყვიტა და დანანებით წარმოსთქვა:

– საცოდავი, უფალმა შეუნდოს!

– როგორ, ბატონო ზურაბ! ამდენი ბოროტებისა და ავკაცობის ჩამდენი კაცი კიდევ გეცოდებათ?! – გაიკვირვა ქალმა.

ზურაბი ფეხზე წამოდგა. ახალგაზრდა მდივან ქალს მზრუნველობით თავზე ხელი გადაუსვა და მშვიდად მიმართა:

– ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, მიმტევებლები უნდა ვიყოთ, ხოლო მას ჩადენილი ცოდვების გამო, იმქვეყნად პასუხს უფალი მოსთხოვს, მხოლოდ უფალს აქვს განსჯის უფლება!

მას შემდეგ, რაც პავლე გელოვანი სამსახურიდან დაითხოვეს და პენსიაში გაუშვეს, მეუღლესთან ერთად თავის მამა-პაპის ადგილს დაუბრუნდა კახეთში. სახლი შეარემონტა, გაიჩინა ფრინველი, საქონელი და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი.

თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა.

თითქმის ორი წელი იყო გასული, რაც პავლე თბილისში არ ყოფილა. მერიის სამსახურის ჩინოვნიკთან, რომელსაც ადრე გელოვანი უწყებიდან იცნობდა, საქმე ჰქონდა მეგობრის თხოვნით მოსაგვარებელი.

პავლეს თბილისში ბევრი სიახლე დახვდა. ქალაქის ხელმძღვანელობა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი თანხა ამოეღო მოსახლეობიდან, ბიუჯეტის შესავსებად. ამ მიზნით შემოღებულ იქნა მეტად უცნაური გადასახადი – ელ.ენერგიის დანახარჯს ნაგავიც ზედ მიაბეს. განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვათ მძღოლებს ეგრედ წოდებული „სითი პარკის“ კომპანია, რომელმაც თბილისის ცენტრალური ქუჩების სრული ოკუპაცია მოახდინა. შეუძლებელი გახდა მანქანის გაჩერება სადმე. თითქმის ყველგან, ქალაქის ცენტრალურ უბნებში, გაჩნდა ტრაფარეტები წარწერით: „ექვემდებარება დაჯარიმებასა და მანქანის ევაკუაციას“.

პავლემ მანქანის გასაჩერებელი ადგილის ძებნა დაიწყო, მაგრამ ყველგან თვალში ხვდებოდა ამკრძალავი ფირნიშები.

თავისუფლების მოედნიდან საკმაო მანძილი გაიარა და იტალიური უბნის ღიად დარჩენილ ჭიშკარს მოჰკრა თვალი, მანქანა ეზოში შეიყვანა და მობინადრეებს ბოდიშის მოხდით სთხოვა ერთი საათით მანქანის გაჩერების ნებართვა მიეცათ. პავლემ ეზოს მობინადრეებს მანქანის გაჩერებისთვის მადლობა გადაუხადა და მერიისაკენ გაემართა...

– ბატონი მიხეილი ორი საათის შემდეგ იქნება, – განუცხადა პავლეს ახალგაზრდა, მომხიბვლელმა ქალბატონმა, რომელიც მისი მეგობრის, მდივნის მოვალეობას ასრულებდა. პავლემ გამოიარა თავისუფლების მოედანი და ყოფილი პიონერთა სასახლის წინ, გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

– რამდენი რამ შეუცვლიათ ჩემს აქ არყოფნაში, ესენი უფრო გაუსაძლისსა და აუტანელს ხდიან ცხოვრებას, კიდევ კარგი რომ

აქაურობას გავერიდე, – ფიქრობდა პავლე და უკმაყოფილოდ შეჰყურებდა ქუჩაში მიმავალი ადამიანების ყოველდღიური პრობლემებით დამძიმებულ, სევდიან სახეებს. ამდენი გაჭირვებული, უპოვარი და სამათხოვროდ ხელგამოწვდილი დიდი თუ პატარა, სიბრალულსა და თანაგრძნობას იწვევდა მასში.

უცებ პავლეს წინ გაჩერდა ორი ახალგაზრდა, ელეგანტურად ჩაცმული კაცი. აშკარად ეტყობოდათ, რომ უცხოელები იყვნენ.

– გინდათ ვისაუბროთ ჭეშმარიტ ღმერთზე? – მიმართეს პავლეს ნაუცბათევად ნასწავლი, დამტვრეული ქართულით უცხოელებმა და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ბროშურები გაუწოდეს. პავლე მიხვდა ვინც იყვნენ ეს არამკითხეები და გადაწყვიტა მათი გაქილიკება.

– თქვენ, „ჭიაღუელები“ ხართ? – ჰკითხა პავლემ და გამომწვევად შეხედა უცხოელებს. მათ სიტყვა „ჭიაღუელების“ მნიშვნელობა ვერ გაიგეს და გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს, შემდეგ ისევ პავლეს მიუბრუნდნენ.

– ჩვენ იეღოვას მოწმეები ვართ, – წარმოსთქვეს მათ.

პავლე წამით ჩაფიქრდა, მართლა რომ ჭიაღუასავით შესეოდნენ დედა ეკლესიას ათასი ჯურის ურწმუნო, გადამთიელები, სექტანტები. შემდეგ იეღოვას მოწმეებს საჩვენებლი თითით ქაშუეთის ეკლესიისაკენ მიუთითა და ამაყად უპასუხა:

– აი, სად არის ჭეშმარიტი ღმერთის ტაძარი და სასუფეველი, მე ამ ტაძარში დავანებული ღმერთის მწამს და მასზე ვლოცულობ.

იეღოველები მიხვდნენ, რომ ამ კაცს აზრს ვერ შეაცვლევინებდნენ და თავაზიანად დაემშვიდობნენ.

პავლემ თავი ხელებში ჩარგო და აუტანელი მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილება გინებით გამოხატა, – რა დღეში ჩააგდეს ქვეყანა ამათი დედა მო...ან, – ბოლო სიტყვები პავლემ ხმამაღლა წარმოსთქვა ისე, რომ თავი არ აუწევია.

– რად მაგინებ ძია, დედა მკვდარი მყავს, რა დაგიშავე ან მე ან დედაჩემმა?

პავლემ თავი ასწია. მის წინ ათიოდე წლის გამხდარი, ღარიბულად ჩაცმული ბიჭი იდგა, რომელმაც სამათხოვროდ გაწვდილი ხელი, პავლეს გინების შემდეგ უკან გასწია.

ბიჭმა, როგორც ჩანს პავლეს ნათქვამიდან მხოლოდ გინება გაიგო და თავისზე მიიღო.

– შენ არ გაგინებ პატარავ, შენ რას გერჩი?! მე იმათ ვაგინებ, ვინც შენ ამ დღეში ჩაგაგდო! – უპასუხა პავლემ ბიჭს, შემდეგ ჯიბეში ხელი ჩაიყო, რკინის ორლარიანი ამოიღო და პატარა მათხოვარს მუჭაში ჩაუდო.

ბიჭმა მადლობა გადაუხადა პავლეს და ცოტა მოშორებით, სკამზე მჯდომ ახალგაზრდა წყვილთან მივიდა.

ვაჟს ქალისათვის ხელი მოეხვია, მკერდზე მიეკრა და ალერსიანად თვალებში შესცქეროდა. მათხოვრის დანახვაზე გოგონამ საფულე გახსნა, ხურდები ამოიღო და პატარას გაუწოდა. ბიჭმა წყვილს მადლობა გადაუხადა და გაუჩინარდა. პავლემ თვალი გააყოლა პატარა მათხოვარს. თავი დანანებით გააქნია, წამოდგა და საათს დახედა. საათის ისრები ორს უჩვენებდნენ.

– რა ეშველება ახლა ამ საცოდავს, ეს დავრდომილი მოხუცი დედაკაცი თავის თავს ვერ უვლის, ბავშვს როგორ მიხედავს, – მოსთქვამდნენ მეზობლის ქალები და ბუხართან ატირებულ, ექვსიოდე წლის ბიჭს სიბრალულით უყურებდნენ. ბიჭი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, თუ რა უბედურება დაატყდა თავს. მისი პატრონი დედა იყო და ისიც ავადმყოფობამ ხელიდან გამოაცალა. მეზობლები და ნათესავები, მიუხედავად მათი მწირი შესაძლბლობებისა, ცდილობდნენ მიცვალებული წესისამებრ გაეპატიოსნებინათ.

დარჩა პატარა ლუკა ას წელს მიტანებული ბებიის ამარა, რომელსაც ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო, სიარული ძალზედ უჭირდა. დედითა და მამით დაობლებულ ბიჭს ბედმა ახალი განსაცდელი მოუვლინა. ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს, ბებიამ რის ვაი-ვაგლახით შემოიტანა შეშის ნაჭრები და ანთებულ ბუხარში აწყობდა, უეცრად შეშის მოზრდილმა ნაჭერმა დასძალა მოხუცი. მან თავი ვეღარ შეიმაგრა და გახურებულ ბუხარში ჩავარდა. ბევრს ეცადა პატარა ბებია ბუხრიდან გამოეჩოჩებინა, მაგრამ ვერ შეძლო. ისღა მოახერხა, რომ გარეთ გამოვარდა და მეზობლებთან გაიქცა. საშველად მისულ მეზობლებს ბუხარში მოხუცის დამწვარი სხეული დახვდათ, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

დარჩა პატარა ბიჭი დიდ, ორსართულიან სახლში მარტო, ღვთის ანაბარა. მის მშობლებს გარჯისა და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად აეშენებინათ ეს მოხდენილი ოდა-სახლი, რომლის პირველი სართული ქვითკირით იყო ნაშენი, ხოლო მეორე – ხით. სახლი სავსე იყო დგამ-ავეჯით და სხვა საჭირო ნივთებით, მაგრამ სახლ-კარის პატრონი, მიმხედავი და მომვლელი, ამ ერთი ციცქნა ბიჭის გარდა, აღარავინ იყო. მეზობელ სოფელში ცხოვრობდა ლუკას ერთადერთი ნათესავი, დედის ძმა, რომელმაც მეზობლების თანადგომით მიწას მიაბარა მოხუცი ბებია. მეორე დღეს, ლუკას ბიძამ საგულდაგულოდ ჩარაზა ოთახების კარებები და ფანჯრები, რათა ქურდებსა და ავაზაკებს უპატრონოდ დარჩენილი სახლ-კარი არ გაეძარცვათ.

– მოდი, ლუკა, დაჯექი ურემზე, წასვლის დროა! – უთხრა ბიძამ ბიჭს.

ლუკა გარინდებული უყურებდა თავის ეზო-ყურეს. ბიჭს განსაკუთრებით უკლავდა გულს კოხტა, ჩუქურთმებით გაწყობილ ფანჯრებზე ჯვარედინად მიჭედილი ფიცრები და თვალზე მომდგარ ცრემლებს მაჯით იწმენდდა.

ბიძის ოჯახში ლუკას დიდი სიხარულით არ შეხვედრიან, ისედაც მრავალშვილიან, გაჭირვებულ ოჯახს, კიდევ ერთი სული დაემატა სარჩენად. ლუკას შრომა და გარჯა არ აკლდა, ბიძის ოჯახის საქონლის მწყემსვა და თვალყურის დევნება მის მოვალეობად იქცა.

ადრიანად, დილის სისხამზე წამოაყენებდა ხოლმე ბიცოლა ლუკას ლოგინიდან, პურისა და ყველის ნაჭერს ჩაუდებდა აბგაში და სამწყემსურში ისტუმრებდა. ასე შრომასა და ჯაფაში განვლო წლებმა. წამოიზარდა ლუკა. სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, გადაწყვიტა ქალაქში წამოსულიყო, ხელობა ესწავლა. დიდი მონდომებით შეუდგა ლუკა ზეინკლის პროფესიის დაუფლებას. სამ წელიწადში წარმატებით დაამთავრა ბიჭმა სასწავლებელი და სამუშაოდ რუსეთში იქნა გაგზავნილი.

ქარხნის ადმინისტრაციამ თავიდანვე შეამჩნია ქართველი ახალგაზრდა, რომელიც შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა სხვებისაგან. მას წარმოებისაგან მოუწყეტლივ, უმაღლესი განათლების მისაღებად, ლიმიტი გამოუყვეს. ლუკამ წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, კიდევ რამდენიმე წელი დაჰყო რუსეთში, უფრო მეტად დახელოვნდა თავის პროფესიაში და, როგორც მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერი, საქართველოში დაბრუნდა.

ახალფეხადგმული ქართული მეტალურგიის მესვეურებისათვის ლუკა, როგორც კვალიფიციური ინჟინერ-მეტალურგი, დიდი შენაძენი იყო. როგორც იქნა გამოცხვა ობლის კვერი. ერთ დროს უდედმამოდ დარჩენილი ობოლი ბიჭი, დღეს მაღალი კლასის ახალგაზრდა ინჟინერი გახლდათ. ლუკას პირად ცხოვრებაშიც გაუმართლა, ოჯახს მოეკიდა, ქალ-ვაჟი შეეძინა და ბედნიერებითა და სიხარულით კმაყოფილი ბედს არ უჩიოდა.

– მამა, ზაფხულობით ჩემი მეგობრები სოფელში მიდიან დასასვენებლად, ბებიებთან და ბაბუებთან, ჩვენ არ გვაქვს სოფელი? – შეეკითხა პატარა ლევანი ლუკას.

– ჰო, ჩვენც გვაქვს სოფელი, მაგრამ მე იქ დიდი ხანია აღარ

ვყოფილვარ, – უპასუხა ლუკამ შვილს და გულზე ნაღველი შემოაწვა. მართლაც რამდენი წელია აღარ უნახავს თავისი კარმიდამო, ვინ პატრონობს ან დგას კიდევ სახლი? – ფიქრობდა ლუკა და თან თავის თავზე ჯავრობდა, ნუთუ არ შეიძლებოდა ამ ხნის მანძილზე ერთხელ მაინც მოეკითხა თავისი სახლ-კარი.

– მამა, დღეს ცირკში წაგვიყვან? – ჰკითხა პატარა ელენემ მამას.

– დღეს არ მცალია, სხვაგან მივდივარ, ელენიკო, დედა წაგიყვანთ ორივეს ცირკში, – მიუგო ლუკამ ელენეს და ლოყაზე აკოცა.

– სალომე, სოფელში მივდივარ, შეიძლება ხვალამდე ვერ დავბრუნდე, – უთხრა ლუკამ მეუღლეს და მანქანა დაქოქა.

სალომემ გაკვირვებით შეხედა ქმარს, ლუკას არასოდეს უხსენებია სოფელი და საერთოდ ჰქონდა თუ არა მის ქმარს მამა-პაპისეული კერა არ იცოდა.

ნაშუადღევს ლუკამ მანქანა სოფლის ასახვევთან შეაჩერა, გადმოვიდა და იქაურობას თვალი შეავლო. ბავშვობის დროინდელმა ნაცნობმა ადგილებმა ლუკას წარსული გაახსენა, შემდეგ მთის ძირიდან გადმომდინარე ანკარა წყაროს დაეწაფა, ცივი წყლით შუბლი გაიგრილა და გზა განაგრძო. მანქანა ნასახლარის წინ, მორღვეულ ღობესთან გაჩერდა. ლუკა გაკვირვებული და ნირწამხდარი გადმოვიდა მაქანიდან და თავის ნასახლარს თვალიერება დაუწყო. მეორე სართული მთლიანად მოშლილი იყო, მხოლოდ ქვითკირის კედლები იყო დარჩენილი, რომელებსაც ხავსი და ღვია მოსდებოდა. ამის შემხედვარე ლუკას გული შეეკუმშა და თვალზე ცრემლი მოერია. მცირე დუმილის შემდეგ გვერდით მდგარ მეზობლის სახლისკენ გაემართა. მეზობლებმა ძლივს იცნეს ლუკა, რომელიც თითქმის აღარც ახსოვდათ. სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიიწვიეს სტუმარი. მეზობლის სახლში ლუკას თვალში მოხვდა მისი ოჯახის ნივთები.

– ეს ხომ ბებიას ნაქონი ნივთები და ჭურჭელია! – უთხრა ლუკამ მეზობელს.

– ჰო, თქვენი სახლიდან გამოვიტანე. მაინც უპატრონოდ და გამოუყენებლად ეწყო და ზიანდებოდა.

– სახლი რამ დაანგრია? ის თავისით არ დაინგრეოდა! – ჰკითხა ლუკამ მეზობელს.

– თავისით არ დაინგრეულა, ხუთი წლის უკან, მეზობელი



სოფლიდან კაცი მოვიდა, გერონტი მქვიანო, ამ სახლის პატრონის შორეული ნათესავი ვარო, თქვა და ზედა სართული მოშალა, ხის მასალა და დგამ-ავეჯი მანქანაზე დააწყო და წაიღო, სახლს ვაშენებ და გამომადგებაო, – უთხრეს მეზობლებმა ლუკას.

ლუკას სიბრაზისაგან სისხლი მოაწვა თვალებზე. მეზობლებს გერონტის მისამართი გამოართვა და მანქანა ადგილიდან დაძრა. გზაში გეგმებს აწყობდა, თუ როგორ უნდა დაესაჯა ეს თავგასული „შორეული ნათესავი“.

საღამოვდებოდა, როცა ლუკამ მანქანა გერონტის ჭიშკართან გააჩერა, გადმოვიდა მანქანიდან და ის იყო ჭიშკარში უნდა შესულიყო, რომ ეზოში თვალი მოჰკრა ათიოდე წლის გოგონას, რომელიც მარჯვენა თვალით ელამი იყო და ცალი ფეხით კოჭლობდა. მას ორივე ხელით ჩაებღუჯა ინვალიდის ეტლის სახელური და რის ვაი-ვაგლახით წინ და უკან ატარებდა ეტლს, ხოლო ეტლში იჯდა წელს ქვემოთ მოწყვეტილი ხუთიოდე წლის ბიჭი და თავს საცოდავად აქნევდა.

– ბავშვებო, მოდით, საჭმელი მზად არის! – დაუძახა ამ საცოდავებს ახალგაზრდა ქალმა. ბიჭი ეტლიდან ამოიყვანა, გოგონას ხელი მოჰკიდა და ორივე სახლში შეიყვანა. ლუკა მიხვდა, რომ ეს ბავშვები და ქალი გერონტის ცოლ-შვილი იყო.

ამ საცოდავების შემხედვარე ლუკას გული სიბრალულით აევსო, ჩაჯდა მანქანაში და ქალაქისკენ აიღო გეზი.

დედის დასიზმრება

ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ლევანმა მანქანა თავისი სახლის ჭიშკართან გააჩერა. ჭიშკრის კარი გასაღებით გახსნა და მანქანა ეზოში შეიყვანა...

ბოლო დროს ლევანს სამსახურში საქმეები მოეძალა, ამიტომ ვეღარ იცლიდა სოფელში წასასვლელად. ამას ჯანმრთელობის პრობლემებიც დაერთო. გულის ოპერაციის შემდეგ მას მკაცრი დიეტა უნდა დაეცვა, რასაც ხშირად, მოუცლელობის გამო ვერ ახერხებდა. ამის გამო ავადმყოფობა ხანდახან ისევ შეახსენებდა ხოლმე თავს. სოფელს კი, მოგეხსენებათ დიდი ძალისხმევა სჭირდება.

ლევანს ნაუცბათევი წამოსვლა სოფელში დედის დასიზმრებამ გადააწყვეტინა. თანაც საკმაო დრო იყო გასული, რაც მას სახლისთვის თვალი არ შეევლო...

– ზემოთ ავალ, ჩემს მოხუცებს დავხედავ, კარგა ხანია არ მინახავს ისინი, – უთხრა ლევანმა მეუღლეს, რომელსაც მანქანიდან ხელჩანთები გადმოჰქონდა.

– ცოტა ხანს დაისვენე, სული მოითქვი, იქ წასვლას მოასწრებ. ჩამოხვალ თუ არა, სახლშიც არ შედიხარ, მაშინვე მოხუცებისკენ გარბიხარ, – უსაყვედურა ელზამ მეუღლეს და სახლში შევიდა. შევიდა თუ არა, მაშინვე ფანჯრები გამოაღო, რათა დიდი ხნის დაკეტილ ოთახებში ჰაერი გაეწმინდა...

– აბა, როგორ ხართ, ჩემო კარგებო, რას შვრებით? ადგომას აღარ აპირებთ? – მოეფერა იუმორნარევი ხმით ლევანი მოხუცებს და მამას „უსაყვედურა“.

– მამი, ეგ იყო შენი დანაპირები, რომ მეუბნებოდი, შვილო, ქვევით რა გვინდა, ზემოთ ყოფნა გვირჩევნიაო? აქ უკეთესია, ადგილიც ნალოცია, ვენახიც აქვე გვაქვს, სანამ შენ ამოხვალ, ვენახს მოვლილს დაგახვედრებო. მე ვაზის ძირებს გამოვთოხნი, დედაშენი გაფურჩნის და თან აახვევს. ეკლესიაც ხომ აქვეა. შორს წასვლა აღარ დაგვჭირდებაო.

– მამაჩემო, ვენახი მოუვლელი დამიტოვე, მეც ვეღარ ვიცლი ამის მოსავლელად. გასაკაფადაც ვერ ვიმეტებ შენს ჩაყრილ ვაზს, მეცოდება, – ასე ესაუბრებოდა ლევანი საფლავის ქვაზე დახატულ მამის ფოტოს.

– რა ვქნათ, შვილო, უნდა გვაპატიო მოხუცებს, დანაპირები

რომ ვერ შეგისრულეთ. არც ჩვენ გვინდოდა აქეთ წამოსვლა, მაგრამ... ისე გავქრით, რომ მალე ჩვენგან მარტო ძვლებიღა დარჩება, – თითქოს ეუბნებოდნენ შავი მარმარილოს ქვიდან მომზირალი მშობლები.

ლევანმა აიღო ჩვარი და მარმარილოზე მტვერი გადაწმინდა, შემდეგ მუხლებზე დაიჩოქა და საფლავს ბალახისაგან გასუფთავება დაუწყო. იგი გულმოდგინედ ასუფთავებდა მისთვის ესოდენ წმინდა ადგილს სარეველა ბალახისაგან და თან სიზმარში ნანახ დედის სიტყვებს იხსენებდა.

– შვილო, ჩვენ აქ არაფერი გვიჭირს, ყველაფრისაგან თავისუფლები და მოსვენებულები ვართ. არც საქმის გაკეთებას გვავალებს ვინმე და არც არავინ გვყვავს მომდურავი. ოღონთ, ესაა, სიბნელეში ვართ, რაც ძალიან გვაშფოთებს. გული გვწყდება სხვებს რომ სინათლე აქვთ და ჩვენ კი სიბნელეში გვიხდება ყოფნა. დედა-შვილობას, ნუ დაიზარებთ, ხშირად აგვინთეთ ხოლმე სანთლები. თქვენ რომ სანთლებს გვინთებთ, ისე ნათდება და ბრწყინავს აქაურობა, რომ ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს და თქვენს ლოცვა-კურთხევაში ვათენ-ვაღამებთ. მე და მამაშენს აქეთ წამოსვლისას, შენი დარდი გამოგვყვა. შენს ავადმყოფობაზე ფიქრი გვტანჯავს და გვაშფოთებს. აქ ყოფნას მანდ შრომა და ჯაფა გვერჩივნა, მაგრამ განგების ძალას ვერსად წაუხვალ! თავს გაუფრთხილდი, ჩემო ბიჭო, შენს ჯანმრთელობას მიხედე, აქეთ წამოსვლას ნუ იჩქარებ. როცა დრო მოგივა, ამ ქვეყნის გამრიგენი თვითონ წამოგიყვანენ, მანამდე კი შენს ცოლ-შვილს მანდ სჭირდები.

სიზმარში ნანახი დედის დარიგება სიამოვნებას ჰგვრიდა მუხლებზე დაჩოქილ, საქმით გართულ ლევანს და თავში უცნაური აზრი უტრიალებდა, ნუთუ მართლა ასე უდარდელი ცხოვრება აქვთ იმქვეყნად, მაშინ რატომ იბრძვიან ადამიანები ასე თავგამოდებით სიცოცხლისათვის? რატომ ცდილობენ უკანასკნელი საშუალება გაიღონ, რომ ჯანმრთელობა შეინარჩუნონ და ამქვეყნად დარჩნენ? – ფიქრობდა ლევანი, პასუხს კი არავინ აძლევდა, ან კი ვინ მისცემდა, იმ ქვეყნიდან ხომ არავინ დაბრუნებულა...

ლევანმა მოამთავრა საფლავის გასუფთავება. გულის ჯიბიდან სანთლების შეკვრა ამოიღო და საფლავის ქვაზე გვერდი-გვერდ სათითაოდ მიამაგრა, შემდეგ ასანთი გაჰკრა და

სანთლებს მოუკიდა. ისინი ერთი მეორის მიყოლებით პატარა ჩირაღდნებად იქცნენ. უცებ ნიავმა წამოუბერა და ერთი სანთელი ჩააქრო, გვერდით ანთებული სანთელი უნებურად გადმოიხარა და ჩამქრალ სანთელს შეეხო. ეს უკანასკნელი ისევ აალდა. სანთლები მოფერებით ელაციცებოდნენ ერთმანეთს. ლევანი შეჰყურებდა ღვთისგან მოვლენილ ამ საოცრებას და გაკვირვებას ვერ მალავდა.

– დაილოცოს, ღმერთო შენი განგება, იმ ქვეყნადაც სცოდნიათ თანადგომა და სიყვარული, – წარმოსთქვა ლევანმა და შავი მარმარილოს ქვაში გაცოცხლებულ მშობლების ღიმილიან მზერას, ალერსიანი მზერა შეაგება.



— მექანიკური საამქროს უფროსი, გურამ ბექაური გამოცხადდეს ქარხნის დირექტორთან! — გაისმა სელექტორში.

— რისთვის მეძახის? ამ კვარტლის გეგმა რომ არ სრულდება ამის ობიექტური მიზეზები თვითონაც კარგად იცის, დაზგები მწყობრიდან გამოსულია სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო, სხვა აუცილებელი დეტალების დეფიციტიც საკმაოდ დიდია, — ფიქრობდა დირექტორის კაბინეტისაკენ მიმავალი გურამი. საკმაოდ სიმპათიურმა მდივანმა ქალმა მას სანდომიანად გაუღიმა და დირექტორს მოახსენა ბექაურის მოსვლა.

— ბატონო გურამ! თქვენმა საამქრომ მთელი დატვირთვით უნდა შეძლოს მუშაობა. ვიცი პრობლემები გაქვთ, ამიტომ, საამქროს ტექნიკური მომარაგების მიზნით, თქვენ მივლინებაში უნდა გაემგზავროთ ერთი კვირით, ურალში, ქ. მაგნიტოგორსკში. თქვენთან ერთად წამოვა მომარაგების განყოფილებიდან მთავარი სპეციალისტი, თამაზ ქორიძე. სამივლინებო საბუთები მზად არის, გზისა და სხვა ხარჯებისთვის განკუთვნილ თანხას ბუღალტერიაში მოგცემენ, ხვალვე უნდა გაემგზავროთ, თუ ამ საქმეს თავს კარგად გაართმევთ, თვის ბოლოს პრემიას გამოგიწერთ...

— ხვალ მაგნიტოგორსკში მივემგზავრები, ერთკვირიანი მივლინება მაქვს ქარხნიდან, — უთხრა გურამმა მეუღლეს.

— ერთი კვირა როგორ უნდა დაგვტოვო, დღე-დღეზე მოსარჩენი ვარ, ბავშვებსაც მიხედვა უნდათ, მარტო რას გავხდები! — მიუგო ფეხმძიმე მეუღლემ გურამს.

— ბავშვების მოვლაში დედაშენი დაგეხმარება, აბა, უარს ხომ ვერ ვეტყვი დირექტორს, პრემიასაც შემპირდა. ახლა ზედმეტი ფული არ გვაწყენს.

— რა გაეწყობა! — უთხრა ქალმა და მოზრდილ ხელჩანთაში მეუღლის ტანსაცმლის და სხვა საჭირო ნივთების ჩალაგებას შეუდგა.

თამაზი, გურამისაგან განსხვავებით, პირველად არ მიდიოდა ურალში. ის რამდენჯერმე იყო ქ. მაგნიტოგორსკში და იქაური ქარხნის ადმინისტრაციას კარგად იცნობდა. განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ჰქონდა მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელ, მომხიბლავ ქალბატონ ლენა ვასილევნასთან,

რომელსაც არა მარტო თამაზის მიერ ჩატანილი კონიაკი და ტკბილეულობა ჰქონდა გასინჯული, არამედ თამაზიც, როგორც ტემპერამენტიანი ქართველი კაცი და სასიამოვნო შთაბეჭდილებებიდან ჯერაც ვერ გამოსულიყო.

თამაზმა და ლენა ვასილევნამ ხვევნა-კოცნით მოიკითხეს ერთმანეთი. გურამი გაკვირვებული იყო იმით, რომ თამაზი ქარხნის ადმინისტრაციისთვის მისაღებ და პატივსაცემ სტუმრად ითვლებოდა და ყოველთვის აგვარებდა საქმეს.

– გურამ, ხვალ შაბათია, ქარხანა ისვენებს, ქალაქის გარეუბანში ხელოვნური ტბაა, სადაც შესანიშნავი პლაჟი და მრავალი გასართობი ატრაქციონია. ქალაქის მოსახლეობა შაბათ-კვირას იმ ტბაზე ისვენებს. წავიდეთ, არ ინანებ, თანაც ისეთი ქალები ირუჯებიან მზეზე, რომ მათ ნახვას არაფერი სჯობს.

– ჰო, კარგი იქნება. მაგრამ მე რა ქალი გამიძლებს! – დანანებით თქვა გურამმა.

რამდენიმე დღეა, რაც გურამი და თამაზი სასტუმროში ერთად ცხოვრობდნენ და თამაზს ყოველთვის უკვირდა, თუ რატომ ეცვა გურამს მუხლებამდე ტრუსი.

– აბა, ცოლი როგორ გიძლებს? – გამომწვევად ჰკითხა თამაზმა.

– ცოლს ვუფრთხილდები, – მოკლედ მოუჭრა გურამმა.

– კარგი ერთი, რას ღადაობ.

– კი არ ვღადაობ, მართალს გეუბნები, – უთხრა გურამმა და იმის დასტურად რომ არ ღადაობდა, ტრუსი ჩაიწია. სახტად დარჩენილი თამაზი განცვიფრებული უყურებდა გურამის მამაკაცურ ღირსებას, ამიტომაც ეცვა გურამს გრძელი ტრუსი, რომ ეს გიგანტური საოხრე დაემალა, ხოლო სიარულში რომ არ შეშლოდა, ის მარჯვენა ბარძაყზე რეზინით ჰქონდა დამაგრებული.

– ამ გრძელი ტრუსით პლაჟზე ვერ გამოვჩნდები, სიცილს და-მაყრიან რუსის ქალები, „პლავკა“ რომ ჩავიცვა სად ჯანდაბაში წავიღო ეს საოხრე, ნახევრად ვერ დავმალავ, – წუხდა გურამი და ნაღვლიანად შეჰყურებდა თამაზს. სთხოვდა ამ მდგომარეობიდან გამოსავლის მოძიებაში დახმარებოდა. თამაზი ჩაფიქრდა, მართლაც იშვიათ, უნიკალურ შემთხვევასთან ჰქონდათ საქმე, ვერ გადაეწყვიტათ როგორ მოქცეულიყვნენ, არადა დიდი სურვილი ჰქონდათ პლაჟზე რუს ლამაზმანებს გაარშიყებოდნენ.

– მოვიფიქრე! – დინჯად წარმოსთქვა თამაზმა და გურამს მიმართა, – ეგ საოხრე ლაჯებშორის გამოიტარე და უკან საჯდომის დუნდულაზე სკოჩით მიიმაგრე. წინ არაფერი შეგეტ-ყობა, უკან კი არავინ დაგიწყებს ყურებას, ქალი ხომ არ ხარ ტრ...ზე გიყურონ.

გურამს ჭკუაში დაუჯდა თამაზის რჩევა და ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მეგობარმა ურჩია.

პლაჟზე უამრავი ხალხი ირეოდა. კაცებს ქალები სჭარ-ბობდნენ. თამაზი და გურამი გულაღმა იწვნენ ცხელ ქვიშაზე და ირუჯებოდნენ. იქვე ახლოს, საჩრდილობელი ქოლგის ქვეშ, წამოწოლილიყო შუახნის მშვენიერი ქალბატონი და მის მხლებელ ახალგაზრდა გოგოს კარტს ეთამაშებოდა. დრო-დადრო იხედებოდა გურამისკენ და უცნაურად თავს აქნევდა.

– წავალ, გავცურავ, – თქვა გურამმა, საცურაო ტრუსის უკანა მხარე რაც შეეძლო ზემოთ აქაჩა, რათა თავისი მამაკა-ცური ღირსება დაემალა, რომელსაც ტრუსის ოდნავ ჩამოწევის შემთხვევაში თავი უჩანდა... წყლიდან ამოსულ გურამს ტრუსის ზემოთ აქაჩვა დაავიწყდა, ხოლო მის ღირსებას უკან დუნდუ-ლასთან თავი ამოეყო და გამომწვევად ქანაობდა.

– Что за чёрт? такова я в жизни не видела! – წარმოსთქვა საჩრდილობელი ქოლგის ქვეშ წამოწოლილმა ქალმა და თვალი გააყოლა გურამს. მცირე დუმილის შემდეგ ქალი მიხვდა, თუ რაში იყო საქმე, სახეზე ღიმილი მოერია, თან გაკვირვებული იყო იმის გამო, თუ რა მოხერხებულად მალავდა ეს ახალგაზ-რდა კაცი თავის გიგანტურ ასოს. ქალს კაცისადმი ინტერესი მოეძალა და თავისთან მიიწვია. გურამმა შეიტყო, ეს ქალბა-ტონი ქალაქის მმართველობის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მეუღლე იყო, ის საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა და ქალა-ქის გარეუბანში საუცხოოდ მოწყობილი აგარაკი ჰქონდა. გა-ლინა პეტროვნას შეთავაზება გურამმა სიამოვნებით მიიღო, მათ საღამო ქალბატონის აგარაკზე ერთად უნდა გაეტარები-ნათ.

შებინდებისას გურამს სასტუმროში მანქანამ მოაკითხა.

– აბა, შენ იცი, სასწრაფოს გამოძახება ხომ არ დაგჭირდე-ბათ? – გაეხუმრა თამაზი მეგობარს.

– არა მგონია, ჯანმრთელი ქალი ჩანს. გაუძლებს, – თვალი ჩაუკრა გურამმა თამაზს და მანქანის კარი მიიხურა.

გალინა პეტროვნა საგანგებოდ მომზადებულიყო სასურველი სტუმრის დასახვედრად. მდიდრულად გაწყობილ მაგიდას ყვავილების ლამაზი თაიგული ამშვენებდა.

– ჩემი უზრუნველი ცხოვრების მანძილზე, ბევრი სასიამოვნო და ტკბილად მოსაგონარი წუთები მახსოვს, იმედი მაქვს ჩვენი ეს შეხვედრა ერთ-ერთი საუკეთესო იქნება! – წარმოთქვა გალინა პეტროვნამ, გამომწვევად გაიღიმა და შამპანურით სავსე ბოკალი ნაზად შეახო გურამის ბოკალს.

– დარწმუნებული ბრძანდებოდეთ! – უპასუხა გურამმა, ფეხზე წამოდგა და წყნარი მუსიკის ფონზე ქალბატონი საცეკვაოდ მოიწვია.

გალინა პეტროვნა მთელი სხეულით მიეკრა გურამს. იგი გრძნობდა, რომ ამ საღამოს მას რაღაც უჩვეულო, ენით აუწერელი, ალბათ ცოტა მტკივნეულიც, მაგრამ მაინც ჯერ არ განცდილი სიამოვნება ელოდა. გურამიც მოუთმენლად ელოდა ამ ვნებიან ქალთან სიახლოვეს. მას ხომ ცოლის გარდა სხვა ქალთან ურთიერთობა არ ჰქონია. კაცმა ხელში აიყვანა სიყვარულს მონატრებული ქალბატონი და მათ საძინებელ ოთახში მდიდრულად გაწყობილ სარეცელზე განაგრძეს ვნებიანი ალერსი. უეცრად გამაყრუებელმა ქალის კივილმა მოიცვა იქაურობა, გურამს უნდოდა შეჩერებულიყო, მაგრამ ქალმა არ დაანება, კივილი შეწყვიტა, სუნთქვას მოუხშირა და უზომო სიამოვნებისაგან კმაყოფილებით აღსავსე სიტყვები აღმოხდა. გურამმაც უდიდესი სიამოვნება იგრძნო, ის გაკვირვებული იყო გალინა პეტროვნას უსაზღვრო სექსუალური შესაძლებლობებით და გამძლეობით.

ბედნიერი, კმაყოფილი და სახეგაბადრული ქალბატონი საწოლიდან წამოდგა. გამოხსნა კარადის უჯრა, ამოიღო ოქროს საათი ოქროსავე სამაჯურით და მადლიერების ნიშნად გურამს მაჯაზე გაუკეთა.

– ეს ჩემგან გქონდეს სახსოვრად. იშვიათი კაცი ხარ. შენ უფრო მეტს იმსახურებ. გურამი გაკვირვებული შეჰყურებდა გალინა პეტროვნას და მადლობას უხდიდა ძვირფასი საჩუქრისათვის. იმ ღამეს კიდევ რამდენჯერმე განიცადა ქალბატონმა უსაზღვრო ბედნიერება, გურამსაც პირველად მიეცა საშუალება თავისი მამაკაცური ღირსება სრული შესაძლებლობით გამოეყენებინა, რაც მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. გა-

ლინა პეტროვნა დაინტერესდა გურამის პირადი ცხოვრებით, მისი მეუღლითა და შვილებით. ქალი ცდილობდა მათ შესახებ უმნიშვნელო წვრილმანიც შეეტყო. დილით ქალბატონმა სთხოვა გურამს საქართველოში მისი საცხოვრებელი ადგილის მისამართი. შეთანხმდნენ, საღამოს რესტორანში შეხვდებოდნენ. გალინა პეტროვნამ გადაწყვიტა გურამისათვის სიურპრიზი გაეკეთებინა. მძღოლი გამოიძახა და მთელი დღის განმავლობაში შემოიარა ქალაქის ელიტარული მაღაზიები, სადაც შეიძინა გურამის ცოლისა და შვილებისათვის ძვირფასი ჩასაცმელები და სხვა მრვალი საჩუქარი, შემდეგ ეს ყოველივე მოათავსა ამანათის ყუთებში და საქართველოში გამოგზავნა. თამაზი და გურამი დაუკავშირდნენ ქარხნის დირექტორს და საქმის საჭიროებიდან გამომდინარე, კიდევ რამდენიმე დღით ითხოვეს მივლინების გაგრძელება.

ერთ დღეს გურამს სასტუმროში სატელეფონო საუბრის შეტყობინება გადასცეს.

– გურამ, გუშინ მაგნიტოგორსკიდან 5 ამანათი მოგვივიდა. გამომგზავნელი ვიღაც უცნობი ქალბატონია. ამანათებში იმდენად ძვირფასი ტანსაცმელი და საჩუქრებია, რომ თვალებს არ ვუჯერებ, იქნებ გამაგებინო რა ხდება, ვინ არის ეს კეთილი და გულუხვი ქალბატონი? – ეკითხებოდა ტელეფონზე მეუღლე.

გურამმა არაფერი იცოდა ამანათების შესახებ, თუმცა გალინა პეტროვნას ზედმეტი ცნობისმოყვარეობა იმის შესახებ, თუ მისი მეუღლე და ბავშვები რა ზომის ტანსაცმელს და ფეხსაცმელს ატარებდნენ, მას ერთობ უცნაურად ეჩვენებოდა.

– ნუ ღელავ, დამშვიდდი, ეს ამანათები თქვენ გეკუთვნით, რომ ჩამოვალ მერე აგიხსნი ყველაფერს, – დაამშვიდა გურამმა მეუღლე.

სწრაფად გაირბინა მივლინების დღეებმა, ქარხნის დირექტორის დავალებას გურამმა და თამაზმა წარმატებით გაართვეს თავი, თითქმის ყველა დასახელების დეტალი თუ სათადარიგო ნაწილი იშოვეს და საქართველოში გამოაგზავნეს. აეროპორტში თამაზს და გურამს სამივლინებო რომანის ქალბატონები აცილებდნენ. გალინა პეტროვნამ გურამი გვერდზე გაიხმო, კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ერთად გატარებული დაუვიწყარი დღეების გამო, ხელჩანთა გახსნა და გურამს საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხა გადასცა.

– მე ვიცი რა არის ინჟინრის ხელფასი, ეს ერთგვარი პრემიაა ჩემი მხრიდან იმის გამო, რომ შენ ჩემთვის ასე ენერგიულად და ბეჯითად გაისარჯე. უარი არ მითხრა! – ღიმილით უთხრა ქალბატონმა გურამს და დამშვიდობების ნიშნად ლოყაზე ეამბორა...

სამშობიაროს ექიმები და ექთნები თავს დასტრიალებდნენ ნამშობიარევ ქალბატონს, რომელმაც ეს-ეს არის ბიჭი გააჩინა. სამედიცინო პერსონალი გაკვირვებული იყო მშობიარობის დროს ამ ქალბატონის სიმშვიდითა და გამძლეობით.

– საოცარია, სხვა ქალები წივილ-კივილით იკლებენ აქაურობას, თქვენ კი ისე მშვიდად იყავით, ხმაც არ ამოგიღიათ, სანტერესოა როგორ უძლებდით ტკივილებს? – გაკვირვებით ჰკითხა ექიმმა ქალს.

– ეჰ, ექიმო, თქვენ რომ იცოდეთ მე რამხელას ვუძლებ, იმ ტკივილთან შედარებით სამშობიარო ტკივილები სათქმელადაც არ ღირს, – ღიმილით უპასუხა ქალმა.

იმ საღამოს ამ ქალბატონის საწოლთან თავი მოეყარათ ახალგაზრდა ექიმებსა და ექთნებს, რომლებიც უხერხულ შეკითხვებს აძლევდნენ ნამშობიარევ ქალბატონს, ისიც ღიმილით პასუხობდა არც თუ ისე კორექტულ შეკითხვებს და აკმაყოფილებდა მათ უზომო ცნობისმოყვარეობას.

ამავე დროს ქვემოთ, სამშობიაროს მოსაცდელში, გურამი, თავის მეგობრებთან ერთად, უზომოდ ბედნიერი, შამპანურის ბოთლების ხმაურში, ორი ქალიშვილის მამა, მესამე შვილის, – ვაჟის დაბადებას აღნიშნავდა.

– დედი, დაუჩქარე, თორემ მზემ ამოსვლა მოგვასწრო, დღეს როგორმე უნდა მოვრჩე ხვნას, – ეუბნებოდა ქიტესა დედას, რომელიც ხურჯინში შოთ პურებსა და დღის ხარჯს აწყობდა. ქიტესას ერთი დღის სახნავი მიწა ჰქონდა, შარშანაც კარგი მოსავალი მოიწია, მაგრამ რა... ლეკიანობამ მოუსწრო და მეფემ ლაშქარში გაიწვია. დარჩა მოსავალი აუღებელი, თუმცა დედამისმა, მეზობლების დახმარებით, მაინც მოახერხა ნაწილის აღება, მაგრამ ნახევარი მიწაში ჩარჩა.

ქიტესას მამა მეფე ერეკლეს ახლდა ლაშქრობაში. შაქ-შირვანის ხანის, აჯი ჩალიბის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. სწორედ ამ ბრძოლაში დაიღუპა მამამისი სხვა ქიზიყელებთან ერთად. ქართლ-კახეთის მეფეები, თეიმურაზი და ერეკლე ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ლეკთა თარეშის აღსაკვეთად, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიდნენ. დროდადრო თავს ესხმოდნენ კახეთს და მის მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებდნენ.

იმ დროს, როდესაც მამაკაცები მინდვრად სამუშაოდ იყვნენ გასულები, შემოიპარებოდნენ ლეკები მალულად სოფლებში და იტაცებდნენ ქალებს, ბავშვებსა და საქონელს. სწორედ გაზაფხულზე დაეცნენ ურჯულოები ქიტესას კარ-მიდამოს, თუკი რამ ოთხფეხი ჰყავდა, გაირეკეს, მხოლოდ ერთი ცხენის ამარაღა დარჩა კაცი. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი გაუძარცვეს ურჯულოებმა, ის წელიწადი მაინც იღბლიანი გამოდგა ქიტესასთვის, ლეკების წინააღმდეგ ერთ-ერთი ლაშქრობის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის, მეფე ერეკლემ სხვა ქიზიყელებთან ერთად ისიც გააზატა.

შუადღე წამოვიდა, ქიტესამ ერთი კვალი კიდევ გაიტანა, გავიდა ბოლოში და ცხენი გუთნიდან გამოუშვა.

დედამ ხურჯინიდან ამოალაგა შოთი პურები, მშრალად მოხარშული დედალი, მწვანილი, ყველი, ხელადით ღვინო. ტილოს ნაჭერი მიწაზე დააფინა და ხორაგი ზედ დაალაგა.

– ეჰ, შვილო! ნეტა კი მოიყვანდე ვინმეს, აღარ გედროვება?! ხომ ხედავ დარდმა და ავადობამ ისე დამრიეს ხელი, რომ საქმის გაკეთება მიჭირს. მამაშენი ლაშქრობამ შეიწირა. შენც თავს არ ზოგავ ბრძოლაში. მეფე ისე შეგეჩვია, უშენოდ სალაშქროდ

აღარ დადის, ერთ დღესაც შენი თავი ბრძოლის ველიდან ურე-მზე დასვენებული რომ მომიტანონ, ხომ მაშინვე უნდა გავთავ-დე, ასე უშვილძიროდ როდემდე უნდა იყო?! – წუწუნებდა დედა და გამოწვდილ ყანწს ღვინით უვსებდა ქიტესას.

– მართალი ხარ, დედი! განა მე არ მინდა ოჯახს მოვეკიდო! აი, ჩვენი მომიჯნავის, ჭიღრიკაანთ თედოს გოგოს დავადგი თვალი. არც გოგო უნდა იყოს უარზე, მაგრამ თედოს ვერაფე-რი მოვუხერხე, ღარიბსა და უქონელს ქალი როგორ მოგცეო, უარზეა, – უთხრა ქიტესამ დედას და გამოცლილი ყანწი ხელა-დის გვერდით დადო.

– უქონელი ხარო?! თვითონ ხომ ფარები დაუდის შირაქში მაგისმა მზემ, – წყენით წარმოსთქვა დედაკაცმა. ჯან-ღონით სავსე, მშვენიერი პირი-სახის მქონე თავის ერთადერთ შვილს სიამაყით შეხედა და მარჯვენა მხარეს ხმლით ნაჭრილობევ ლოყაზე მოფერებით ხელი მოუთათუნა.

თებროსაც მოსწონდა შრომისმოყვარე, თვალ-ტანად შეხე-დული ვაჟკაცი და მიუხედავად მამის წინააღმდეგობისა, მზად იყო გაჰყოლოდა ვაჟს, მაგრამ ქალის უნებართვოდ წაყვანა საჩოთირო საქმედ მიაჩნდა ქიტესას.

– მოვიტაცო რა, ურჯულო ლეკი ხომ არა ვარ, რად მინდა საყვედრებელი საქმე ვქნა, მეფის წყალობით თავისუფალი ვარ, ბატონი მე ვერ შემაწუხებს და მისი ღალა-ბეგარა. ცოტა ხელს მოვინაცვლებ, საქონელსაც გავიჩენ და ოჯახის საქმესაც წინ წავწევ, ყველაფერი ნებით უნდა იყოს, სხვანაირად როგორ იქნება! – ამბობდა ქიტესა.

შემოდგომა იდგა. ქიტესა ზამთრის თადარიგს იჭერდა და ტყეში უნდა წასულიყო შეშის მოსატანად. სწორედ ამ დროს იცოდნენ ლეკებმა გააქტიურება, მთებიდან ჩამოსულები პა-ტარა გუნდებად დანაწილდებოდნენ და მოედებოდნენ კახეთის ტყე-ჭალებს, უსაფრდებოდნენ მოსახლეობას და იტაცებდნენ.

ქიტესამ სამუშაო იარაღთან ერთად საბრძოლო იარაღიც აისხა და ტყისკენ გაუდგა გზას. მუშაობაში გართულს ტოტების ლაწა-ლუწის ხმა მოესმა, არ გასულა დიდი ხანი და ტყის ფერ-დობიდან ლეკების რაზმი ხმალამოწვდილი დაეშვა მისკენ. ქიტესამ ცული დააგდო, ხმალი მოიმარჯვა, მაგრამ მტრის სიმ-რავლემ თავისი ქნა. მხარში დაჭრილს, ძალა თანდათან ელეო-და, მუხლზე წაიჩოქა, უმალ მგლებივით მისცვივდნენ ლეკები,



წამოაქციეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ცხენზე ხურჯინივით გადაჰ-კიდეს და გაუჩინარდნენ.

ქიტესას გატაცების ამბავი მეხივით გავარდა სოფელში. განსაკუთრებით მოსთქვამდა მისი დედა, რომელსაც ბედის უკუღმართობამ ქმრის სიკვდილი არ აკმარა და შვილიც ურჯულოების ნადავლად უქცია.

ორი დღე-ღამე ტყე-ტყე სიარულის შემდეგ, როგორც იქნა მიაღწიეს მარებელმა ლეკებმა დაღესტანს. იმის შიშით, რომ ქართველთა მდევარს არ გადაწყდომოდნენ, დღისით ტყეს იყვნენ შეფარებულები და მხოლოდ ღამით მოძრაობდნენ.

– ეს რა გვიყო, რასულ, ამ ერთმა კაცმა, როგორი ჯიშიანი ბიჭები დაგვიხოცა, გასაყიდად რომ არ მინდოდეს ღორივით გამოვჭრიდი ყელს, – სიბრაზისაგან ქოფაკივით დაკრიჭა კბილები შუახნის ჭაღარაშერეულმა ლეკმა და თოკით ხელ-ფეხ გაკოჭილ, ძირს დაგდებულ ქიტესას, ფერდში ფეხი ჩაარტყა. ქიტესას სიმწრისაგან სისხლი მოაწვა თვალებზე. ძაღლივით გაცოფებულ ლეკს ზიზღით შეხედა და მეორე მხარეს გადატრიალდა.

– აბა, რას ამბობ, გამზათ! – ამ გურჯს ამაღამვე ახალციხის გზას გავუყენებ, ისეთ კარგ ფასში გავყიდი, აღებული ფული ჩვენც გვეყოფა და მისგან დახოცილი ლეკების ქვრივ-ობლებსაც, – უთხრა რასულმა გაავებულ ლეკს და ძირს დაგდებულ ქიტესას მუშტრის თვალით დაუწყო ყურება.

ქიტესას ლეკების საუბრისა არა ესმოდა რა, მაგრამ ხვდებოდა, რომ საქმე სასიკეთოდ არ იყო. იცოდა გასაყიდად იყო განწირული, მაგრამ თავის დაღწევის იმედს არ კარგავდა, თანაც ყურმოკვრით გაგონილი ჰქონდა, რომ იმერეთის ახალგაზრდა მეფე, სოლომონ პირველი სასტიკად ებრძოდა ტყვეთა ყიდვა-გაყიდვას და ამის გამო ფულზე დახარბებული, წუწკი თავადები ძველებურად ვეღარ ბედავდნენ ტყვეებზე ნადირობას, თუმცა რისკის ფასად, მაინც არ ღალატობდენენ ღვთისა და მეფისაგან შეჩვენებულ ამ მავნე ქმედებას და უარს არ ამბობდნენ საკუთარი სისხლისა და ხორცის ურჯულოებზე მიყიდვას.

შებინდდა თუ არა, ლეკებმა ხელ-ფეხგაკრული ქიტესა ურემზე დააწვინეს, ადრე მოტაცებულ რამდენიმე ქალსა და ბავშვსაც ერთად მოუყარეს თავი და ახალციხისკენ დაიძრნენ. იმ-

დროინდელი, დაშლილ-დაქუცმაცებული, ზღუდე მორღვეული საქართველოსთვის, განუკურნებელ იარად იყო ქცეული ქართულ მიწა-წყალზე თურქებისაგან შექმნილი ახალციხის საფაშო, რომლის სათავეში ტომით ქართველნი, მაგრამ გათათრებული ჯაყელები იდგნენ. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდან, კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც ნახავდით აქ, მოტაცებულ და გასაყიდად გამზადებულ კაცებს, ქალებსა თუ ბავშვებს.

სწორედ ამ ტყვეთა ბაზარზე მიიყვანეს ლეკებმა ბორკილ-დადებული ქიტესა. ახალციხის საფაშოში დიდი პატივით სარგებლობდა თურქი სოვდაგარი, სულეიმან-აღა, რომელიც ადრე ტყვეებით ვაჭრობდა, ხოლო მას შემდეგ, რაც იმერეთის ახალმა მეფემ, სოლომონ პირველმა მკაცრად აკრძალა ტყვეთა გაყიდვა, გონიერმა სოვდაგარმა ამ საქმეზე ხელი აიღო და საქართველოდან აბრეშუმის, ბეწვეულის, ენდროსა და ღვინის გატანას მიჰყო ხელი, თუმცა ზოგჯერ ტყვეების ყიდვაზეც არ ამბობდა უარს, რადგან სტამბულის ბაზარზე ეგვიპტიდან ჩამოსული ბეგები და წარჩინებული სოვდაგრები, ეგვიპტის მმართველის მოწოდებით, მამლუქთა ჯარის გასაძლიერებლად, ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცებში საკმაოდ დიდ თანხას იხდიდნენ. სწორედ ამ მიზნით სულეიმან-აღამ სხვა საქონელთან ერთად 15 კუნთმაგარი, გურჯი ტყვეც იყიდა, რომელთა შორის ქიტესაც იყო და აბრეშუმით, ბეწვეულით და სხვა საქონლით დატვირთულ ცხენებსა და აქლემებს ფოთისკენ გაუძღვა, სადაც მას საკუთარი გემი ელოდა.

უკმაყოფილო იყო ნავაჭრით თურქი სოვდაგარი. ოქროს ფულით სავსე ზარდახშა ნახევრადაც ვერ გახარჯა, ვერც ტყვეები იყიდა საკმარისად და ვერც საქონელი. მოსაღამოვებულზე ხალვათად დატვირთულმა გემმა სტამბოლისკენ აიღო გეზი. ქიტესაც სხვა ტყვეებთან ერთად ბორკილდადებული გემბანზე დაეგდოთ და თურქი მცველები მიეჩინათ.

ზედამხედველებს შორის ლმობიერებით და ქართული იერით გამოირჩეოდა ერთ-ერთი იმათგანი, რომელსაც ტყვეებისათვის წყლისა და საჭმლის მიტანა ჰქონდა დავალებული.

– თურქს არა ჰგავხარ, სადაური ხარ, ძმობილო? – ჰკითხა ქიტესამ.

– ლაზი ვარ, უკვე ოცი წელია, რაც სულეიმან-აღამ სტამ-

ბოლის ბაზარზე მიყიდა და მას შემდეგ ამ გემზე ვმსახურობ, დღისით გემის საჭეს თურქები მართავენ, ღამით ისინი ისვენებენ და გემის მართვა მე მაქვს დავალებული. სულეიმან-აღას ამჯერად ნაკლები მცველთა რაზმი ჰყავს დაქირავებული, სულ ოცდაათნი არიან. ღამე მცველებს სძინავთ, მხოლოდ რამდენიმე ზედამხედველი ფხიზლობს. ივარგეთ თუ შეგიძლიათ, მეც დაგეხმარებით! – უთხრა ლაზმა და ორლესული ხანჯალი ქიტესას ჩოხის კალთის ქვეშ ამოუდო.

ქიტესას და დანარჩენ ტყვეებსაც იმედი მიეცათ, ისინი მოთმინებით ელოდნენ დაღამებას.

ძილის წინ სულეიმან-აღას ჩვევად ჰქონდა გემის შემოწმება. მან ძირის-ძირობამდე შეამოწმა გემის თითოეული კუთხე-კუნჭული. დარწმუნდა რა გემზე სრული სიმშვიდე სუფევდა, დამშვიდებულმა გასწია თავისი ოთახისკენ დასაძინებლად. ლაზმა ჩაიბარა გემის საჭე და მოუთმენლად ელოდა ტყვეებისაგან მოქმედების დაწყებას. უცებ ტყვეებს შორის ჩოჩქოლი ატყდა, თურქი ზედამხედველები მიუახლოვდნენ მათ. ორი ტყვე გამეტებით ურტყამდა ერთმანეთს მუშტებს. თურქებმა მოჩხუბრების გაშველება სცადეს. ტყვეებმა სამივე ზედამხედველი შუაში მოიქციეს, მივარდნენ, პირზე ხელები ააფარეს და ძირს დასცეს. ქიტესამ ლაზის მიცემული ხანჯლით სამივე თურქს უმალ ყელები გამოსჭრა, ერთ-ერთ მათგანს ქამარზე დამაგრებული ლითონის რგოლი ახსნა, რომელზედაც ტყვეთა ბორკილების გასაღებები ეკიდა, მათ გაიხსნეს ბორკილები და ზღვაში გადაყარეს. შემდეგ უხმაუროდ ჩავიდნენ ქვემოთ, სადაც გემის მცველთა რაზმს მშვიდად ეძინა. ტყვეები ფეხაკრეფით მიეპარნენ მძინარე თურქებს და ყველას სათითაოდ გამოსჭრეს ყელი, ისე რომ, მათ გაღვიძებაც ვერ მოასწრეს. ლაზის, ქიტესას და ტყვეების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გემი მათ ხელში იყო. მხოლოდ სულეიმან-აღას ეძინა თავის ოთახში მშვიდად. ლაზმა მისი დატყვევება თავის თავზე აიღო, სურდა სამაგიერო მიეზღო იმ ოცწლიანი მონობისათვის, რაც მან ამ სოვდაგართან გაატარა.

მიუხედავად იმისა, რომ სულეიმან-აღამ გემზე არსებული სიმდიდრე, ოქრო და ძვირფასეულობა სრულად გამოუჩინა გამარჯვებულ ტყვეებს, მათ მაინც არ დაინდეს სოვდაგარი და გემის ანძაზე ჩამოახრჩვეს. დანარჩენ თურქებს ტანსაცმელი

გახადეს და მათი გვამები ვახშმად თევზებსა და ზვიგენებს გადაუყარეს ზღვაში.

შუაღამე გადასული იყო. ლაზმა გემი უკან შეამოაბრუნა და გეზი ისევ ფოთისაკენ აიღო, ქართველები თურქების ტანსაცმელში გამოეწყვნენ, რათა ფოთის სანაპიროზე მდგარ თურქულ გარნიზონს ეჭვი არ აეღო, რომ გემი ამბოხებული ქართველების ხელში იყო.

მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული, როცა გემი ფოთის სანაპიროს მიადგა. საზღვაო საქმის კარგად მცოდნე ლაზმა, უსაფრთხოების მიზნით თავი აარიდა ნავსადგურში შესვლას. მდინარე რიონს ზემოთ აჰყვა, გემი თურქებისაგან შეუმჩნეველ ადგილზე გააჩერა. ქართველებმა, თუ კი რამ ღირებული იყო გემზე, ყველაფერი სანაპიროზე გადმოიტანეს. გადმოიყვანეს ცხენებიც და აქლემებიც. მოხსნეს გემს ორივე მხარეს განლაგებული ათი ზარბაზანიც, რომლებსაც გემის პატრონი ზღვაოსნობის დროს მეკობრეების თავდასხმისაგან თავის დასაცავად იყენებდა. გემზე არსებული საქონელი, ოქრო და ძვირფასეულობა გაინაწილეს, დატვირთეს ცხენები, აქლემები და იმერეთის მეფის, სოლომონ პირველის საბრძანებლისკენ გაემართნენ, ხოლო გემს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე უამრავი ქართველის თუ არაქართველის ცოდვით იყო დამძიმებული, ცეცხლი წაუკიდეს და ფერფლად აქციეს.

დიდად გაიხარა იმერეთის მეფე სოლომონმა მოულოდნელი სტუმრების ხილვით, აღტაცებული და გახარებული იყო მათი მოხერხებულობითა და ვაჟკაცობით, მეფეს განსაკუთრებით ახარებდა საჩუქრად მირთმეული 10 ზარბაზანი, რომელსაც თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენებდა.

სოლომონმაც თავის მხრიდან, დიდად დაასაჩუქრა სტუმრები. ლაზს აზნაურობა უბოძა, ქიტესას სთხოვა მასთან დარჩენა, მაგრამ მას როგორ შეეძლო არ დაბრუნებულიყო ქიზიყში და თავისი მშობელი დედა არ გაეხარებინა.

სოლომონმა ძღვენითა და საჩუქრებით გაისტუმრა ქიტესა კახეთისაკენ. მთელმა ქიზიყმა გაიხარა ლეკებისაგან გატაცებული ქიტესას დაბრუნებით, მისი გმირობისა და მოხერხებულობის ამბავი არა მარტო ქიზიყს, არამედ მთელ ქვეყანას მოედო.

ქიტესამ საქონელი მოამრავლა, სახლ-კარიც გააფართოვა

და ბოსელ-მარანიც. ყველას ახარებდა მისი მობრუნება, განსაკუთრებით მის მეზობელ ჭიღრიკაანთ თედოს. აქამდე უქონლობით დაწუნებული ქიტესა, ეხლა ყველასათვის სასურველი სასიძო იყო, განსაკუთრებით – თედოსთვის.

ერთ საღამოს ქიტესას სახლ-კარიდან ზურნისა და ტაშ-ფანდურის ხმა გაისმა, მეზობლები და სტუმრები შემოსხდომოდნენ ქორწილის სუფრას და ლოცვა-კურთხევას არ იშურებდნენ ნეფე-პატარძლის, ქიტესასა და თებროს მიმართ. ლეკებისაგან რბევა-აწიოკებით შეწუხებული სოფლისათვის, როგორც იქნა დადგა მონატრებული ლხინისა და მხიარულების ჟამი.

ხარობდა ქიტესას ოჯახი, ხარობდა სოფელი...

– ანი, როგორც კი დაგიმთავრდება ლექციები, მაშინვე ჩემთან წამოდი სახლში, არ დაიწყო შენებურად სუპერმარკეტებში ბოდიალი, ხომ იცი ხვალ ჩემი დაბადების დღეა, სტუმრები მოდიან, ნამცხვრების გამოცხობაში უნდა მომეხმარო! – სულმოუთქმელად მიაყარა ტელეფონში მაგდამ თავის დაქალს. ანის ბოლო ორი ლექცია გაუცდა და უნივერსიტეტის წინ, გაჩერებასთან, ავტობუსს ელოდა.

– არსად არ ვაპირებ ბოდიალს, პირდაპირ შენთან მოვდივარ! – უპასუხა ანიმ მობილურში მეგობარს, შემდეგ ტელეფონი დაკეცა და ხელჩანთაში შეინახა. ავტობუსის გაჩერებასთან, გაზეთების ჯიხურს მიყრდნობოდა გამხდარი, წელში ოდნავ მოხრილი ახალგაზრდა, რომელსაც პიჯაკის საყელო აეწია და უფილტრო სიგარეტს ეწეოდა. ახალგაზრდამ თვალი მოჰკრა ანის ძვირადღირებულ, იშვიათ მობილურს და ქალიშვილის მიმართ ყურადღება მოეძალა.

არ გასულა დიდი დრო და ავტობუსიც მოვიდა, რომელიც მგზავრებით იყო სავსე. სალონში ზოგიერთ დასაჯდომ ადგილზე წამოსკუპულიყვნენ სკოლის მოსწავლეები და ფეხზე მდგომ ხანდაზმულებს თითქოს ვერც ამჩნევდნენ. საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ეტყობოდათ ახალი ხელისუფლების მიერ გატარებული განათლების რეფორმის გავლენა. დასავლური ორიენტაციის საგნის, „ზოგადი უნარების“ თანახმად, ახალგაზრდის მიერ ტრანსპორტში ხანდაზმულთათვის ადგილის დათმობა მიუღებლად ითვლებოდა.

ანის ავტობუსში ლანდივით აეტუზა ის ახალგაზრდა, რომელმაც მის მობილურს თვალი დაადგა. მან შეუმჩნევლად გაუხსნა ქალიშვილს ხელჩანთა და მობილური ამოიღო. ანიმ იგრძნო ხელჩანთაზე საეჭვო შეხება, მკვეთრად შემოტრიალდა და იმ ხელზე უტაცა ხელი ქურდს, რომელშიც მობილური ეჭირა. ქურდმა ქალიშვილს ხელი გააშვებინა, მობილური ჯიბეში ჩაიდო, შემდეგ დანა გახსნა და წვერით ანის მუცელზე მიაბჯინა.

– ხმა არ მოიღო, იცოდე გამოგფატრავ! – ანის შიშისგან ხმა ჩაუვარდა.

– დაუბრუნე მობილური, თორემ შენი უბადრუკი, ნაძირალობით გაჟღენთილი ტვინიც ვერ წარმოიდგენს, რას გიზამ! – მოესმა ქურდს ზურგს უკან მდგარი, უცნობი ახალგაზრდის ხმა, რომელსაც არ გამოჰპარვია, როგორ გაუხსნა მან ხელჩანთა ქალიშვილს.

– ნუ ერევი, ეს შენი საქმე არ არის! – გამოსცრა ქურდმა და უცნობს განგმირავად შეხედა.

– მობილური დაუბრუნე, თორემ ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ! – კიდევ ერთხელ გაუმეორა უცნობმა.

– ხომ არ გინდა სასაფლაოზე ეხლავე ადგილი მოგიზომო? – უპასუხა ქურდმა, ანის თავი დაანება და დანის წვერი უცნობს ფერდზე მიაბჯინა. უცნობმა ახალგაზრდას ხელი მაჯაზე უტაცა და მძღოლს ხმამაღლა მოსთხოვა ავტობუსის გაჩერება.

– გააჩერე! გააჩერე! – ახმაურდნენ მგზავრებიც. მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა და ავტობუსი გააჩერა. უცნობმა ავტობუსიდან ჩამოათრია ქურდი. ანიც ჩამოვიდა და შორიახლო გაჩერდა. გოგონა შიშისაგან მთელი სხეულით კანკალებდა. უცნობმა ელვის სისწრაფით გააგდებინა დანა არამზადას, შემდეგ პირქვე დააგდო, ხელები გადაუგრიხა და იდაყვი ისე მაგრად ჩაჰკრა ფერდში, რომ ქურდს ტკივილისაგან სუნთქვა შეეკრა. უცნობმა დანა დაკეცა და ისე შორს გაჰკრა, რომ ქურდმა თვალის გაყოლებაც ვერ მოასწრო, შემდეგ ჩაუყო ჯიბეში ხელი, ამოიღო მობილური და იქვე მდგარ, შიშისაგან გაფითრებულ ანის გაუწოდა. ქალიშვილმა მადლობა გადაუხადა უცნობს და იქაურობას გაშორდა.

ანიმ სულმოუთქმელად აირბინა კიბეები და კარზე ზარის ღილაკს თითი დააჭირა. კარი მაგდამ გაუღო.

– რა აფორიაქებული ხარ, სახეზე ადამიანის ფერი არ გადევს. რა დაგემართა? – ანიმ უპასუხოდ დატოვა მაგდა, ოთახში შევიდა და მოცელილივით ჩაეშვა სავარძელში.

– გული მაქვს ცუდად, წყალი მომიტანე!

– აღარ იტყვი რა შეგემთხვა? – კიდევ ერთხელ, უკვე

შეშინებულმა ჰკითხა მაგდამ და წყლით სავსე ჭიქა მიაწოდა. ანიმ დაწვრილებით უამბო, რაც თავს გადახდა და ჯავრობდა, რომ თავის მხსნელს მხოლოდ ზერელედ გადაუხადა მადლობა და ისე დაემშვიდობა, რომ სახელიც არ ჰკითხა. იმ საღამოს ანიმ და მაგდამ გვიანობამდე ვერ დაიძინეს.

ანი ბებიასთან ერთად მარტო ცხოვრობდა ზემელზე, ოთხოთახიან, კეთილმოწყობილ ბინაში. მისი მშობლები მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მდგომარეობა აირია რუსეთში წავიდნენ დროებით საცხოვრებლად, იშოვეს პროფესიით სამსახური და იქიდან ეხმარებოდნენ მოხუც დედას და სტუდენტ ქალიშვილს. ანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიური ფაკულტეტის ბოლო კურსზე სწავლობდა, ეუფლებოდა ფინანსისტის პროფესიას.

მაგდა და ანი ბავშვობიდან იცნობდნენ ერთმანეთს, მეგობრობდნენ და უერთმანეთოდ ერთ დღესაც არ ატარებდნენ...

შესანიშნავი მაგიდა იყო გაწყობილი მაგდას დაბადების დღეზე, სტუმრები თანდათან ემატებოდნენ.

– ანი, კარი გააღე! კიდევ ვიღაც მოვიდა, – უთხრა მეგობარს მაგდამ, თვითონ სამზარეულოში ტრიალებდა და სუფრის გაწყობით იყო დაკავებული. ანიმ შამპანურის ბოთლები მაგიდაზე დააწყო და კარის გასაღებად გაემართა.

– ეს თამაზ გომართელის ბინაა? ხომ არ შევცდი? – ქალიშვილმა შეხედა მკვრივი აღნაგობის სიმპათიურ ახალგაზრდა მამაკაცს და მოულოდნელობისაგან გაოცდა, შემდეგ გამოერკვა და სტუმარი შინ შეიპატიჟა.

– არ შემცდარხართ, დიახ, ეს თამაზ გომართელის ბინაა, მობრძანდით!

– თქვენ?! – იცნო ახალგაზრდამ ანი და სასურველი მოულოდნელობისაგან კმაყოფილს, სახეზე ღიმილი მოეფინა.

– ვერ წარმოვიდგენდი, ამ ოჯახში თუ გნახავდით!

ანის წინ სწორედ ის უცნობი იდგა, ვინც გუშინ მას ავტობუსში მხსნელად მოევლინა.

– მაგდა, ვინ არის ის ბიჭი? – ჰკითხა ანიმ მეგობარს და ოთახში შემოსულ თავის გადამრჩენელზე ანიშნა.

– ეს ბეგია, ჩემი ძმის ახალი მეგობარი და თანამოსაქმე, ისინი ერთად დადიან გერმანიაში მანქანების ჩამოსაყვანათ. ბეგი სულ ორი თვეა, რაც თამაზმა გაიცნო, კარგი ბიჭია, წესიერი და პატიოსანი, ნამდვილი ვაჟკაცია. ასეთები დღეს ცოტანი არიან, თავს არავის დააჩაგვრინებს. სანამ ჩემს ძმას გაიცნობდა, ჯარში მსახურობდა კონტრაქტით, სპეცდანიშნულების რაზმის „ალფას“ წევრი იყო, კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ აღარ ისურვა იქ ყოფნა, მიზეზი ჯარში შექმნილი ის უსამართლობა იყო, რასაც წესიერი და სამართლიანი კაცი ვერ შეეგუებოდა, ამიტომ ბეგისაც გაურთულდა უფროსებთან ურთიერთობა და უარი თქვა სამხედრო კარიერაზე.

– მაგდა, იცი ბეგი ჩემი გუშინდელი დღის გმირია, მან მიბეგვა ის ნაძირალა, რომელმაც ტელეფონი ამომაცალა და მოკვლით მემუქრებოდა. ასე რომ, მიხარია მისი აქ ყოფნა, ახლა მაინც შევძლებ ღირსეულად დავუფასო გუშინდელი საქციელი და გულითადი მადლობა გადავუხადო! – უთხრა მეგობარს ანიმ, წინსაფარი მოიხსნა, სარკეში თმები გაისწორა და სტუმრებით სავსე ოთახში შევიდა.

– ანი, მოდი ჩვენთან, სწორედ ახლა ვსაუბრობდით შენზე მე და ბეგი, – უთხრა თამაზმა ანის და ქალიშვილი ბეგის წარუდგინა.

– გაიცანი, ეს ანია, ჩემი დის დაქალი, თითქმის ჩვენი ოჯახის წევრი.

– ბეგლარი! – ხელი გაუწოდა ვაჟმა ქალიშვილს, ანიმ თავისი ნაზი ხელი შეახო ვაჟის ხელს და ჰკითხა:

– უცნაური სახელი გრქმევიათ!

– ეს სახელი პაპის საპატივსაცემოთ დამარქვეს, ისე ყველა შემოკლებით ბეგის მეძახის, თქვენც ბეგი დამიძახეთ! – უპასუხა ვაჟმა. ანიმ გაუღიმა ბეგის და გუშინდელი შემთხვევის გამო კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა.

თამადის ენამახვილობამ და გონიერებამ მოხიბლა ახალგაზრდები. ის, თითქმის ყოველ მომდევნო სადღეგრძელოს, ხან ლექსით და ხან დიდი პიროვნებების ბრძნული გამონათქვამებით წარმოთქვამდა. სუფრას არც სიმღერა აკლდა და არც ცეკვა-

თამაში. ამ საერთო მხიარულებაში მაინცდამაინც მონაწილეობას არ იღებდა ბეგი, ის მალულად გააპარებდა ხოლმე თვალს მაგიდის საპირისპირო მხარეს მჯდომი ანისკენ და ქალიშვილის სასიამოვნო გარეგნობით, თავაზიანობითა და მოხდენილი მანერებით მონუსხული, უზომო კმაყოფილებას განიცდიდა.

ანი მოჩვენებითი გულგრილობით პასუხობდა ვაჟის მზერას, თუმცა გულში უხაროდა, რომ ამდენ ლამაზ და მომხიბვლელ ქალიშვილთა შორის ბეგიმ სწორედ ანი ამოარჩია.

თამადამ, როგორც იქნა, სუფრაზე შესვენება გამოაცხადა, საცეკვაო მუსიკის ჰანგებზე ახალგაზრდები დაწყვილდნენ. ბეგი სულმოუთქმელად ელოდა ამ მომენტს, ის წამოდგა და ანისთან მივიდა.

– შეიძლება ვიცეკვოთ? – მორიდებით მიმართა ვაჟმა ქალიშვილს და ხელი გაუწოდა, ანი თითქოს ელოდაო ბეგისგან საცეკვაოდ მიწვევას, სახეზე ჩამოშლილი ქერა კულულები გაისწორა, ვაჟს გაუღიმა და მის გამოწვდილ ხელს თავისი ხელი შეაგება.

– რას წარმოვიდგენდი, რომ თქვენ აქ შეგხვდებოდით!

– ჩემთვისაც დიდი მოულოდნელობა იყო თქვენი აქ ნახვა.

– გულწრფელად რომ გითხრათ, გუშინ რომ დაგემშვიდობეთ, გული დამწყდა, თქვენი მადლიერი თვალების საოცარი, განუმეორებელი შემოხედვა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ გაცნობის სურვილი გამიჩნდა.

– ხომ გავიცანით ერთმანეთი, ჩვენი შეხვედრაც ალბათ ღვთის ნებაა, იღბლიანი ყოფილხართ!

– იღბალს მართლა არ ვემდური, ჩემს საქმიანობაში იღბალი მიმართლებს. აი, თუ სიყვარულშიც გამიმართლებს, მართლაც ბედნიერი კაცი ვიქნები!

ანიმ ვაჟს ყურთან ახლოს მიუტანა ტუჩები და ჩასჩურჩულა:

– ეცადეთ, თქვენ ხომ იღბლიანი ხართ!

ბეგის სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა ტანში, იმედიანად განეწყო და უნდოდა ანისთვის კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ თამადის რიხიანმა მოწოდებამ, ახალგაზრდები სუფრასთან დააბრუნა.

ბეგის აღარ აინტერესებდა არც ღვინის სმა და არც სუფრის აკადემიური მსვლელობა, ის მხოლოდ მაგიდის იმ მხარეს მისჩერებოდა, სადაც ანი იჯდა თავის მეგობართან ერთად და საუბარში ისე იყო გართული, თითქოს ბეგის მზერას ვერ ამჩნევდა, თუმცა ხანდახან ისიც მორიდებულად გააპარებდა თვალს ვაჟისკენ, გულში უხაროდა, რომ ბეგი სასმელს არ ეძალებოდა და სუფრასთან მისი ქცევა და საუბარიც სანიმუშო იყო. ბეგისა და ანის შესამჩნევი თბილი ურთიერთობა არ გამოჰპარვია თამაზს, ის გვერდით მოუჯდა მეგობარს და ყურში ჩასჩურჩულა:

– ხომ მოგეწონა? რომ ინატრო ისეთი გოგოა, მე მგონი იმასაც მოეწონე, – ბეგის ესიამოვნა თამაზის სიტყვები, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და წარმოსთქვა:

– მართლაც მაგარი გოგოა, მთელი საღამო ვაკვირდები და წუნი ვერაფერში დავდე.

თამაზმა ბეგის ჭიქა შეუვსო და ორივემ სიყვარულისა და მშვენიერების სადღეგრძელო ბოლომდე დალია.

– გინდა ხვალ მაგდა და ანი მცხეთაში გავასეირნოთ, ჩამოყვანილი მერსედესი ხომ მწყობრში გყავს? – ჰკითხა თამაზმა ბეგის.

– დიდებული იდეაა, მე უნდა მეთქვა და შენ დამასწარი! – უპასუხა გახარებულმა ბეგიმ და მეგობარს კმაყოფილების ნიშნად მხარზე ხელი მოჰხვია.

– ახლავე მოველაპარაკები გოგონებს! – თქვა თამაზმა და მაგიდის მეორე მხარეს გადაინაცვლა, სადაც მაგდა და ანი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, თან დროდადრო, სხვებისგან შეუმჩნევლად, ბეგისკენ იხედებოდნენ და მრავლისმეტყველად იღიმებოდნენ.

– ლამაზებო, შეიძლება თქვენთან? – თავაზიანად ითხოვა ნება თამაზმა.

– რა თქმა უნდა! – შესციცინეს გოგონებმა და ღვინისგან სახეშეწითლებულსა და თვალებაჟუჟუნებულ თამაზს სკამი მიუწიეს.

– მე და ბეგის ფანტასტიური იდეა გვაქვს. გადავწყვიტეთ ხვალ თქვენი მცხეთაში დაპატიჟება, ახლა იქ უნდა გავაგრ-

ძელოთ შენი დაბადების დღის აღნიშვნა, ჩემო დაიკო! – ამ მოულოდნელმა, სასიხარულო ამბავმა, გოგონები გაამხიარულა. მაგდა ფეხზე წამოდგა და ძმას, მადლობის ნიშნად, კისერზე ჩამოეკიდა. ანიმაც სიამოვნებით მიიღო მიპატიჟება და ბეგის, რომელსაც დაეტოვებინა სუფრასთან თავისი ადგილი და ისიც გოგონებთან მისულიყო, ღიმილიანი მზერა მიაპყრო.

მეორე დღეს ბეგიმ საგანგებოდ გარეცხილ-გაკრიალებული მერსედესი, თამაზისა და მაგდას თანხლებით, ანის სახლთან გააჩერა. ანიმ დიდხანს არ ალოდინა მეგობრები და მანქანაში მაგდას გვერდით მოთავსდა. ზაფხულის უქმე დღე იყო. მცხეთა უამრავ სტუმარსა და უცხოელ ტურისტს მასპინძლობდა. სტუმრები განსაკუთრებული ინტერესით ათვალიერებდნენ სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარს, ესწრებოდნენ ტაძარში ჯვრისწერისა და ნათლობის ცერემონიალებს, ყიდულობდნენ სუვენირებს და შთაბეჭდილებებით აღსავსენი ტოვებდნენ ტაძრის ტერიტორიას.

მაგდამ და ანიმ თავსაფრები მოიხვიეს და ტაძარში შევიდნენ, თითქმის ყველა წმინდანს სანთლები აუნთეს, პირჯვარი გადაიწერეს. ბეგიმ და თამაზმაც დაანთეს სანთლები, მოწიწებით ეამბორნენ ღვთისმშობლისა და საქართველოს მფარველის, წმინდა გიორგის ხატებს. ახალგაზრდებმა ჯვრის მონასტერიც მოინახულეს და, ღვთისა და ხატის წინაშე ვალმოხდილებმა, სადილობა რესტორან „არმაზში“ გადაწყვიტეს.

მასპინძლობა ბეგიმ თამაზს არ დაანება. მაგიდასთან ბეგისა და ანის ურთიერთობა თანდათან ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ქალ-ვაჟი ორი დღე კი არა, მრავალი წელია, რაც ერთმანეთს იცნობდა. ორივე უზომოდ კმაყოფილი იყო ერთად ყოფნით და თბილისში დაბრუნებას არ ჩქარობდნენ.

საოცრად მხიარულ განწყობაზე იყო ბეგი, იგი აშკარად ვერ მალავდა ანისთან ყოფნით გამოწვეულ სიხარულსა და კმაყოფილებას, დღეს ის ზედმეტად მჭერმეტყველი, თავაზიანი და შეუდარებელი თამადა გახლდათ. ანი ყურადღებით ისმენდა მის მიერ წარმოთქმულ სიბრძნითა და იუმორით გაჯერებულ სადღეგრძელოებს. ვაჟი ცდილობდა ქალიშვილზე შთაბეჭდილე-

ბა მოეხდინა და ქათინაურებს არ აკლებდა მას.

– შენი მშობლების გამკვირვებია, როგორ დაგტოვეს მხოლოდ მოხუცი ბებიის ამარა ასეთი ლამაზი და გონიერი ქალიშვილი. არ ეშინიათ ვინმემ რომ მოგიტაცოს.

– ჩემს მშობლებსაც სწორედ ეგ უნდათ, იქნებ როგორმე ეშველოთ და ვინმემ წამიყვანოს, თორემ ჩემს უსაზღვრო მოთხოვნებსა და კაპრიზებს ვეღარ აუდიან. ან კი ვინ მომიტაცებს, ვინც მიცნობს ყველამ იცის, რა ძვირი შესანახი ვარ, ამიტომ ჯერჯერობით სურვილი ვერავის შევამჩნიე, რომ ვინმეს ჩემი ცოლად მოყვანა უნდოდეს, – წარმოსთქვა ანიმ, გამომწვევად შეხედა ბეგის და მრავლისმეტყველად გაუღიმა. ბეგიმ ქალიშვილის ღიმილს ღიმილითვე უპასუხა, სასმისი შეავსო და მაგიდის წევრებს მშვენიერების სადღეგრძელო შესთავაზა. ანის მობილურში შეტყობინების ზუმერი გაისმა. მან ტელეფონის ეკრანს დახედა, ტექსტი წაიკითხა და სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა: „კიდევ 3000 დოლარს გიგზავნით, მამაშენს წამოწყებულმა საქმემ გაუმართლა და ამ თვეში რასაც ელოდა, იმაზე მეტი დარჩა. ჭკუით იყავი – დედაშენი.“

მაგდა ყურადღებით აკვირდებოდა ანის ესემესების კითხვისას და მისი გახარებული სახის შემხედვარეს, თვითონაც უხაროდა.

– ასე რამ გაგახარა? – ჰკითხა მეგობარს მაგდამ.

– დედამ კიდევ 3000 დოლარი გამომიგზავნა, როგორც ჩანს, მამაჩემს ბიზნესში საქმე კარგად მისდის.

– აბა, შენ იცი ახლა, ხვალიდან არც ერთი სუპერმარკეტი არ გამოგრჩეს, დაიარე შენებურად და აკრიფე თუკი რაიმე ჭინჭები მოგეწონება.

– ჭინჭების საყიდელი ფული მაქვს, ამ თანხას სხვა რამისთვის შევინახავ, იმ თვეში კიდევ გამომიგზავნიან, დავამატებ და მანქანას ვიყიდი, სულაც ბეგის ჩამოვაყვანინებ! რას იტყვი ბეგი, ხომ ჩამომიყვან მანქანას?

– შენთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ და მანქანის ჩამოყვანაზე როგორ გეტყვი უარს! – სიხარულით უპასუხა ვაჟმა ქალიშვილს და მოწიწებით ხელზე ეამბორა.

ანიმ მადლობა გადაუხადა ვაჟს. მიუხედავად იმისა, რომ ბეგი იყო თამადა, მას სასმელი თითქმის არ დაულევია, რადგან საჭესთან იჯდა. მხოლოდ სიყვარულის სადღეგრძელოს ვერ უღალატა და ჭიქა ბოლომდე დასცალა, ან კი როგორ არ უნდა დაელია, სიყვარულის ხსენებაზე ანის მზერას გრძნობდა და მისი მწვანე, ულამაზესი თვალების ეშხი, ვაჟს სასიამოვნო ჟრუანტელს ჰგვრიდა.

მოსაღამოვდა. ახალგაზრდები მაგიდიდან აიშალნენ და გარეთ გამოვიდნენ. მდინარიდან მონაბერი საღამოს გრილი ნიავი და მტკვრის ხეობის მშვენიერი ბუნება არ ეთმობოდათ. ქალიშვილებმა მანქანას გვერდი აუარეს და მტკვრის ნაპირზე ჩავიდნენ, მათ ბეგი და თამაზიც მიჰყვნენ. ანიმ ფეხსაცმელი გაიხადა და მდინარეში შევიდა.

– ბეგი, შემოდი, იცი რა სასიამოვნო, თბილი წყალია.

ბეგიმ წამსვე გაიძრო ფეხსაცმელები, შარვლის ტოტები აიკეცა და ანისთან მივიდა. მდინარის ნაპირი ქვიანი იყო, ანი სიპ ქვებზე თავს ძლივს იმაგრებდა.

– ბეგი, ხელი მომკიდე, თორემ წავიქცევი, ქვებზე ფეხს ძლივს ვიმაგრებ! – უთხრა ანიმ ვაჟს, შემდეგ ფეხი წინ წადგა და ბეგისკენ ხელი გაიშვირა. უცებ ქალს ფეხი დაუსხლტა და ის იყო წყალში უნდა წაქცეულიყო, რომ ბეგი უმალ ანისთან გაჩნდა, შეტორტმანებულ ქალიშვილს წელზე ხელი მოჰხვია, აიყვანა და მკერდზე მიიკრა. ვაჟის სიმარჯვისგან განცვიფრებულმა ქალმა, კისერზე ორივე ხელი მოჰხვია. ანის გული დამფრთხალი ჩიტივით უცემდა და რაღაც სასიამოვნო მოლოდინით გაბრუებული ვაჟს თვალებში შესცქეროდა. ბეგიმ უფრო მიიხუტა ქალი მკერდზე, შემდეგ მის ვარდისფერ ტუჩებს ტუჩებით შეეხო და ვნებიანად აკოცა. ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ვაჟის სურვილს დაჰყვა და ენითაღუწერელ, უზომო ნეტარებას მისცა თავი.

– კარგი, გეყოფა, დაგვინახავენ! – გამოერკვა ანი, ბეგიმ ხელი უშვა და ორივე წყლიდან გამოვიდა.

– სად დაიკარგეთ? ცოტაც და თქვენს მოსაძებნად მოვდიოდით, – უსაყვედურა მაგდამ მეგობარს.

– დაგვიანებისთვის ბოდიშს გიხდი, – თქვა ანიმ და მაგდას გაუღიმა. თამაზმა ალმაცერად გახედა ბეგის და ჩუმად გადაულაპარაკა.

– ხომ არ იცელქე, ზედმეტი ხომ არ მოგივიდა? იცოდე, არაფერი შეგეშალოს!

– აბა, რას ამბობ, არა გრცხვენია?! მე ანი მიყვარს და ცოლად უნდა მოვიყვანო! – უპასუხა ბეგიმ მეგობარს და აკეცილი შარვლის ტოტები ჩამოუშვა.

საკმაოდ აგრილდა, ჩამობნელდა კიდეც. ახალგაზრდები მანქანასთან მივიდნენ.

– ნასვამი რომ ხარ, მაინც უნდა დაჯდე საჭესთან? – უთხრა ანიმ ბეგის და პერანგის საყელო გაუსწორა.

– სულ რაღაც ორი, სამი ჭიქა მაქვს დალეული, თანაც ეს საღამო ისეთი ბედნიერია ჩემთვის, არა მგონია ვინმემ წამიხდინოს. ხომ იცი, იღბლიანი ვარ! – ღიმილით მიუგო ბეგიმ ანის და მეგობრულად ლოყაზე ეამბორა.

– მაგდა, რას იტყვი, ჩავუჯდეთ ნასვამ კაცს მანქანაში?

– ხომ თქვა, იღბლიანი ვარო,თანაც სხვა რა გზა გვაქვს! თამაზი მასზედ მეტად არის ნასვამი, – თქვა მაგდამ, გამოაღო მანქანის კარი და სალონში მოთავსდა.

გზა თბილისამდე მშვიდობიანად განვლეს, პატრულსაც არ გაუჩერებია. ბეგიმ თამაზი და მაგდა სახლში მიიყვანა.

ახლა შენ დაგაბინავებ, წინ გადმოჯექი, უკან რომ ზიხარ, ასე მგონია „ხაზეინს“ ვატარებ, – ანი ბეგის გვერდით მოთავსდა და მაგნიტოფონი ჩართო...

– ესეც შენი სახლი, მოვედით! – ბეგი სადარბაზოს კიბემდე მიჰყვა ქალიშვილს.

– არაფერს მეტყვი? არ დამემშვიდობები?

– რა უნდა გითხრა, მადლობელი ვარ, რომ წყალში წაქცევას გადამარჩინე, – გაუღიმა ანიმ ვაჟს.

– ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, მეგობრებს კი სახლში ეპატიჟებიან, შენ არ დამპატიჟებ?

– უკვე გვიანია, თანაც ბებია რას იტყვის!

– ჯერ ათიც არ არის, დარწმუნებული ვარ ბებიას გაუხარდება ჩემი სტუმრობა.

– კარგი, ავიდეთ, მაინც არ მომეშვები! – უპასუხა ანიმ...

– მოხვედი, ბებო გენაცვალოს, სადა ხარ ამდენ ხანს, დამაწყდა თვალები შენს ლოდინში, – ანის დანახვით გამოწვეულ სიხარულს ვერ მალავდა მოხუცი.

– ბებო, გაიცანი, ეს ბეგია! – ბებიამ სათვალე გაისწორა, ვაჟს გამოწვდილი ხელი ჩამოართვა და ყურადღებით აათვალ-ჩაათვალიერა. მოეწონა ბებიას ჯან-ღონით სავსე, მშვენიერი აღნაგობის ახალგაზრდა კაცი და ოთახში შეიპატიჟა.

ბეგი ყურადღებით ათვალიერებდა თანამედროვე, ძვირფასი ავეჯით გაწყობილ ბინას, სიამოვნებდა იდეალური სისუფთავე და იშვიათი ანტიკვარული ნივთების სიმრავლე.

– ბეგი, შენ და ბებიამ საუბრით თავი შეიქციეთ, მე სამზარეულოში გავალ, ვახშამს მოვამზადებ.

– ახალგაზრდავ, მოხარული ვარ თქვენი სტუმრობით, მე თქვენს შესახებ ბევრი რამ ვიცი, ანი თითქმის ყოველ დღე მესაუბრება თქვენზე. ჩემი გოგო პატივის გცემთ და ძალიან გაფასებთ, მეც ერთი სული მქონდა როდის გაგიცნობდით, უნდა გამოგიტყდეთ კარგი ახლაგაზრდა ჩანხართ, მიხარია, ჩემს ეშმაკისფეხა გოგოს კარგი გემოვნება რომ ჰქონია.

ბეგი ვერ წარმოიდგენდა, თუ ასეთი იღბლიანი დღე გაუთენდებოდა. ის უზომოდ კმაყოფილი იყო ამ სათნო, განათლებულ მოხუც ქალბატონთან საუბრით.

– ბეგი, შენ იცი შვილო, რომ ანის მშობლები რუსეთში არიან გადახვეწილნი, აქ ჩემს მეტი არავინ ჰყავს, ძალიან მეიმედები, არავის დააჩაგვრინო ჩემი გოგო, ცოტა ფიცხი ხასიათი აქვს, თამამიც არის, ამაყიც, მაგრამ ძალიან კეთილი და მოსიყვარულეა, ბებო ენაცვალოს.

– აბა, რას მუსაიფობთ, ჩემზე ხომ არ ჭორაობთ, გეყოფათ, სხვა დროს იჭორავეთ, წამოდით, ვახშამი მზადაა! – თქვა ანიმ და ორივე სამზარეულოში, მაგიდასთან მიიწვია.

– ბეგი, ოჯახში პირველად შემოხვედი, ხომ დაილოცები, თუ პატრული გაგაჩერებს, აქ რომ არ დალიო, ისედაც დაგაჯარიმებენ! – უთხრა ანიმ და შამპანურით სავსე ბოკალი მიაწოდა.

ბეგიმ გონების თვალი შეავლო მის მეხსიერებაში დალექილ საუკეთესო სადღეგრძელოების ნუსხას და მისგან ჯერ არ თქმული, უძვირფასესი სიტყვებით შემკული სადღეგრძელოთი დალოცა მისთვის ესოდენ პატივსაცემი ოჯახი. ბებია, ბეგის ლოღიკითა და გონიერებით უფრო მეტად მოიხიბლა და გახარებულმა აღარ იცოდა რითი ესიამოვნებინა ახალგაზრდა კაცისათვის. ვაჟი უზომოდ კმაყოფილი იყო ამ იღბლიანი, უმშვენერიესი საღამოს კეთილი დასასრულით.

მეორე დღეს ბეგიმ დილიდანვე დაურეკა ანის და კაფეში, ფინჯან ყავაზე დაპატიჟა, ანიმ სიხარულით მიიღო მისი მიპატიჟება. საკმაო ხანს იტრიალა სარკის წინ, თავი მოიწესრიგა, გალამაზდა და ბეგისთან შეხვედრაზე წასასვლელად მოემზადა.

– ასე ადრე მოპრანჭულ-მოკაზმული სად მიდიხარ? – ჰკითხა ბებიამ.

– ბეგიმ ყავაზე დამპატიჟა, შენ წინააღმდეგი ხომ არა ხარ რომ წავიდე? – გამომწვევად ჰკითხა ანიმ ბებიას, იცოდა რა მოხუცი კეთილად იყო ბეგის მიმართ განწყობილი.

– აბა, ბეგისთან წასვლას როგორ დაგიშლი, ის წესიერი და თავაზიანი ახალგაზრდაა, თანაც შენს მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს, – მიუგო ბებიამ და ქალიშვილი კარამდე მიაცილა, ანი მოეხვია ბებიას და დაემშვიდობა.

ანიმ და ბეგიმ კაფეში ისაუზმეს, თითო ფინჯანი ყავა დალიეს და გადაწყვიტეს რუსთაველზე ფეხით გაესეირნათ.

– ახლა ჩემი ბინა მინდა ნახო, ხომ უნდა იცოდე სად ვცხოვრობ! – უთხრა ბეგიმ ქალიშვილს, ხელკავი გამოსდო და იმ ქუჩისკენ გაუხვიეს, სადაც ბეგის ბინა ჰქონდა დაქირავებული. ერთ ოთახიანმა, მაგრამ საოცრად მოწესრიგებულმა ბინამ, კარგი შთაბეჭდილება დატოვა ანიზე. ოთახში ყველა ნივთს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. სამზარეულოც სანიმუშოდ იყო მოვლილი. ანი განცვიფრებასა და კმაყოფილებას ვერ მალავდა ბინაში არსებული წესრიგის გამო.

– ნუთუ ამ ყველაფერს შენ აკეთებ, თუ ასეა, მისაბაძი მამაკაცი ყოფილხარ!

– წესრიგსა და სისუფთავეს დედა პატარაობიდანვე გვაჩვევდა მე და ჩემს ძმას. მას შემდეგ, რაც ის გარდაიცვალა, ოჯახში მხოლოდ კაცები დავრჩით, ავად თუ კარგად, სხვა საქმეებთან ერთად, საოჯახო საქმეებსაც ჩვენ ვაკეთებდით, – უპასუხა ბეგიმ ქალიშვილს.

ანი ყოველ დღე ამჩნევდა ამ ახალგაზრდა კაცის ხასიათსა და ქცევებში ახალს და პოზიტიურს, რაც მას, როგორც ქალს, ძალიან ახარებდა და ბეგისთან ოჯახის შექმნის სურვილი უფრო და უფრო ეძალებოდა. დღე ისე არ გავიდოდა ბეგის და ანის ერთმანეთი რომ არ ენახათ, მათ ერთად ყოფნა მოთხოვნილებად გადაექცათ. როცა ბეგი გერმანიაში მიდიოდა და იქ რამდენიმე დღე რჩებოდა, ანი მოსვენებას კარგავდა და მის მოლოდინში ათენ-აღამებდა.

– დღეს ფოთის პორტიდან დამირეკეს, გემი ჩამოსულა, ხვალ მომიწევს წასვლა მანქანის ჩამოსაყვანათ, – უთხრა ბეგიმ ანის.

– მეც წამოგყვები, დიდი ხანია ფოთში არ ვყოფილვარ.

– ცუდი ამინდებია, თანაც საკმაოდ ცივა, უმჯობესია თბილისში დარჩე, დილით წავალ და საღამოს აქ ვიქნები, – ურჩია ბეგიმ.

– კარგი, რახან არ გინდა ჩემთან ერთად მგზავრობა, აქ დავრჩები, – ღიმილნარევი წყენით უთხრა ქალიშვილმა.

ბეგი შუადღემდე საბუთების გაფორმებას მოუნდა, შემდეგ მანქანა კონტეინერიდან გადმოიყვანა და დაათვალიერა. ნოემბრის სუსხიანი დღე იყო, დილიდანვე წვიმდა, ცუდი ამინდის გამო გზებზე ტრანსპორტს მოძრაობა უჭირდა. ბეგიმ კიდევ ერთხელ შეამოწმა მანქანა, დარწმუნდა, რომ დაზიანებული არაფერი ჰქონდა, ძრავი ჩართო და თბილისისკენ აიღო გეზი. ცუდი ამინდის გამო გზებზე გახშირებული იყო საცობები...

ანის მშობლები აპირებდნენ მცირე ხნით თბილისში ჩამოსვლას, ბეგის გადაწყვეტილი ჰქონდა მათთან ოჯახში მისვლა, რათა მშობლებისათვის ქალიშვილის ხელი ოფიციალურად ეთხოვა. გზაში გეგმებს აწყობდა, თუ როგორ უნდა მოეგვარებინა ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე. წვიმამ იკლო, ტრანსპორტმაც უფრო ინტენსიურად დაიწყო მოძრაობა, თუმცა გზა

ისევ სველი და სახიფათო იყო. ფიქრებში გართულმა ბეგიმ ვერ შეამჩნია, როგორ მოუმატა მანქანამ სიჩქარეს, უცებ სამშენებლო მასალით დატვირთული ტრაილერი მოცურდა, სავალი ნაწილის ღერძულა ხაზი გადაკვეთა და საპირისპიროდ მოძრავი მერსედესის მხარეს გადავიდა. ბეგი უცბად გამოერკვა ფიქრებიდან, მანქანები მცირე მანძილით იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებული, შეჯახება გარდაუვალი იყო. ბეგიმ მარჯვნივ აიღო საჭე და მკვეთრად დაამუხრუჭა. მერსედესი ტრაილერთან შეჯახებას გადაურჩა, მაგრამ მკვეთრმა დამუხრუჭებამ გადაიყვანა გზის გვერდითა მხარეს, დამრეც ფერდობზე და რამდენჯერმე გადაბრუნდა. ამ საგზაო შემთხვევის გამო შეიქმნა საცობი, ავტომობილებს ჩახერგილი ჰქონდათ გზის სავალი ნაწილი. დამტვრეული მერსედესიდან გონებადაკარგული, თავგატეხილი და ქვედა კიდურებ-მოტეხილი ბეგი ფრთხილად გადმოიყვანეს. მალე რეანიმობილი გამაყრუებელი სიგნალით თბილისისკენ მიჰქროდა.

რესპუბლიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიური განყოფილების მოსაცდელში ბეგის ახლობლები ერთმანეთს ანუგეშებდნენ. მამა და უმცროსი ძმა მოუთმენლად ელოდნენ ექიმის ნებართვას, რათა ბეგისთან პალატაში შესულიყვნენ. ავადმყოფი უგონო მდგომარეობაში იყო, ის ჯერ კიდევ აპარატზე იყო მიერთებული. ექიმები ყოველდღე ელოდნენ კრიზისის დაძლევას და მის გონზე მოსვლას. ოპერაციის შედეგად გამოვლინდა, რომ ავადმყოფს მძიმე ტრავმის მიუხედავად, თავის ქალის სასიცოცხლო ორგანოები დაზიანებული არა ჰქონდა, რაც მისი მდგომარეობის გაუმჯობესების იმედს იძლეოდა.

ბეგის საავადმყოფოში მოთავსების პირველივე დღიდანვე ანი მის პალატას არ მოშორებია, ხოლო როცა მას ავადმყოფის ნახვის ნება დართეს, მას მერე პალატიდან აღარ გამოსულა. ანის თუკი რამ თანხა ჰქონდა, არცერთი თეთრი არ დაუშურებია ბეგის გამოსაჯანმრთელებლად. ოპერაციის ხარჯები მთლიანად მან გაიღო.

ორი კვირის თავზე ავადმყოფს უკეთესობა დაეტყო. ანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ტირილისაგან ცრემლიანი

და დაღლილი სახე დაუმშვიდდა. სახეზე ღიმილი მოეფინა. ახლა უკვე მოურიდებლად ეფერებოდა მისთვის საყვარელ არსებას, აღარც ექიმებს უკვირდათ ქალიშვილის ასეთი ქმედება, რადგან იცოდნენ, რომ ის ბეგის საცოლე იყო და დაქორწინებას აპირებდნენ. კიდევ ორი კვირა დარჩა ბეგი საავადმყოფოში, გაწერის შემდეგ წოლითი რეჟიმი და სათანადო მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა ავადმყოფს. ანიმ ბეგი თავის სახლში გადაიყვანა და მასზე ზრუნვა თავის თავზე აიღო, ან კი სხვა ვინ მოუვლიდა ბეგის, მას ხომ მამისა და უმცროსი ძმის მეტი ახლობელი არავინ ჰყავდა. გადიოდა დღეები, ბეგის ჯანმრთელობა თანდათან უმჯობესდებოდა. ერთი თვის თავზე ყავარჯნების გარეშე გაიარა. ანი ყურადღებას არ აკლებდა ბეგის და უხაროდა რომ მისი ზრუნვა უშედეგო არ იყო. ანის მშობლებიც გაგებით ეკიდებოდნენ თავიანთი ქალიშვილის არჩევანს და უფრო მეტ დახმარებას უწევდნენ, რათა ბეგი სრულად გამოჯანმრთელებულიყო. განვლო კიდევ ერთმა თვემ და ბეგი ისევ დაუბრუნდა თავის საქმიანობას, თუმცა სრულად ჯერ კიდევ არ იყო გამოჯანმრთელებული, ამიტომ თამაზი საქმის ძირითად სიძნელეებს თავის თავზე იღებდა. ბეგი მხლოდ უმნიშვნელოდ იყო დატვირთული.

გაზაფხულის მზიანი დღე ათბობდა არემარეს. ფერად-ფერადად აყვავებულიყვნენ ხეხილის ბაღები, ირგვლივ იასამნის საამო სურნელი იდგა. ბეგის გერმანიიდან ჩამოყვანილი მანქანა საგანგებოდ გაერეცხა და ბაზარზე გასაყვანად ამზადებდა. მანქანის კაპოტზე, „ვიბროზე“ დაყენებული ტელეფონი ათამაშდა, ბეგიმ დახედა, ანი რეკავდა.

– გისმენ, რა ხდება? – ანი სიხარულისაგან ღელავდა და სხაპასხუპით ეუბნებოდა ბეგის.

– ჩემი მშობლები მოფრინავენ ხვალ მოსკოვიდან, შენი გაცნობა უნდათ, აეროპორტში უნდა დავხვდეთ.

ბეგის გაუხარდა, როგორც იქნა შეხვდებოდა ანის მშობლებს და გულითად მადლობას გადაუხდიდა იმ დახმარებისა და სიკეთის გამო, რაც მათ სრულიად უცნობი კაცის მიმართ გასწიეს. გარდა ამისა, ბეგის უფრო მნიშვნელოვანი სათქმელი და სათხოვარი ჰქონდა ანის მშობლებისათვის.

აეროპორტში მოსკოვი-თბილისის რეისის დაშვება გამოაცხადეს, ქალიშვილი მოუთმენლად ელოდა მშობლების გამოჩენას, ორი წელია, რაც ანის დედ-მამა არ ენახა. ანიმ შენიშნა მშობლები, მათკენ გაემართა და ორივე გულში ჩაიკრა. ბეგი მორიდებით იდგა მოსაცდელ დარბაზში, ანი და მისი მშობლები მას მიუახლოვდნენ.

– მამა, გაიცანი ეს ბეგია! – წარუდგინა ქალმა სასიამოვნო გარეგნობის, წარმოსადეგი ახალგაზრდა. მამამისმა, სანდომიანი სახის, ჭაღარაშერეულმა მამაკაცმა ხელი ჩამოართვა ბეგის და გაეცნო. არჩილს მოეწონა ბეგი და მხარზე მეგობრულად მოჰხვია ხელი. არც ანის დედა, თამარი დარჩა გულგრილი ბეგის მიმართ. ბეგიც გულთბილად და თავაზიანად მიესალმა და გაეცნო მომავალ სასიდედროს.

იმ საღამოს არჩილის ოჯახში მისმა უახლოესმა ნათესავებმა და მეგობრებმა მოიყარეს თავი. ყველა სტუმარი ბეგის ყურადღებითა და პატივისცემით ექცეოდა, ბეგიც შესაშურ თავაზიანობას იჩენდა ანის ნათესავების მიმართ. ვაჟმა ბოდიშის მოხდით, მცირე ხნით ყურადღება ითხოვა. სტუმრები სასიამოვნო ამბის მოლოდინში გაირინდნენ. ბეგიმ ანის ხელი მოჰკიდა, სუფრის თავში მჯდომ არჩილთან მიიყვანა და ქალიშვილის ხელი ოფიციალურად სთხოვა. არჩილი დაეთანხმა, ორივეს მოეხვია და ლოყაზე სიხარულის ცრემლი ჩამოუგორდა. მეუღლის თანხმობას თამარიც შეუერთდა და მომავალი სიძე და ქალიშვილი გულში ჩაიკრა. ოჯახის უდიდეს სიხარულს ანის ბებიაც უზომოდ განიცდიდა და ქალ-ვაჟს გულში იხუტებდა. არჩილმა ბეგისა და ანის დიდებული ქორწილი გადაუხადა და სიძე-ქალიშვილი საქორწინო მოგზაურობაში გაისტუმრა...

ბეგი საცხოვრებლად ანისთან გადავიდა. ანიმ დაამთავრა უნივერსიტეტი და ახლობლების დახმარებით ბანკში დაიწყო მუშაობა. ბეგი ისევ მანქანების ჩამოყვანითა და ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული, საქმეს არ ემდუროდა და სარგებელიც საკმაოდ რჩებოდა. წლის თავზე ქალიშვილი შეეძინათ. ვინაიდან გოგონა აგვისტოს ბოლოს, მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე დაიბადა, მშობლებს ბევრი არ უფიქრიათ სახელის შერჩევაზე და პატარას მარიამი დაარქვეს.

იზრდებოდა მარიამი უზრუნველად და მშობლების უსაზღვრო სიყვარულით გარემოცულს, თვითონაც უზომოდ უყვარდა დედ-მამა, განსაკუთრებით მამის მიმართ ამჟღავნებდა სიყვარულს, ალბათ იმიტომ, რომ ბეგის ხშირად უხდებოდა რამდენიმე დღით ოჯახის დატოვება საქმიანობის გამო, მამას მონატრებული მარიამი დაბრუნებულ ბეგის კისერზე ჩამოეკიდებოდა და სანამ კოცნითა და მოფერებით არ მოისურვილებდა, არ სცილდებოდა. ანი სიხარულით შეჰყურებდა მამა-შვილის უსაზღვრო სიყვარულს და ბედნიერებით აღსავსე, კმაყოფილებას ვერ მალავდა...

ბინდდებოდა, ბეგის გერმანიიდან გამოგზავნილი მანქანა ფოთიდან თბილისში მოჰყავდა. გამოსცდა თუ არა ზესტაფონს, ფარები აანთო, უცებ შენიშნა გაჩერებული BMW-ს მარკის ბოლო მოდელის მანქანასთან ქალი იდგა და გამვლელ მანქანებს ხელის აწევით სთხოვდა გაჩერებას. ბეგიმ სვლას უკლო და მანქანა გააჩერა.

– საბურავი დამეშვა, იქნებ დამეხმაროთ! – სთხოვა მას ქალმა.

ბეგი მანქანიდან გადმოვიდა. BMW -ს უკანა საბურავი ჰქონდა დაშვებული.

– სათადარიგო საბურავი თუ გაქვთ? – ჰკითხა ბეგიმ ქალს.

– ალბად იქნება, ეს მანქანა ორი კვირაა, რაც ვიყიდე. წესიერად არც ვიცი სად რა დევს, – უპასუხა ქალმა და საბარგულის გასაღები მიაწოდა, ბეგიმ საბარგულიდან სათადარიგო საბურავი ამოიღო და საქმეს შეუდგა. სულ რაღაც ოცი წუთი დასჭირდა ბეგის საბურავის გამოსაცვლელად. ქალი კმაყოფილი იყო ამ ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცის ყურადღებითა და დახმარებით.

– თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რა სიკეთე გამიკეთეთ.

– რას ბრძანებთ, ქალბატონო, ამ დროს გაჭირვებაში მყოფის დახმარება, თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა.

– მე მაინც არ მინდა თქვენი უპატივისცემოდ დატოვება, აი, აიღეთ! – თქვა ქალმა და ხელჩანთიდან ამოღებული 100 დოლარი გაუწოდა ბეგის.

– რას კადრულობთ?! მე იმიტომ კი არ გავაჩერე მანქანა და დაგეხმარეთ საბურავის გამოცვლაში, რომ თქვენგან ფული ავიღო! – იწყინა ბეგიმ და თავისი მერსედესისკენ წავიდა. ქალი მიხვდა, რომ კაცს კადნიერად მოექცა და ბოდიში მოუხადა. ბეგის ასეთმა ქცევამ ქალი მოხიბლა, მოეწონა მისი ჯენტლმენური საქციელი და მისდამი ინტერესი მოეძალა.

– ერთი წუთით, თუ შეიძლება, – უთხრა ქალმა და კაცს მიუახლოვდა, ბეგი შემობრუნდა და ქალს ყურადღებით შეხედა, მის წინ ოცდაათიოდე წლის მშვენიერი აღნაგობის, ლამაზი ქალბატონი იდგა.

– ამაზე მაინც ნუ მეტყვით უარს! – უთხრა ქალმა და თავისი სავიზიტო ბარათი გაუწოდა კაცს.

ბეგიმ ჩამოართვა ბარათი და მანქანაში ჩაჯდა.

– იქნებ თქვენც მოგეცათ თქვენი სავიზიტო ბარათი, – თავაზიანად სთხოვა ქალმა, ბეგიმ სიგარეტის კოლოფიდან ბოლო ღერი ამოიღო, მოუკიდა, შემდეგ საწერი პასტით ცარიელ კოლოფზე თავისი მისამართი, ტელეფონის ნომერი დაწერა და ქალს გაუწოდა, თან მოუბოდიშა, რადგან სავიზიტო ბარათი არ ჰქონდა. ქალმა გაუღიმა კაცს, სიგარეტის ცარიელი კოლოფი ხელჩანთაში ჩადო და დაემშვიდობა. თბილისამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილი იყო გასავლელი.

– რამ მოაფიქრებინა ფულის მოცემა, რა შემატყო, ნუთუ ასე დაგლახავებულად გამოვიყურები, რომ ეს მაკადრა, – ფიქრობდა ბეგი და ქალზე ბრაზი მოსდიოდა.

– მაინც ვინ ბრძანდებოდა ასე მედიდურად რომ მომექცა, როგორც ჩანს შეძლებული ქალი უნდა იყოს, ბოლო მოდელის BMW საკმაოდ ძვირი ღირს! – თქვა ბეგიმ, მანქანის წინა პატარა საბარგულში ჩადებული ქალის სავიზიტო ბარათი ამოიღო და დახედა – ნუცა მუხრანელი, სასტუმროებისა და რესტორნების ქსელის მეპატრონე, წაიკითხა ბეგიმ და მისამართს დახედა, მისამართით მიხვდა, რომ ქალს დედაქალაქის ელიტარულ უბანში ჰქონდა ბინა.

– აი, თურმე რატომ იყო ეს ქალბატონი ასე გულუხვი! – თქვა ბეგიმ და სიგარეტს მოუკიდა.

კვირა დღე იყო, ბეგი ჩამოყვანილ მანქანას უკირკიტებდა, ძირისძირობამდე ამოწმებდა და ცდილობდა არაფერი გამოპარვოდა, რათა ბაზარზე გაყვანილი მანქანა, კლიენტს რომ მოსწონებოდა, უნაკლო უნდა ყოფილიყო, ის იყო ბეგიმ მანქანის შემოწმება დაამთავრა, რომ ტელეფონის ზარმა დარეკა. ბეგის ნომერი ეუცხოვა.

– ნუცა ვარ, მუხრანელი, გახსოვს საბურავი რომ გამოცვალე ჩემს მანქანაზე, მაშინ ისე უეცრად დავშორდით ერთმანეთს, რომ წესიერად მადლობაც ვერ გადაგიხადე, ნამდვილად არ ვარ უმადური ქალი, გთხოვთ, პატივი დამდოთ და დღეს საღამოს ოჯახში მეწვიოთ. ბეგი არ მოელოდა ასეთ სიურპრიზს ამ უცხო ქალისგან და ვერ გადაეწყვიტა რა ეპასუხა მისთვის, ბოლოს გაიაზრა, შეძლებული ქალბატონია, იქნებ ჩემს მოკრძალებულ ბიზნესს რამეში წაადგეს, მითუმეტეს თვითონ მთხოვს ურთიერთობას. ბეგიმ მიიღო მუხრანელის მიპატიჟება და დაჰპირდა, რომ აუცილებლად ეწვეოდა.

– ასე საგანგებოდ რომ გამოეწყვე, სად მიბრძანდები, საყვარელო? – ჰკითხა ანიმ მეუღლეს და ალერსიანად ლოყაზე ეამბორა.

– საქმიანი შეხვედრა მაქვს, ძვირფასო, შეიძლება ჩემს ბიზნესს დღევანდელი შეხვედრა ძალზედ წაადგეს, – უპასუხა ბეგიმ და მეუღლის ამბორს კოცნით უპასუხა.

– მამიკო, მალე მოდი, თორემ უშენოდ არ დავიძინებ! – ატიტინდა პატარა მარიამი და მამას გულზე მიეხუტა.

– მალე მოვალ, ჩემო სიცოცხლე და ძილის წინ საინტერესო ზღაპარს მოგიყვები.

ბეგი მოსიყვარულე ცოლ-შვილს მოეფერა და კარი გაიხურა.

ბეგის ასე მდიდრულად მორთული, სამოთხის მსგავსი ეზოთი მოწყობილი, საუცხოო სახლ-კარი ჯერ არ ენახა. ნუცა თავის ორ მეგობარ ქალბატონთან ერთად მაგიდასთან იჯდა და საუბრობდა.

– აი, ჩემი მშველელიც მობრძანდა! – წარმოსთქვა ნუცამ და ბეგის მიეგება, ხელკავი გამოსდო და მეგობრებს წარუდგინა.

– გაიცანით, ეს ბეგი ჯანდიერია.

ქალბატონებმა მოურიდებლად აათვალ-ჩაათვალიერეს სიმპათიური ახალგაზრდა და კმაყოფილებმა ნუცას გაუღიმეს. მათი ღიმილი დასტური იყო იმისა, რომ ნუცას უქებდნენ ამ ახალგაზრდა კაცის გაცნობას და დაახლოების მცდელობას.

ბეგის ქალებთან თავაზიანი მოქცევა, საუცხოო მანერების დემონსტრირება და გონივრული სიტყვა-პასუხი არ ესწავლებოდა. მან შეიტყო, რომ ამ წარმოუდგენლად მდიდრული სახლ-კარის და კიდევ სხვა უძრავ-მოძრავი ქონების პატრონი მხოლოდ ნუცა იყო. მას მეუღლე ავტოკატასტროფაში დაღუპვოდა, შვილი არ ჰყავდა და მარტოდ დარჩენილი, მეგობრების გარემოცვაში პოულობდა შვებას. ქალბატონებმა წასვლა გადაწყვიტეს და ბეგისა და მის მასპინძელს თავაზიანად დაემშვიდობნენ.

ნუცამ საცეკვაო მუსიკა ჩართო და ბეგის მიუახლოვდა, ორივე ხელი კისერზე მოხვია და მკერდზე მიეკრა. ბეგი არ მოელოდა მისგან ესოდენ გაბედულ სითამამეს, ქალმა იგრძნო ვაჟის უხერხულობა და უფრო მეტად მიეხუტა. ქალის სხეულით გამოწვეულმა სიამოვნებამ ბეგის ვნება მოჰგვარა.

– თქვენ, ამ სიმდიდრისა და მშვენიერი გარეგნობის მქონე ქალი, მარტოობას არ იმსახურებთ! – ყურში ჩასჩურჩულა ბეგიმ ქალს.

– რატომ ვარ მარტო, შენ ხომ ჩემთან ხარ! – უთხრა ნუცამ ვაჟს და ტუჩებში აკოცა. ბეგიმ ხელში აიყვანა ქალი და ერთურთს ჩახუტებულნი, ორივე ვნებიანი ალერსის ტყვეობაში აღმოჩნდა...

– აღარ მახსოვს ბოლოს როდის განვიცადე ასეთი სიამოვნება, შენ მართლაც შეუდარებელი ხარ! – აღტაცებული ნუცა კმაყოფილებას ვერ მალავდა განცდილი სიამოვნების გამო.

ბეგიმ კმაყოფილებით სავსემ, ვნებებისგან დაცლილმა, დატოვა ნუცას სასახლე და შინ, ცოლ-შვილთან დაბრუნდა.

ამ შეხვედრის შემდეგ ბეგი ხშირად სტუმრობდა ნუცას, რომელიც ბეგის მომსახურებას დიდსულოვნად აფასებდა და გულუხვად აჯილდოებდა, ბეგიც ძალასა და ენერგიას არ იშურებდა ლამაზი და ვნებამოძალებული ქალის მიმართ.

ანის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ოჯახის ფინანსური მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება, ბეგის მოკრძალებული ბიზნეს საქმიანობისადმი თავდაუზოგავი შრომის შედეგი იყო...

ნუცა თავის მეგობრებთან ერთად დაბადების დღეს აღნიშნავდა.

– ეს მომხიბვლელი, ახალგაზრდა კაცი ვინ არის? – იკითხა ნუცას მეგობარმა ლიზიმ და ბეგი მოურიდებლად აათვალჩაათვალიერა.

– ეს ჩემი ახალი სიყვარულია! – ამაყად უპასუხა ნუცამ ლიზის და ბეგის ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა.

– მაგარი ვინმე ჩანს!

შეუქო არჩევანი ლიზიმ მეგობარს.

– ჰო, კარგი ულაყია, საწოლში ისე ირჯება წუნს ვერ დასდებ, ჯერ კმაყოფილი ვარ, მერე ვნახოთ, თუ მის მიმართ ინტერესი გამინელდა, შემიძლია დაგითმო კიდეც, – ღიმილით უპასუხა ნუცამ ლიზის, შემდეგ სავსე შამპანურის ბოკალი ლიზის ბოკალს მიუჯახუნა და მრავლისმეტყველად იკითხა,

– ვის გაუმარჯოს?

ლიზის სადღეგრძელოს მოსაფიქრებლად დრო არ დასჭირვებია.

– ულაყს გაუმარჯოს! – მიუგო ნუცას და სავსე ბოკალი ბოლომდე გამოსცალა.

– თუ წინააღმდეგი არ იქნები, შენს რჩეულთან ვიცეკვებ!

– რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მიდი, გაეკეკლუცე! – მიიღო ნებართვა ლიზიმ ნუცასგან.

ლიზი ბეგის მიუახლოვდა და საცეკვაოდ მიიპატიჟა. ვაჟმა სიამოვნებით მიიღო მომხიბლავი ქალბატონის მიწვევა.

– მე ნუცას ახლო მეგობარი ვარ, რატომ აქამდე არ მინახიხართ?

– მე და ნუცა მხოლოდ ერთი თვეა, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, – უპასუხა ზედმეტად ცნობისმოყვარე ქალბატონს ბეგიმ. ლიზი ზოგჯერ ისეთ ინტიმურ შეკითხვებს აძლევდა მას, რომ ქალის ზომაზე მეტად თამამი ინტერესი მის მიმართ, უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ბეგის. ის მიუხვდა, თუ რატომ ეკეკლუ-

ცებოდა ასე ეს მოურიდებელი ქალბატონი, თუმცა მისახვედრი არც არა იყო რა, ქალმა პირდაპირ შესთავაზა მას ინტიმური ურთიერთობა. ბეგის არ ეპიტნავა ამ თავდაჯერებული ქალის თამამი წინადადება და მის შეთავაზებას უარით უპასუხა.

ლიზის ბეგის უარმა ხასიათი წაუხდინა, თუმცა არ შეიმჩნია. ეს პირველი შემთხვევა იყო, ისეთ ელეგანტურ და მომხიბვლელ ქალს, როგორიც ლიზი იყო, კაცი ინტიმზე უარს ეუბნებოდა. ლიზიმ გაბედული და მოურიდებელი საუბრის გამო ბეგის ბოდიში მოუხადა და ნუცასთან დაბრუნდა. ნუცამ მეგობარს სახეზე უკმაყოფილება შეატყო.

– ხომ არ გაწყენინა, რაღაც ხასიათზე აღარ ხარ! – ჰკითხა ნუცამ.

– ნამეტანი თავდაჯერებულია, ამაყი, თან ცოტა ამპარტავანიც ჩანს, ფლირტზე უარი მითხრა, ასეთ რამეს კი მე კაცებს არ ვპატიობ! – ბოლო სიტყვები მკაცრად წარმოსთქვა ლიზიმ და სასმელს მიეძალა.

ბეგიმ მოუხშირა ოჯახში დაგვიანებებს, ანი თავდაპირველად ყურადღებას არ აქცევდა სახლში მის გვიან მისვლას. მამის დაგვიანებებს განიცდიდა პატარა მარიამიც, რომელსაც მამა უსაზღვროდ უყვარდა. ანი თანდათან ამჩნევდა, ქმრის გულგრილ დამოკიდებულებას მის მიმართ, საწოლში აშკარად ეტყობოდა ბეგის, რომ ცოლის მიმართ ვნება განელებოდა, აღარც მოფერებითა და ალერსით ანებივრებდა მეუღლეს.

არც ბეგისა და ნუცას ურთიერთობა იყო სიყვარულითა და გრძნობით სავსე. ბეგი დღითიდღე რწმუნდებოდა, რომ ნუცას ის მხოლოდ ლოგინში სჭირდებოდა, თავისი მოჭარბებული ვნებების დასაკმაყოფილებლად, თვითონ, როგორც ღირსებით სავსე პიროვნება, ნუცასთვის არაფერს წარმოადგენდა. კაცი გრძნობდა, რომ ქალს ნებისმიერ დროს შეეძლო მისი, როგორც უსარგებლო ნივთის თავიდან მოშორება., რადგან ქალი მის მიმართ არც სიყვარულს და არც პატივისცემას არ განიცდიდა.

ბეგისგან უარით გასტუმრებული და გაბრაზებული ლიზი, დროს უქმად არ ჰკარგავდა და ცდილობდა მისთვის სამაგიერო გადაეხადა. მან დიდი მცდელობის შედეგად შეიტყო, თუ სად

მუშაობდა ბეგის მეუღლე, ასევე გაიგო მისი ტელეფონის ნომერი...

– დღეს ფოთში მომიწევს წასვლა, გამოგზავნილი მანქანების საბუთებია მოსაწესრიგებელი, საღამოს დავბრუნდები! – უთხრა ბეგიმ მეუღლეს.

– ძალიან არ დაიგვიანო, დროზე ჩამოდი, ხომ იცი მარიამი უშენოდ არ იძინებს.

– ვეცდები მალე ჩამოვიდე! – მიუგო ბეგიმ, შემდეგ მარიამი კისერზე შეისვა და საბავშვო ბაღში წაიყვანა. ანი სამსახურში წავიდა. თვის ბოლო იყო, ბანკის თანამშრომლები საქმიანად ფუსფუსებდნენ. ანის სამუშაო მაგიდაზე საბანკო ოპერაციებისთვის საჭირო უამრავი ფურცლები ელაგა. ტელეფონის გაბმულმა ზარმა ანის საქმიანობა შეაწყვეტინა, მან მობილურის ეკრანს დახედა, ნომერი უცხო იყო. ტელეფონში უცნობი ქალის ხმა გაისმა.

– თქვენ ბრძანდებით ბეგი ჯანდიერის მეუღლე, ანი ჭკუასელი?

– დიახ! – უპასუხა ანიმ და კითხვა შეუბრუნა, – თქვენ ვინ ბრძანდებით? ვისთან ვსაუბრობ?

– ჩემს სახელსა და გვარს თქვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მე თქვენი კეთილისმსურველი ვარ, ყურადღებით მომისმინეთ, ქმარი გღალატობთ, თუ გნებავთ დარწმუნდეთ, ახლავე მიბრძანდით ამ მისამართზე, ის იქ დაგხვდებათ! – უთხრა უცნობმა ანის, მისამართი უკარნახა და მობილური გათიშა.

ანი გაოგნდა, თვალები ცრემლებით აევსო და ხმას არ იღებდა.

– რა დაგემართა, ცუდად ხომ არ ხარ? – ჰკითხა თანამშრომელმა.

– არა, არაფერია, გამივლის! – უპასუხა ანიმ და გაიფიქრა, იქნებ ვინმე ინტრიგანია და ჩემი ოჯახის სიმშვიდის დარღვევა სურს. თავს იიმედებდა ქალი, მაგრამ ბეგის ბოლოდროინდელი საეჭვო დაგვიანებები და თანაც ეს უცაბედი სატელეფონო ზარი, დამშვიდების საბაბს არ იძლეოდა.

Welcome

ანი მენეჯერს ერთი საათით დაეთხოვა და იმ მისამართზე წავიდა, სადაც სავარაუდოდ მისი ქმარი უნდა ყოფილიყო.

ნუცა და ბეგი ვნებიანი სექსით დაღლილნი და გათანგულნი ჯაკუზში ნებივრობდნენ და დაცლილ ენერგიას იღდგენდნენ.

კარზე ზარის ხმა გაისმა:

– ბეგი, ადექი, ჩაცმა არ გინდა, პირსახოცი შემოიხვიე ტანზე და კარი გააღე, ჩემი ადვოკატი იქნება, გუშინ შევუთანხმდი დღეს, ამ დროს უნდა მოსულიყო, ბიზნესთან დაკავშირებით პარტნიორებთან სადაო საკითხების მოგვარებაში მეხმარება.

ბეგი ამოვიდა ჯაკუზიდან, აბანოს პირსახოცი ტანზე შემოიხვია და კარი გააღო. მოულოდნელობისაგან ელდა ეცა, სახეზე ფერი წაუვიდა, ენა წაერთვა და თვალები გაუფართოვდა. ანი გაოგნებული უყურებდა ქმარს, ვერ წარმოედგინა უცხო ქალის სახლში, მისი ასეთ ფორმაში ყოფნა. ქალს სახეზე ზიზღი და სიბრაზე დაეტყო.

ნუცას კარგად არ ენიშნა კარის გახსნის შემდეგ საეჭვო დუმილი და ბეგის გასძახა:

– ბეგი, ვინ არის, რას გაჩუმებულხარ? – ნუცამ აღარ დაუცადა ბეგის პასუხს, ჯაკუზიდან ამოვიდა, სველ თმებზე პირსახოცი მოიხვია, ტანზე ხალათი შემოიცვა და კართან მივიდა. ანიმ შეხედა ნუცას, შემდეგ ბეგის ზიზღნარევი მზერა მიაპყრო:

– ნაძირალა ყოფილხარ, მეზიზღები! – გამოსცრა ანიმ და კიბეებზე დაეშვა.

– ბეგი, ვინ იყო ეს ქალი? – იკითხა ნუცამ.

– ჩემი ცოლი! – ამოილუღლუღა ბეგიმ და კარი მიხურა.

– მერე რა უფლება აქვს ჩემს სახლში დებოშს რომ ტეხს, ჩაცმულობაზე ეტყობა პროვინციალკაა, თუ ის აცოფებს, რომ მის ქმარს საყვარელი ჰყავს, თვითონაც გაიჩინოს, ისე, როგორც ქალს არა უშავს, უარს არავინ ეტყვის! – ჩაიქირქილა ნუცამ.

– როგორ ბედავ ჩემს ცოლზე ასეთ ლაპარაკს, ხმა ჩაიწყვიტე, შე ძუკნავ, თორემ ეხლავე ჯაკუზში ძაღლივით ჩაგახრჩობ! – დაიყვირა ბეგიმ და სიბრაზისაგან ანთებული თვალებით ქალს შეხედა. ნუცა არ მოელოდა ბეგისგან ასეთ უკმეხ მიმართვას, თვითონაც აღშფოთდა და ხმამაღლა მიახალა კაცს

– ეხლავე გაეთრიე ჩემი სახლიდან, შენი ფეხი აღარ ვნახო აქ, შე უმადურო! – ბეგიმ ტანთ ჩაიცვა და ნუცას სახლი უსიტყვოდ დატოვა. ეს ყოველივე ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ბეგი გაოგნებული იდგა ქუჩაში და არ იცოდა სად წასულიყო, საყვარელმა სახლიდან გამოაგდო, ოჯახშიც აღარ მიესვლებოდა, ან კი რა ნამუსით მივიდოდა ოჯახში, როგორ უნდა შეეხედა ცოლისთვის თვალებში, რა ეთქვა, როგორ მოფერებოდა პატარა მარიამს, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა.

– იქნებ მაპატიოს ანიმ, ბოდიშს მოვუხდი, მუხლებში ჩაუვარდები, ვიცი არ ვარ პატიების ღირსი, დამნაშავე ვარ, მაგრამ მე ვერ გავძლებ მათ გარეშე! – ფიქრობდა ბეგი და ამ ფიქრებში გართული მიადგა თავის სახლს, ზარის ღილაკს თითი დააჭირა და გულის ფანცქალით დაელოდა კარის გაღებას. ბეგის დანახვაზე ოთახიდან მარიამი გამოიქცა და მამას ყელზე მოეხვია. მამიკო მოსულა, ამბობდა პატარა და მამას სახეს უკოცნიდა.

ანი მცირე ხნით შებრუნდა ოთახში, იქიდან ორი ჩემოდანი გამოიტანა, გარეთ დააწყო და ბეგის მკაცრად განუცხადა:

– წაიღე შენი ბარგი, შენ ამ ოჯახში არაფერი გესაქმება, ჩვენი სახელი აღარ ახსენო, ჩვენთვის მკვდარი ხარ! – შემდეგ ბავშვი გამოართვა და კარი ცხვირწინ მიუხურა, – მარიამმა ტირილი დაიწყო.

– ჩემი მამიკო მინდა, დედიკო, რატომ გააგდე ჩემი კარგი მამიკო, მამიკოსთან მინდა! – ტიროდა პატარა და დახურულ კარს შიგნიდან აწყდებოდა, უნდოდა გაღება, მაგრამ კარის საკეტი იმდენად მაღლა იყო, რომ პატარა მას ვერ სწვდებოდა. ბავშვის ტირილზე ბეგის თვალები ცრემლებით აევსო, ჩემოდნები აიღო და ქვემოთ, კიბეებზე დაეშვა.

ბეგიმ ბინა იქირავა და ისევ მარტომ დაიწყო ცხოვრება, თუმცა ცოლ-შვილის გარეშე ყოფნა ძალიან უჭირდა. თითქმის ყოველ დღე დადიოდა საბავშვო ბაღში, მარიამთან, იმ დროს, როდესაც ბავშვებს ეძინათ, იდგა ბეგი მარიამის საწოლთან და მძინარე შვილს თვალებით ეფერებოდა, არ უნდოდა ბავშვს გაღვიძებულს ენახა მამა, რადგან იცოდა მარიამს ძალზედ უყვარდა ის და ნახვის შემდეგ მასთან განშორება გაუჭირდე-

ბოდა. პატარა ყოველ დღე ელოდა მამას და დედას ეკითხებოდა, თუ როდის დაბრუნდებოდა ის სახლში.

გავიდა რამდენიმე თვე, მარიამი ძლიერ განიცდიდა უმამობას, ასევე ძლიერ განიცდიდა ოჯახის დანგრევას მოხუცი ბებიაც, რომელიც მუდმივად სთხოვდა ანის, ბეგისთვის ეპატიებინა, რადგან მოხუციც გრძნობდა, რომ ბეგი არ იყო ცუდი ადამიანი, ეს შეცდომა იყო და ამ შეცდომის გამოსასწორებლად ანის მისთვის შანსი უნდა მიეცა. ბეგიმ თამაზი და მაგდაც მიუგზავნა ანის და პატიება სთხოვა. და-ძმა არწმუნებდა ანის, რომ ბეგის არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა ნუცასთან, მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი ცოლ-შვილი და უიმათოდ ვერ ძლებდა.

ანის ბეგის სახელის გაგონებაც არ სურდა. ის უზომოდ შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და არც მარიამის განცდებს, არც მოხუცი ბებიისა და არც მისი მეგობრების რჩევებს არ ითვალისწინებდა...

იმ დღეს ბეგი აეროპორტში იყო, გერმანიაში მიფრინავდა. თვითმფრინავის გაფრენამდე ერთ საათზე ოდნავ მეტი დრო იყო დარჩენილი. ბეგი მოსაცდელ დარბაზში იჯდა და რეგისტრაციას ელოდა. უცებ ტელეფონის ზარი აწკრიალდა, ბეგიმ მობილურის ეკრანს დახედა, ნომერი იცნო და სიხარულისაგან გულის ცემამ უმატა.

– სად ხარ?

– აეროპორტში, ფრანკფურტში მივფრინავ.

– შეგიძლია ცოტა ხნით სახლში მოხვიდე, ბავშვს ორმოცი აქვს სიცხე, ტირის მამა მინდაო, ვერ ვამშვიდებ.

ბეგიმ სასწრაფოდ დატოვა მოსაცდელი დარბაზი, გარეთ გამოვიდა და ტაქსი აიყვანა.

– ჩემი მამიკო მოსულა, ჩემი მამიკო! – სლუკუნებდა სიცხისაგან გავარვარებული მარიამი, მამას გულზე ეხუტებოდა და კოცნიდა.

– ხომ ისევ ჩემი მამიკო ხარ! ხომ ჩემთან დარჩები და აღარ მიმატოვებ? – ამბობდა მარიამი და მამას თავისი პატარა, სიცხისაგან დამშრალი ტუჩებით სახეს უკოცნიდა.

– შენი მამიკო ვარ, ჩემო სიცოცხლევ! – ეუბნებოდა ბეგი

ბავშვს, ცრემლიან თვალებს უკოცნიდა და გულში იკრავდა.

– ჩემთან რომ იქნები, დედიკოც აღარ გაგიბრაზდება, მიყვარხარ მამიკო, აღარსად გაგიშვებ! – სლუკუნებდა მარიამი და უსაზღვროდ ბედნიერი ყელზე ეხვეოდა მამას.

ანი შორიახლო იდგა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, შეჰყურებდა ერთმანეთის მოსიყვარულე და მოალერსე მამა-შვილს და გრძნობდა, რომ ისიც მათთან უნდა ყოფილიყო, უიმა-თოდ არც მის ცხოვრებას ჰქონდა აზრი. ანი მიუახლოვდა ბეგის, ზურგზე ხელით შეეხო, თავი კისერზე მიადო და ტირილი წასკ-და. ტიროდა ანი, ტიროდა მარიამი. ეს ის უიშვიათესი შემთხ-ვევა იყო, როდესაც ტირილი მწუხარებას არ გამოხატავდა, ეს დასრულებული მოლოდინის გამო სიხარულით აღსავსე ცრემ-ლები იყო. ბეგის თითქოს ბურთი მოაწვა ყელში, მოძალებულ გრძნობას ვეღარ გაუძლო, უპეებში მოზღვავებული ცრემლი ვეღარ დაეტია და ღაწვებზე ჩამოეღვარა.

ანიმ ტუჩები ბეგის მარჯვენა ყურთან მიუტანა და ჩასჩურ-ჩულა, – თვითმფრინავზე დაგაგვიანდა.

ბეგის თავი არ შემოუბრუნებია, ისე უპასუხა მშვიდად:

– სამაგიეროდ სახლში არ დამაგვიანდა, დროულად მოვედი და აღარასოდეს დავიგვიანებ!

უკვე ორი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ელიზბარ გვიმრაძე დამსახურებულ პენსიაზე გააცილა მშობლიური ფაბრიკის კოლექტივმა. პირველხანობას გაუჭირდა სახლში ყოფნა ყოფილ მთავარ ბუღალტერს. ერთ დილით, ჩვეულებისამებრ, წამოდგა ელიზბარი საწოლიდან და სამსახურში წასასვლელად სამზადისს შეუდგა. მისი მეუღლე, მარიამი შორიახლოს თვალყურს ადევნებდა მის გაფაციცებულ მზადებას, იგი ცრემლმორეული თვალებით მიუახლოვდა მას და თანაგრძნობით უთხრა:

– შენ მართლა დაბერდი, ელიზბარ! – შემდეგ ხელჩანთა მიაწოდა და პურისა და სხვა პროდუქტების შესაძენად სუპერმარკეტში წასვლა სთხოვა.

– აღარავის აღარ ვჭირდები, გამოუსადეგარ ნივთად ვიქეცი, ოჯახს იქით აღარაფერს წარმოვადგენ, ოჯახშიც მხოლოდ მოსამსახურედ გინდივართ, ხელის ბიჭივით ხან სად მაგზავნით და ხან სად, – ბუზღუნებდა ელიზბარი.

– ერთი ამას დამიხედეთ! შენ ის ბიჭი არა ხარ ორმოცი წლის წინ ცოლად რომ გამოგყევი, მაშინ კატეგორიულად განმიცხადე:

– შენი მუშაობა არ მჭირდება, დაჯექი სახლში, შვილები გაზარდე და ოჯახს მიხედეო. მას მერე შენი და შენი შვილების მოსამსახურე ვარ და სიტყვა არ დამცდენია ჩემს მდგომარეობაზე.შენ კი პენსიაში გასვლის შემდეგ ერთი ორჯერ თუ მარკეტში გაგაგზავნე, ამის გამო წუწუნებ?!

ელიზბარი მიხვდა, რომ მარიამი სიმართლეს ეუბნებოდა, უხმოდ ჩამოართვა ხელჩანთა და სუპერმარკეტისკენ გაემართა.

გვიმრაძე თავისი მრწამსითა და შეგნებით კონსერვატორი იყო. ძნელად ეგუებოდა ყოველგვარ სიახლეს, განსაკუთრებით არ მოსწონდა ახალგაზრდების ზღვარგადასული სითამამე და ზოგჯერ ურცხვი ქმედებები, თუმცა, კეთილსა და გულმოწყალე მოხუცს, ყველა უყვარდა და დიდსა თუ პატარას პატივისცემით ეპყრობოდა.

ელიზბარმა მოუხშირა ვაკის პარკში სიარულს. იქ, სხვა პენსიონერებთან, ხან ნარდით და ხან ჭადრაკით იქცევდა თავს. მოხუცი თანდათან შეეჩვია თავის მდგომარეობას, წუწუნს უკლო და ხუმრობას უმატა...

– ბაბუ, ბაბუ, დღეს თუ დრო გაქვს, ზოოპარკში წამიყვანე, – შეეხვეწა პატარა ნუციკო ელიზბარს.



– დროის მეტი რა მაქვს, ბაბუ, მეც რა კვარტლის ანგარიში მაქვს ჩასაბარებელი თუ, წავიდეთ! – უპასუხა ელიზბარმა შვილიშვილს და მეუღლეს გასძახა:

– მარიამ, ნუციკო გაამზადე, ზოოპარკში მიმყავს სასეირნოდ.

ბაბუა და შვილიშვილი ხელიხელჩაკიდებულნი მიუყვებოდნენ ზოოპარკისკენ მიმავალ გზას.

– ელიზბარ, დღეს არ მოდიხარ ჭადრაკის სათამაშოდ? შენთან რევანში მინდა ავიღო,

გასძახა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მიმავალმა ხანდაზმულმა მამაკაცმა, რომელსაც ხელში ხელჩანთა ეჭირა.

– დღეს არა მცალია ალექსი, შვილიშვილი მიმყავს სასეირნოდ, ხვალ გავასწოროთ ანგარიში! – უთხრა ელიზბარმა ახლადგაცნობილ მეგობარს და ნუციკოსთან ერთად ავტობუსში ავიდა, ხოლო ალექსი სუპერმარკეტში შევიდა, ხელჩანთა მოიმარჯვა, ჯიბიდან შესაძენი პროდუქტების სია ამოიღო და საქმეს შეუდგა.

კვირა დღე იყო. ზოოპარკში უამრავი ხალხი ირეოდა. დიდები თუ პატარები ყურადღებით ათვალიერებდნენ ვოლიერებში მომწყვდეულ ცხოველებს და მათ ხილითა და ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ. ელიზბარმა და ნუციკომ ძირისძირობამდე მოიარეს თითქმის მთელი ზოოპარკი, ბოლოს იმ განყოფილებას მიაშურეს, სადაც დახურულ, მინის ვოლიერებში განთავსებულნი იყვნენ: გიგანტური ობობები, საკმაოდ მოზრდილი მორიელები, ჭრელ-ჭრელი გველები და სხვა ფერად-ფერადი ქვეწარმავლები. ბაბუა და შვილიშვილი ყურადღებით ათვალიერებდნენ ზოოპარკის ამ უცნაურ და საშიშ ბინადართ. ელიზბარს ზურგს უკან ქალ-ვაჟის მხიარული საუბარი მოესმა. ისინი დაწინაურდნენ და ვოლიერთან ახლოს მივიდნენ. ქალიშვილს მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა და მოღიავებული კაბა ეცვა. ელიზბარს უნებურად თვალი ქალიშვილისაკენ გაექცა, გოგონას კისრის ქვემოთ, იქ, სადაც ხერხემალი იწყება, ფეხებით ჩაბღაუჭებოდა მორიელი, კუდი ზევით აეპრიხა და ადგილიდან არ იძვროდა. მორიელის დანახვაზე ელიზარს ელდა ეცა.

– ნუთუ ვერა გრძნობს, უკბენს ამ საცოდავს! – გაიფიქრა ელიზბარმა და საჩვენებელი თითი, მორიელის მოსაშორებლად, გოგონას ზუსტად იმ ადგილს შეახო, სადაც ეს შხამიანი არსება იჯდა.

– ქალიშვილო, კისერზე მორიელი გაზით, ფრთხილად, არ გიკბინოთ!

გოგონა უცაბედი, კადნიერი შეხების გამო, შემოტრიალდა. დაინახა რა მოხუცის შეწუხებული სახე, მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე, ელიზბარს გაუღიმა და მშვიდად მიუგო:

– ბაბუ, ეს მორიელი უვნებელია, არ იკბინება. ის ჩემი ზოდიაქოს ნიშანია.

ვაჟმა ხელი შეახო გოგოს კისერზე. ოდნავ ქვემოთ ჩამოაცურა, სადაც ეს შხამიანი არსება იყო ამოსვირინგებული, შემდეგ მორიელს რამდენჯერმე მოეფერა, დასტურად იმისა, რომ ის მართლაც უვნებელი იყო და არ იკბინებოდა. ელიზბარი გაოგნებული უყურებდა ქალიშვილს კისერზე, სადაც მორიელი წამოსკუპებულიყო.

სვირინგი ისე ოსტატურად იყო შესრულებული, რომ ნამდვილისგან ვერ გაარჩევდით.

– ბაბუ, წავიდეთ! სპილო არ გვინახავს, ისიც ვნახოთ! – შარვალზე ექაჩებოდა ნუციკო ბაბუას. ელიზბარმა ქალ-ვაჟის ღიმილიან სახეებს თავისი ღიმილი შეაგება, თავაზიანად ბოდიში მოიხადა და ნუციკოსთან ერთად სპილოს სანახავად წავიდა.

ომი ახალი დამთავრებული იყო. უჭირდა ხალხს. სოფლებში ძირითადად ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობდა, შეძლებულ კაცს იშვიათად შეხვდებოდით.

– კაცო, წინა თვეშიც არ გადაგვიხდია „ნალოგი“, ეს თვეც გაილია, სადაცაა ფინაგენტები მოვლენ, სახლშიც არა გვაბადია რა, რა უნდა გადავუხადოთ, რატომ არ ფიქრობ ამაზე, პირდაპირ მაკვირვებ, ეგეთი უდარდელი კაცის მნახველი არა ვარ! – ჯავრობდა თებრო და თავის ქმარს ქოქოლას აყრიდა. შაქრო კახური სიდინჯით ისმენდა ცოლის წყევლას და პასუხს არ აძლევდა, მერე ხელი ჩაიქნია, სავირედან ვირი გამოიყვანა, „ტაჭკაში“ შეაბა და ცოლს გასძახა:

– დედაკაცო, ჩემს ლოცვა-კურთხევას თავს არ დაანებებ?! მიდი, მარნიდან საგზალი გამამიტა, ტყეში მივდივარ, ვენახის სარი უნდა მოვჭრა, შეიძლება დაბინდებამდე ვერ ჩამოვიდე!

ბოსტანში მიმავალი თებრო უკან მობრუნდა, მარანში შევიდა, ლასტიდან ორი შოთი პური ჩამოიღო, გუდაში ჩადებულ ყველს მოზრდილი ნაჭერი მოატეხა და ქმარს გამოუტანა.

– შენებურად არ დაიღამო, დროზე ჩამოდი! ხომ იცი მე და ბალღებს დარდი გვექნება! – უთხრა თებრომ ქმარს და ტილოში გადახვეული პურები და ყველის ნაჭერი გოდრულაში ჩაუდო.

– წეღან მიწის ქვეშ ამამდე, ეხლა მეუბნები დარდი გვექნებაო, რომელი დაგიჯერო, შენი ვერა გავიგე რა! – თქვა შაქრომ და „ტაჭკაში“ შებმულ ვირს გავაზე შვინდის სახრე გადაჰკრა.

შაქრო აჩუაშვილს ხუთი შვილი ჰყავდა, შრომა და ჯაფა არ აკლდა, მაგრამ მაინც ღარიბად ცხოვრობდა, ტანზე დაძონძილ-დაკერებული ტანსაცმელი ეცვა, ამის გამო თანასოფლელები ბარტყვლებას ეძახდნენ. მიუხედავად თავისი ხელმოკლეობისა, გულით კეთილი და გამმეტი იყო. სტუმარიც უყვარდა და სტუმრად მისვლაც. სუფრაზე მხიარულებაში და ენაკვიმატობაში ტოლს არავის უდებდა, მაგრამ ზოგჯერ ისე უცნაურად იქცეოდა, კაცი იფიქრებდა - ჭკუიდან ხომ არ გადავიდაო. მისი სახლის წინ დიდი, ბებერი კაკალი იდგა. კაკალს ფესვები მიწის ზემოთ ჰქონდა ამოყრილი, ეს ფესვები იმდენად დიდები იყო, რომ ბავშვები შიგ გაძვრებ-გამოძვრებოდნენ ხოლმე. საღამოობით მეზობლის ქალები და ბავშვები ამ კაკალთან

იყრიდნენ თავს. მოხუცი დედაკაცები, ძველი ჩვეულების თანახმად, კაკლის ფესვის ქვეშ შაქრის ნამტვრევებს ჰყრიდნენ და ბავშვებს ქვეშ აძვრენდნენ, ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ სწამდათ, კაკლის ფესვის ქვეშ გამძვრალ ყმაწვილებს, ყივანახველა აღარ შეხვდებოდათ. ბავშვებიც ხალისითა და ჟრიამულით ძვრებოდნენ შაქარმოყრილ ფესვებს ქვეშ.

იმ დღესაც, ქალაქიდან ჩამოსულმა მეზობლის პატარძალმა კაკალთან მოიყვანა თავისი ორი პატარა ბიჭი, ფესვების ქვეშ გასაძვრენად. ბიჭები იმდენად კარგები და ლამაზები იყვნენ, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდი.

უკვე კარგა მოსაღამოვებული იყო, როცა შაქრომ ვენახის სარით დატვირთული ვირის „ტაჭკა“ კაკალთან მოაყენა.

– ეს კოხტა ბალღები ვისია? – იკითხა შაქრომ.

– ჩემია, შაქრო ძია! – მიუგო ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა ქალმა.

– სავირეში ორი პატარა ჩოკო მყავს, მაიტა, ეგ ბალღები ჩოკოებში გამიცვალე! – ღიმილით უთხრა შაქრომ პატარძალს.

– რას ამბობ, შაქრო ძიავ, თქვენ ხუთი ბალღის რჩენა გიჭირთ, ახლა ჩემებიც დაგიმატოთ?

– შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს! სადაც ისინი, იქაც ეგენი.

– რას ამბობს ეს კაცი, მაგის ჯავრი ნუ გაქო, მაშ ჩემი ბალღები ვირის წლოკებში გადასაცვლელები არიან? – გაცხარდა პატარძალი.

დედაკაცები მიხვდნენ, რომ შაქროს ნათქვამი ეწყინა ახალგაზრდა ქალს და დაუწყეს დამშვიდება, – გაგეხუმრა, განა მართლა გითხრა, გოო! – ღიმილით უთხრა მოხუცმა დედაკაცმა. შაქრომ აინუნშიც არ ჩააგდო პატარძლის წყენა, ვირი „ტაჭკიდან“ გამოუშვა და სარების გადმოწყობას შეუდგა. მიუხედავად იმისა, რომ ომი ახალი დამთავრებული იყო და ქვეყანას ძალზედ უჭირდა, მთავრობა მაინც ახერხებდა საკვებ პროდუქტებზე ფასების დაკლებას, ამასთან, დიდი სიმკაცრით ეკიდებოდა მოსახლეობიდან გადასახადების დროულად აკრეფასაც.

უბანში ხმა დაირხა – ფინაგენტები დადიანო და „ნალოგებს“ კრეფენო. მალე შაქროს სახლს თეთრ კიტელში გამოწყობილი ორი შუახნის კაცი მოადგა.

– ეს ბარტყვლებას სახლი არ არის? – იკითხა ფინაგენტმა.

– ჰო, იმისია, – დაეთანხმა კაკალთან მდგარი შაქროს მეზობელი.

– აბა, ეს „ნალოგის“ გადამხდელია, საცოდავი?! – თქვა ფინაგენტმა.

– კომლთაღრიცხვის წიგნში შეტანილია, სოფელში ცხოვრობს, მის მაგივრად მე ხომ არ გადავიხდი „ნალოგსა“ – გაცხარდა მეორე ფინაგენტი.

– რისი საშუალებაც ექნება, ის გამოვართვათ! – შეთანხმდნენ ბოლოს ორივენი.

– აბა, აქეთ მოდექ! – გასძახა ფინაგენტმა შაქროს, რომელიც ეზოში დაყრილ ვენახის სარებს წალდით ჩორკნიდა.

– შენ წინა თვეში გადასახადი არ გადაგიხდია, არც ახლა აპირებ გადახდას?

– აბა, რა გადაგიხადოთ?! თქვენც ხომ კარგად ხედავთ რომ არა მაბადია რა.

– „ნალოგი“ ჩვენი მოგონილი არ არის, ეს მთავრობის კანონია, კანონს კიდევ უნდა დაემორჩილო!

– ვემორჩილები, მაგრამ რაც არა მაქვს, რა მოგცეთ.

ფინაგენტები მცირე ხნით გაყუჩნდნენ, მერე ერთმანეთს შეხედეს, სახეზე ირონიული ღიმილი მოეფინათ და მოინდომეს მისი გაქილიკება – მაშ, არც ქათმები გყავს, კვერცხებს მაინც არ გიდებენ?! – წაეანგლნენ ფინაგენტები შაქროს.

– მე კი ვპეპლავ ჩემს დედაკაცს, მაგრამ იმას კვერცხების დება ჯერ არ დაუწყია, თუ დასდებს, შაგიქუჩებთ და ჩემი ფეხით ჩამოგიტანთ საბჭოში.

– რას გველაზღანდარავები, მასხრად გვიგდებ? ეხლავე გადაგვიხადე „ნალოგი“ – განრისხდნენ ფინაგენტები.

– ვერ გაიგეთ, რომ არაფერი მაბადია მეთქი! – აღმოხდა გამწარებულ შაქროს, შემდეგ ქამარი გაიხსნა, დაკონკილი შარვალი კოჭებამდე ჩაიძრო, ამოყარა თავისი ავლადიდება და ფინაგენტებს შეუძახა:

– აჰა, წაიღეთ! ამის მეტი არაფერი მაქვს, თუ მთავრობას არ უნდა, თქვენ მაინც გამოიყენეთ ოჯახში.

ფინაგენტებს სიბრაზისაგან ცივმა ოფლმა დაასხათ, უყურებდნენ გამოუვალი მდგომარეობიდან უცნაური გამოსავლის მპოვნელ, უპოვარ კაცს და ვერ გადაეწყვიტათ როგორ მოქცეულიყვნენ.

– შენი რა სატკივრად მინდა, ჩემიც ოხრად მრჩება, შე შობელძაღლო! – შეუღრინა ფინაგენტმა შაქროს, შემდეგ კომლთაღრიცხვის დავთარი ნერვიულად გადაშალა, მოძებნა მისი გვარი, ხაზი გადაუსვა და მკვეთრი ასოებით გვერდით მიუწე-რა – გიჟი, მერე დავთარი დახურა, იღლიაში ამოიჩარა და ორივემ იქაურობა დატოვა. ამის შემდეგ შაქრო აჩუაშვილის კარ-მიდამოს ფინაგენტები აღარ გაჰკარებიან.

სარჩევი

განწირულთა ქარავანი ---------- 5
უფალმა შეგინდოს! ---------- 22
უკაცრავად! ---------- 31
გმირები არ კვდებიან! ---------- 37
მექისე დარჩო ---------- 44
ლედი ---------- 51
სოფლის მასწავლებელი ---------- 57
არშემდგარი ბიზნესი ---------- 63
შეცვლილი კაკაბი ---------- 70
მადლი ---------- 75
მახარობელი ---------- 83
სიძეი ღვინო უნდა ---------- 89
უსამართლობის ზეობა ---------- 96
პატარა მათხოვარი ---------- 103
გულმოწყალე ---------- 107
დედის დასიზმრება ---------- 112
იღბლიანი მივლინება ---------- 116
ქიტესა ---------- 123
ხომ ისევ ჩემი მამიკო ხარ? ---------- 132
უვნებელი მორიელი ---------- 160
აჰა, წაიღეთ! ---------- 164

წიგნი სიმდიდრის საფასი არ არის,
წიგნიერება, ეთიკა აუცილებელი ეფუძნება
სიმდიდრეს.

[illegible]